WWW.SAERTOGAZETI.GE

# საერთო გაზეთი

№22 (256) ● 4-10.VII.2013 წელი ● გამოდის ოთხშაბათს ● www.saertogazeti.ge; E-mail: saertogazeti@yahoo.com ● ფასი 1 ლარი

## საქართველოს პრემიერ-მინისტრის ღია წერილი საზოგადოებას

## ირაკლი ალასანია საპრეზიდენტო არჩევნებში კენჭისყრას აპირებს?

**გიორგი ფარესიშვილი:**

## ვერ შევეგუები საქართველოში ახალი მაფიოზური კლანების ლორძინებას

„საშიში კაცია ფოფხაძე, როგორც ამბობენ, შევარდნაძესაც კი ეშინოდა მისი, მაგრამ მე არ მეშინია!“

გიორგი ფარესიშვილი სკანდალურ ბრალდებებს უყენებს ნუგზარ ფოფხაძეს, გელა ხვედელიძეს, ელისო კილაძეს, გიორგი მამაცაშვილს და პროკურატურას მათ წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმის აღძვრას სთხოვს.

## მრავალჭირნახული და მრავალგზის გაუპატიურებული ქართული პოლიტიკა ამერიკული სცენარით იმართება?

## ივანიშვილის გადადგომამ შეიძლება სამოქალაქო დაპირისპირებამდე მიგვიყვანოს

**გია შერვაშიძე:**

## აფხაზებთან დიალოგის დაწყება შესაძლებელია!..

## ბენდუქიძემ უმჯობესია კულინარიულ კურსებს უხელმძღვანელოს















**ჰამლეტ მემია:**

## როდის მოხდება ქართული ეკონომიკური სასწაული?

რატომ ცხოვრობს სიღარიბეში ბუნებრივი რესურსებით უმდიდრესი ქვეყნის, საქართველოს, მოსახლეობა?

დამტკიცებულია, რომ საქართველო ქუვეითზე უფრო მდიდარი ქვეყანაა — ის მთლიანად ნავთობზე დგას!

მიედინება თუ არა საიდუმლო გვირაბით აზერბაიჯანში ქართული წყალი?

## რატომ იზრდება სოციალურად დაუცველთა რიცხვი ყოველწლიურად და სადამდე შეიძლება ამან ქვეყანა მიიყვანოს?

## „ნაციონალური“ ჯოჯოხეთის მსხვერპლი

ბიზნესმენ თემურ ყორშიას თავი არ მოუკლავს — ის მოკლეს! — ამტკიცებს მისი მეუღლე

ლალი ჯინჭარაძე

**პაატა დავითაია:**

## „ქართულმა ოცნებამ“ „ნაცმოძრაობის“ იდენტური პოლიტიკური გზა აირჩია

## მოსთხოვენ თუ არა ნაცმოძრაობის დეპუტატ კახაბერ ოქრიაშვილს პასუხს ჩადენილი დანაშაულისთვის?

## მსუნაგმა მიშამ, შხამიაო და ერთხელ უკვე დაადო აქციზი სიგარეტს, ახლა აქციზს აქციზი დაადეს — რა მოხდა, ეკატერინე მედიჩის შხამია?

# საქართველოს პრემიერ-მინისტრის ღია წერილი საზოგადოებას



ჩემს გადაწყვეტილებას პოლიტიკიდან წასვლის თაობაზე იმდენი ვნებათაღელვა და ინტერპრეტაცია მოჰყვა, რომ საჭიროდ ვთვლი გარკვეული განმარტებები გავაკეთო. იმისათვის, რომ დავასაბუთო ჩემი გადაწყვეტილებების თანამიმდევრულობა, გთავაზობთ ამონარიდს პოლიტიკაში შემოსვლის შემდეგ გაკეთებული ჩემი პირველი განცხადებიდან:

„მიხეილ სააკაშვილის მიერ ხელისუფლების ტოტალურმა მონოპოლიზებამ და ჩატარებულმა კონსტიტუციურმა ცვლილებებმა, რომელთა მიხედვითაც ნათლად ვლინდება სააკაშვილის სურვილი, ყველანაირი კონსტიტუციური ვადის ამოწურვის მიუხედავად, შეინარჩუნოს ძალაუფლება და დარჩეს ხელისუფლების სათავეში, მიმაღებინა გადაწყვეტილება, შევქმნა პოლიტიკური პარტია და მონაწილეობა მივიღო 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებში... დავრწმუნდი, რომ პირადი მონაწილეობის გარეშე ძალიან გაჭირდებოდა საჭირო შედეგის მიღება, ამიტომაც გადავწყვიტე, გარკვეული დროის განმავლობაში, დაახლოებით 2-3 წელი, პირადად გავუწიო კოორდინაცია შემდეგ პოლიტიკურ პროცესებს:

• ჩემ მიერ შექმნილი ახალი პოლიტიკური პარტიისა და არსებული ჯანსაღი პოლიტიკური ძალების გაერთიანებით მოვახდინოთ 2012 წლის საპარლამენტო არჩევნების აბსოლუტური უმრავლესობით მოგება;

• გავარკვიოთ და ხალხთან ერთად შევიმუშაოთ ქვეყნის მართვის ოპტიმალური მოდელი, მოვახდინოთ ისეთი საკონსტიტუციო ცვლილებები, რომ მომავალში არათუ საშუალება, სურვილიც კი არ გაუჩნდეს ვინმეს, რომ კონსტიტუცია საკუთარ თავს მოარგოს;

• პრემიერის ან პარლამენტის თავმჯდომარის რანგში მონაწილეობა მივიღო ახალი მთავრობის ჩამოყალიბებაში და პასუხისმგებლობა ვიკისრო მის ნორმალურ ფუნქციონირებაზე, რათა ბოლომდე აღმოიფხვრას ისეთი მასშტაბის ელიტარული კორუფცია, რომელშიც სააკაშვილის ახლანდელი მთავრობის მაღალი ეშელონებია ჩაფლული;

• დავიწყოთ დამოუკიდებელი სასამართლო სისტემის შექმნა და იგი შეუქცევად პროცესამდე მივიყვანოთ;

• პერსპექტიული გავხადოთ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ტერიტორიაზე ქართული სახელმწიფოს იურისდიქციის აღდგენა;

• შევქმნათ რეალურად საინტერესო საინვესტიციო გარემო და ერთი ჯგუფის მიერ მონოპოლიზებული ბიზნესის ნაცვლად საფუძველი ჩავუყაროთ ქვეყანაში ბიზნესის აღორძინებას;

• ბოლომდე მივიყვანოთ დაწყებული პირველი პროექტი, რომელიც სოფლის მეურნეობის აღორძინებას ეხება და რეალობას დავუახლოოთ მეორე პროექტი - ტექნოლოგიური უნივერსიტეტის დაარსებისა და მაღალტექნოლოგიური სამუშაო ადგილების შექმნის შესახებ;

• დავიწყოთ რუსეთთან ურთიერთობის დალაგება;

• გავაღრმაოთ აშშ-სა და ევროკავშირთან მეგობრობა და ინტეგრაცია...

ჩემი აზრით, ზემოთ ჩამოთვლილი პრობლემების მოგვარებას დაახლოებით ორიდან სამ წლამდე დასჭირდება. ამის შემდეგ მე ვაპირებ წავიდე პოლიტიკიდან, რათა აქტიური მონაწილეობა მივიღო ქვეყნის საზოგადოებრივ ცხოვრებასა და მის განვითარებაში... ჩვენ, საზოგადოებამ უნდა ვისწავლოთ, როგორ უნდა ავირჩიოთ და, უფრო მნიშვნელოვანი, როგორ ვაკონტროლოთ სახელმწიფოს მეთაური და მისი მთავრობა... უახლოეს მომავალში ჩვენ უნდა შევძლოთ და ჩამოვაყალიბოთ სამოქალაქო საზოგადოების ის კრიტიკული მასა (რის განვითარებასაც შემდგომში წლები და ათწლეულები დასჭირდება), რომელსაც ნებისმიერმა მთავრობამ ანგარიში უნდა გაუწიოს და იმის გაფიქრების სურვილიც კი არ გაუჩნდეს, რასაც სააკაშვილის დღევანდელი მთავრობა კადრულობს" - სწორედ ეს იყო ის მიზნები და მიზეზები, რისთვისაც მე პოლიტიკაში მოვედი.

„დიდი ფიქრისა და ანალიზის შემდეგ მივხვდი, რომ მე აღარ მქონდა არჩევანი." - ესეც ამონარიდია ჩემი მაშინდელი განცხადებიდან. დღეს, ამ განცხადებიდან თითქმის 2 წლის თავზე, ერთგვარი კმაყოფილებით ვაცხადებ, რომ მეც და საზოგადოებასაც გვაქვს არჩევანის გაკეთების უფლებაც და შესაძლებლობაც. და თუ როგორია ეს არჩევანი, მინდა ამის თაობაზე მოგახსენოთ.

მე მოვედი ხელისუფლებაში იმიტომ, რომ დამეცვა საზოგადოება და ეს წარმატებით მოვახერხეთ კიდეც იმით, რომ დღეს ხელისუფლება ყველა წინამორბედზე უკეთესია და საზოგადოებაც ყველაზე მეტად დაცულია ხელისუფლების თვითნებობისაგან. მაგრამ საზოგადოება არ უნდა იყოს ხელისუფლების კეთილი ნების იმედად და მუდმივად მხსნელისა თუ მესიის მოლოდინში. საზოგადოების ხსნა მის ეფექტურობაში, მაღალი პასუხისმგებლობის უნარსა და პოლიტიკურ სიმწიფეშია. საზოგადოებამ უნდა მონახოს მექანიზმი, რომლითაც გააკონტროლებს და პარტნიორობას გაუწევს ხელისუფლებას.

ჩემი პირადი მაგალითით საზოგადოებას მინდა დავანახო, რომ აუცილებელია იყო ადეკვატური გამოწვევებისა და კონკრეტული რეალობის მიმართ. ორი წლის წინ სულ სხვა გამოწვევა ჰქონდა ჩვენს ქვეყანას და მეც იქ დავდექი, სადაც ყველაზე მეტის გაკეთება შემეძლო. დღეს სულ სხვა გამოწვევის წინაშე დგას ქვეყანა და მეც ამ გამოწვევის შესაბამისად უნდა მოვიქცე.

დღევანდელი მდგომარეობით, ჩემი საჯარო ფუნქციები შეიძლება სამი მიმართულებით განისაზღვროს: 1. სახელისუფლებო (ქვეყნის პრემიერ-მინისტრი); 2. პოლიტიკური (კოალიცია „ქართული ოცნების" ლიდერი); 3. საზოგადოებრივი (აქტიური მოქალაქე). მე ვაპირებ უარი ვთქვა პირველ და მეორე (სახელისუფლებო და პოლიტიკურ) ფუნქციებზე და მთელი გამოთავისუფლებული რესურსი მოვახმარო მესამე (საზოგადოებრივ) ფუნქციას. ამას ვაპირებ იმიტომ, რომ პირველი (სახელმწიფოს ეფექტიანი მართვის) და მეორე (მრავალპარტიული დემოკრატიის) მიმართულებით ჩემი მოკრძალებული როლი უკვე შევასრულე და მჯერა, რომ ჩემი გუნდის წევრები დაწყებულ საქმეს ჩემ გარეშე უფრო უკეთ გაართმევენ თავს. აი, მესამე, და ყველაზე მნიშვნელოვანი, მიმართულებით კი საკეთებელი უამრავია, გამკეთებელი ცოტაა და პირადად მე გარკვეული გარემოებების გამო ბევრი შემიძლია გავაკეთო.

ამრიგად, მე სადმე „სხვაგან" კი არ მივდივარ, არამედ „აქვე" ვრჩები და მხოლოდ ჩემი საზოგადოებრივი ფუნქციებისა და როლის ოპტიმიზაციას ვაპირებ, რათა, ჯერ ერთი, დავიხარჯო იქ, სადაც დღეს ყველაზე მეტად ვჭირდები ქვეყანას; და მეორე, პოლიტიკურ პარტნიორებსა და თანამოაზრეებს გადავუნაწილო ის ძალაუფლება და პასუხისმგებლობა, რომლის გარეშეც ქვეყანა კვლავ ერთ კაცზე ჩამოკიდებული დარჩება და ისევ მოჯადოებულ წრეზე გააგრძელებს ტრიალს.

შევეცდები, უფრო დეტალურად ავხსნა, თუ რა არის ჩემი დღევანდელი როლი საჯარო ფუნქციების სამივე მიმართულებით, რა შეიცვლება მალე და რატომ გაუმჯობესდება ვითარება.

## 1. სახელმწიფო მმართველობა

ვფიქრობ, მინისტრები საკმაოდ კარგად არიან შერჩეული და თუ რეალობის გათვალისწინებით გავაანალიზებთ ვითარებას, მთავრობის საქმიანობა მაქსიმალურად ეფექტურია. მე, როგორც მთავრობის მეთაურმა, აქტიური მონაწილეობა მივიღე თითოეული სამინისტროს სტრატეგიული საკითხების ჩამოყალიბებაში და ამ სტრატეგიის ფარგლებში თითოეულ მინისტრს მივეცი მოქმედებისა და გადაწყვეტილებების მიღების სრული თავისუფლება. დღეისათვის შეიძლება ითქვას, რომ მე ძირითადი პარამეტრების შესრულების კონტროლით ვარ დაკავებული და ყველა მინისტრი თავად უძღვება მისთვის მინდობილ საქმეს.

ახალი პრემიერ-მინისტრი, რომელსაც საკუთარ გუნდსა და საზოგადოებას შევთავაზებ, გარწმუნებთ, ძალიან საინტერესო პიროვნება იქნება, რომელიც წარმატებით გაართმევს თავს მისთვის დაკისრებულ მოვალეობებს.

მე ვიძლევი გარანტიას, რომ მთავრობა დარჩება ქმედითი, ევროპული ტიპის, არაკორუმპირებული და ქვეყანას სწორი მიმართულებით წაიყვანს. თუმცა, გარანტია, როგორც წესი, რამით უნდა იყოს გამყარებული. ჩემს შემთხვევაში კი ცოტა რთულადაა საქმე, რადგან იმ თანამდებობით ვარ პასუხისმგებელი, რომლის დატოვებასაც ვაპირებ. ამიტომ რჩება მარტო ჩემი პატიოსანი სიტყვა, რომელსაც მე ისეთივე მნიშვნელობას ვანიჭებ, როგორსაც ჩვენი წინაპრები ანიჭებდნენ. საზოგადოებაში მყოფი და საზოგადოებასთან ერთად, ჩვენ მოვახერხებთ საჯაროდ მივცეთ გუნდს შენიშვნები, რომლებიც, გარწმუნებთ, უფრო მტკივნეული და უფრო ეფექტურიც იქნება, და არა მარტო შენიშვნები, არამედ – პოზიტიური შეფასებებიც, რაც არანაკლებ საჭიროა. და რაც მთავარია, თუ ჩვენ გვექნება ქვეყნისა თუ ცალკეული სამინისტროების განვითარების ჯანსაღი იდეები, არც ამ იდეების მიწოდება გახდება რთული მთავრობისა და პარლამენტისთვის.

გარდა უშუალოდ მთავრობის გამართული საქმიანობისა, ჩვენ საზოგადოებას შევთავაზეთ ევროპული ღირებულებების მატარებელი პრეზიდენტობის კანდიდატი, რომელიც თავისუფალია ტრადიციული მესიანისტურ-ავტორიტარული მიდრეკილებებისგან.

მიღებული გვაქვს სათანადო გადაწყვეტილებები, რაც უზრუნველყოფს დაბალანსებულ კონსტიტუციას, რეალურ თვითმმართველობას, დამოუკიდებელ სასამართლოსა და თავისუფალ მედიას.

## 2. კოალიციისა და პარტიის პოლიტიკური ლიდერობა

დღეს აღარავის ეპარება ეჭვი, რომ კოალიცია „ქართული ოცნების" მშენებლობისას ჩემი მიზანი სახელმწიფოსთან შეზრდილი მორიგი სუპერპარტიის შექმნა კი არა, მრავალპარტიული სისტემის ჩამოყალიბება იყო. შესაბამისად, კოალიცია „ქართული ოცნება" არის არა „ჩემი პარტია", არამედ მასში შემავალი პარტიების კოალიცია. ასეთ ვითარებაში პოლიტიკური ძალაუფლებაც და პასუხისმგებლობაც ეკუთვნის არა კოალიციის ლიდერს, არამედ კოალიციაში შემავალ პოლიტიკურ პარტიებს და ამ პარტიების ლიდერებს. ამიტომ დღევანდელი მმართველი კოალიციის ლიდერის წასვლა არ შეიძლება შევადაროთ დღემდე არსებული მმართველი პარტიების ლიდერების წასვლას. ჩვენ კოალიცია „ქართული ოცნება" შევქმენით მინიმუმ მომავალ საპარლამენტო არჩევნებამდე ვადით და იგი არანაკლები ვადით იარსებებს ჩემი წასვლის შემდეგაც. მე კარგად ვაცნობიერებ ჩემს როლს კოალიციის შექმნასა და მის წარმატებაში, მაგრამ ისიც კარგად ვიცი, თუ რა კრიტერიუმებით შევარჩიე თანამებრძოლები, ვინ არიან ისინი და როგორი პასუხისმგებლობით ეკიდებიან საქმეს. კოალიციაში შემავალ პარტიებში მრავალი გამოცდილი პოლიტიკოსია და არ გაჭირდება კოალიციის პოლიტიკური საბჭოს ახალი თავმჯდომარის შერჩევა, რომელიც იქნება პირველი თანასწორთა შორის და უზრუნველყოფს კოალიციის საქმიანობას გაცხადებული პოლიტიკური პროგრამის შესაბამისად.

ამასთანავე, არც ის უნდა გამოვრიცხოთ, რომ ვინმემ მომავალ საპარლამენტო არჩევნებამდე გადაწყვიტოს კოალიციის გარეთ პოლიტიკური აქტიურობის გაგრძელება. ვფიქრობ, ეს იქნება კონკრეტული პირისა თუ ჯგუფის პოლიტიკური შეცდომა, რომელიც მხოლოდ მათ თავადვე დააზარალებს. ამგვარი ცალკეული მოვლენებისგან კოალიცია არც ჩემი ლიდერობის დროს არის დაზღვეული და არც ჩემ გარეშე იქნება.

გაცილებით მეტი ძალისხმევა დამჭირდება იმისათვის, რომ ჩემს წასვლამდე დასრულდეს პარტია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს" ორგანიზაციულ-სტრუქტურული მშენებლობა, მაგრამ ამას აუცილებლად მოვახერხებთ. მიუხედავად იმისა, რომ მე ამ პარტიის მენეჯერი თავმჯდომარე არასოდეს ვყოფილვარ, ბუნებრივია, ვგრძნობ დიდ პასუხისმგებლობას იმ თანამოქალაქეების მიმართ, რომლებიც გამოეხმაურნენ ჩემს ინიციატივას და პარტიაში გაერთიანდნენ. პარტიაში საკმაოდ საინტერესო და ძლიერი გუნდია შეკრებილი, რომელსაც სხვებთან სამართლიან კონკურენციაში მოუწევს წარმატების მიღწევა მომავალ არჩევნებში, ცხადია, ჩემი ერთი ხმის გათვალისწინებით.

## 3. აქტიური მოქალაქეობა

როდესაც აქტიურ მოქალაქეზე ვსაუბრობ, მე არ ვგულისხმობ მხოლოდ ემოციებით პატრიოტ ადამიანს, რომელიც ყოველ წამს მზადაა სამშობლოსათვის სიცოცხლე გაწიროს. მე ვგულისხმობ გონებით პატრიოტ ადამიანს, რომელიც მთელი ცხოვრება მზადაა იფიქროს, იკამათოს და იშრომოს ქვეყნისა და მოყვასისათვის საჭირბოროტო საკითხებზე. გონებით პატრიოტი მოქალაქეების რაოდენობაზეა დამოკიდებული ხალხისგან მივიღებთ მასას, რომელსაც ხელისუფლება ადვილად მართავს, თუ სამოქალაქო საზოგადოებას, რომელიც ხელისუფლებას თავის სამსახურში ამყოფებს.

„საერთო გაზეთი"
მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა
გამომცემელი: შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა"
მის: თბილისი, აღმაშენებლის 164;
ტელ.: 2 14 40 19; 2 34 28 97
რეგისტ. №202375349; უაკ (udc) 070.23 (479.22) ს-158

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით.
შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს.
ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება
შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში.
შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.
◆ ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.

იმის გარანტი, რომ მთავრობა დარჩეს ქმედითი, ევროპული ტიპის, არაკორუმპირებული და ქვეყანა სწორი მიმართულებით წაიყვანოს, - არ უნდა იყოს ერთი კაცი, არც ხელისუფლებაში და არც ხელისუფლების გარეთ.

ამის გარანტია შეიძლება იყოს მხოლოდ ეფექტური, პასუხისმგებლობის მქონე, სწორედ რომ ევროპული ტიპის საზოგადოება. ვფიქრობ, დღეს სწორედ ესაა ჩვენი ყველაზე მნიშვნელოვანი, მე ვიტყოდი, ეპოქალური გამოწვევა - ერთად ვაშენოთ ასეთი საზოგადოება.

შესაბამისად, ჩემი ინტერესის ვექტორიც საზოგადოებისკენაა მიმართული და ჩემს ფუნქციას სწორედ იმაში ვხედავ, რომ ჩამოვაყალიბოთ ისეთი საზოგადოება, რომელიც, ერთი მხრივ, პასუხისმგებლობით აკეთებს არჩევანს და არჩევნებში აფიქსირებს თავის პოზიციას, თუ როგორი ქვეყანა სურს მას, მეორე მხრივ კი, არჩევნების შემდეგ, მუდმივ რეჟიმში აკონტროლებს არჩეული მთავრობის ეფექტურობას.

საზოგადოებაში ემოციური პატრიოტიზმის დომინირების პირობებში მოქალაქეები: ა) არჩევნებში აფიქსირებენ ემოციურ პოზიციას, თუ როგორ ქვეყანაში აღარ სურთ ცხოვრება არჩევნების შემდეგ; და ბ) არჩევნების შემდეგ ან ნიჰილიზმის ჭაობში ეფლობიან, ანდა ხელისუფლების დაუყოვნებლივ შეცვლას ცდილობენ, რაც ორივე შემთხვევაში ავტორიტარიზმისა და სახელისუფლებო განუკითხაობის ჩამოყალიბებას უწყობს ხელს.

იმას, რომ დღემდე საქართველოში ემოციური პატრიოტიზმი მეფობს, ადასტურებს ხელისუფლების არჩევისა თუ შეცვლის აქამდე არსებული ყველა შემთხვევა, 2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნების ჩათვლით. გავუსწოროთ თვალი სიმართლეს და ვაღიაროთ, რომ თქვენ ჩვენ აგვირჩიეთ გულისა და ემოციის კარნახით, და არა ჩვენი პროგრამის გამო. თქვენ უარი თქვით წინა ხელისუფლების მარწუხებზე, განუკითხაობაზე, ძალადობაზე, სიღარიბეზე და მხარი დაუჭირეთ მას, ვისაც, თქვენი აზრით, მისი დამარცხება შეეძლო. რაც შეეხება მომავალს, ყველა ჩვენ-ჩვენი ინდივიდუალური ოცნებების ახდენას ველოდით და ნაკლებად გვაინტერესებდა, სინამდვილეში რას, როგორ და ვისი მეშვეობით გააკეთებდა ახალი ხელისუფლება. „მიშა არა, ბიძინაა მაგარი!“ - ამან განაპირობა საპარლამენტო არჩევნების შედეგი. წინა სახელისუფლებო ცვლილებებისას სწორედ ასეთ ლოზუნგებს მოჰყვა სამოქალაქო დაპირისპირება, სისხლისღვრა და რევოლუცია.

იმის ნათელსაყოფად, თუ როგორ „ვახერხებთ“ მთავრობის კონტროლს, საკმარისია გავაანალიზოთ თუნდაც სააკაშვილის მთავრობის ნამოქმედარი: გავსებული ციხეები, 300 ათასი პრობაციონერი, გალატაკებული და დანგრეული სოფელი, მთლიანად კონტროლირებადი ბიზნესი და მედია, ნულამდე დაყვანილი ადამიანის უფლებები...

ამასობაში, ეს ხალხი ახერხებდა გარეთ – ევროპასა და ამერიკაში – ჩვენი ქვეყანა რეგიონში დემოკრატიის შუქურად წარმოეჩინა. არ შეგვეშალოს და ჩვენი შეცდომები ევროპასა და ამერიკას არ გადავაბრალოთ. პირიქით, ჩვენი უუნარობითა და არასწორი მოქმედებით მივეცით საშუალება ჩვენს არჩეულ მთავრობას ჩვენგან ნაძარცვი ფულით დაქირავებული ლობისტების მეშვეობით ქვეყნის შიგნით არსებული არნახული ძალადობა და კანონის უზენაესობის ფეხქვეშ გათელვა გარეთ დემოკრატიად გაესაღებინა.

ამ მოჯადოებულ წრეზე ტრიალი უნდა დამთავრდეს. აღარასოდეს ასე აღარავინ არ უნდა ავირჩიოთ. ამისათვის კი საჭიროა დაუყოვნებლივ დავიწყოთ სამოქალაქო საზოგადოების სწრაფი ტემპებით მშენებლობა და ხელისუფლება მოვაქციოთ მუდმივი საზოგადოებრივი კონტროლის ქვეშ. ამ გზით ჩვენ არა მარტო დღევანდელი ხელისუფლების ეფექტიანობას შევუწყობთ ხელს, არამედ მომავალი ხელისუფლების თვისებრივად მაღალ ხარისხსაც უზრუნველვყოფთ.

მე არაფერს ვერჩი პირადად მიხეილ სააკაშვილს ან სხვა რომელიმე პოლიტიკოსს. ჩემი მისიაა მესიების მისიების დასრულება საქართველოში. ამისათვის კი არსებული მესიის დამარცხება არ არის საკმარისი, – აუცილებელია იმის უზრუნველყოფაც, რომ თავადაც მესიად არ ვიქცე. ამიტომ მე უნდა წავიდე სწორედ ახლა. საზოგადოების იმ ნაწილში, ვისაც აშფოთებს ჩემი პოლიტიკიდან წასვლა, ბევრია ისეთი, ვისაც სწორედაც რომ არ უნდა აიღოს პასუხისმგებლობა საერთო პროცესებზე, – ასეთებს ურჩევნიათ იყვნენ პასიურად მშვიდად და ყველაფრისთვის პასუხი აგოს სხვამ.

სწორედ ამიტომ, ჩემი დარჩენა მთავრობის მეთაურად (მე, რომელსაც, შეიძლება ითქვას, მაქვს საზოგადოების გადაჭარბებული ნდობა) არათუ სასარგებლო, არამედ საზიანო იქნება მომავლისთვის, რადგან კი არ დაჩქარდება, არამედ შენელდება და მინავლდება ის, რისი საჭიროებაც იგრძნო საზოგადოებამ ბოლო 22 წლის განმავლობაში მოჯადოებულ წრეზე ტრიალით, - ეს არის საკუთარი პასუხისმგებლობის შეგრძნებით აღსავსე სამოქალაქო სექტორის ჩამოყალიბება.

სამოქალაქო საზოგადოების ჩანასახი დიდი ხანია არის საქართველოში, მაგრამ დღემდე ვერ მოხერხდა მისი რაოდენობრივი და ხარისხობრივი დონის ევროპულთან მიახლოება. ევროპაში არისტოკრატული ელიტის საგანმანათლებლო და კულტურული როლი და ფუნქცია იკისრა „დემოკრატიულმა ელიტამ“ (სამოქალაქო საზოგადოებამ), რომელიც წინამორბედისაგან განსხვავებით, ჯერ ერთი, აღარ არის საჯარო ხელისუფლებით აღჭურვილი, და მეორე, აღარ არის ჩაკეტილი რომელიმე სოციალური თუ ინტერესჯგუფისათვის. საქართველოში ეს პროცესი კომუნიზმის ბატონობამ მთელი 70 წლით გაწყვიტა, რამაც დაგვაკარგვინა ჩვენი საკუთარი ტრადიციები და მოგვწყვიტა ევროპულ ინტელექტუალურ და ღირებულებით საზრდოსაც. მაგალითისთვის, შევადაროთ 1913 წლის თუნდაც კოლონიური საქართველოსა და 2013 წლის უკვე თავისუფალი საქართველოს საზოგადოებები, - საუკუნისწინანდელ არასამთავრობო და საექსპერტო (დღევანდელი გაგებით) წრეებში საზოგადოების ევროპული ყაიდის ღირებულებითი სტანდარტები უკეთ იქმნებოდა, ვიდრე დღეს. მაშინდელი ქართული პრესის მესვეურები დღევანდელი ჟურნალისტებისგან რამდენიმეს თუ აიყვანდნენ სამსახურში პროფესიონალიზმისა და სიცრუის არკადრების გამო. მაშინდელი სიტყვა დღევანდელზე მეტად ფასობდა, მაშინ არჩევნების გაყალბების სისტემაში მოსახლეობის ნახევრის ჩაბმის შესაძლებლობას უფრო ძნელად დაიჯერებდა ქართველი კაცი, ვიდრე ადამიანის მთვარეზე გაფრენას.

დღეს არასამთავრობო ორგანიზაციებში, საექსპერტო წრეებსა და მედიაში მრავალი მოქალაქეა დაკავებული, რომლებიც თავიანთი პუბლიკაციებითა თუ საუბრებით სერიოზულ გავლენას ახდენენ საზოგადოებრივი აზრისა და პოზიციების ფორმირებაზე. მაგრამ ხშირად იგრძნობა კვალიფიკაციის ან/და სინდისის ნაკლებობა, რაც იწვევს ფუნდამენტურ საკითხებში არათანამიმდევრულობას, ზედაპირულობას, კერძოსა და საზოგადოს ერთმანეთში აღრევას. შედეგად, ვერ იქმნება და ვერ ნარჩუნდება სწორი ორიენტირები და სტანდარტები.

და მივიღეთ სურათი, როდესაც დიდწილად სამოქალაქო საზოგადოება იტოვებს უფლებას აკრიტიკოს, მიუთითოს (რაც მნიშვნელოვანია), მაგრამ უარს აცხადებს პასუხისმგებლობაზე თავად ჩაერთოს, აღზარდოს და აშენოს. ამიტომ, იმისთვის, რომ ქართული საზოგადოება შედგეს როგორც რაციონალური საზოგადოება, გააზრებულ საკითხებზე მოკამათე და არა ემოციურად ერთმანეთის მაძაგებელი ან მაკრიტიკებელი, აუცილებელია თავისი წილი პასუხისმგებლობა აიღოს ყველამ, საქართველოს ყველა მოქალაქემ. ყველა ერთად უნდა გამოვიდეთ ლოდინის რეჟიმიდან და აქტიურად ჩავებათ სახელმწიფოს მშენებლობის პროცესში.

ჩემი აზრით, დღეს, როდესაც ხელისუფლება უკვე სტაბილურია, როდესაც ის სწორი მიმართულებით მიდის და ყველა შანსი აქვს წარმატებით გაართვას თავი დასახულ ამოცანებს, ჩვენი მორიგი, ყველაზე მნიშვნელოვანი ამოცანა გახლავთ სწორედ ჯანსაღი, საკუთარი ფუნქციის მქონე, საკუთარი პასუხისმგებლობის შეგრძნებით აღსავსე სამოქალაქო სექტორის განვითარება, ისეთი საზოგადოების ფორმირება, რომელიც არა მხოლოდ აკრიტიკებს, არამედ თავადაც ჩაებმება, აღზრდის და ამით ხელს შეუწყობს ევროპული ყაიდის, დემოკრატიული, მოქალაქეზე ორიენტირებული სახელმწიფოს საბოლოოდ ჩამოყალიბებას. ჩვენ უნდა მივაღწიოთ ისეთ საზოგადოებას, რომელზეც დიდი ილია ოცნებობდა - „ყველამ ერთად და თითოეულმა ცალ-ცალკე უნდა იცოდეს, რომ იგი განუყოფელი ნაწილია ერისა და ამიტომ თავის კეთილ დღეობას უნდა ეძებდეს მარტო მთელი ერის კეთილდღეობაში და არა ცალკე“.

სამოქალაქო საზოგადოებაში ჩემი გადასვლის მიზანია შეძლებისდაგვარად დავაჩქაროთ:

- სამოქალაქო საზოგადოების აქტორების - „აზრის ლიდერების“ პროფესიული ზრდა;
- ადამიანური რესურსის, ახალი სახეების შემოყვანა სამოქალაქო სექტორში და მათთვის მოტივაციის გაჩენა; ინოვაციური იდეების აკუმულირება და დანერგვა;
- ხელისუფლების კონტროლის ეფექტიანი მექანიზმის შემუშავება, რაც გულისხმობს არა მხოლოდ კრიტიკას, არამედ მისთვის ჯანსაღი იდეების შეთავაზებას ქვეყნისა თუ ხელისუფლების ნებისმიერი შტოს განსავითარებლად.

ამ გზით ჩვენ ხელისუფლების კონტროლის ყველაზე ეფექტიან მექანიზმსაც ვქმნით და საზოგადოებასაც ხელში ვაძლევთ ბერკეტს - იტვირთოს პასუხისმგებლობა ქვეყანაში მიმდინარე პროცესებზე.

ამასთან, მე ვაპირებ ბევრი ვიმუშაო ახალგაზრდობასთან იმისათვის, რომ რაც შეიძლება გაიზარდოს მათი აქტიურობა და ჩართულობა, და შესაბამისად, პასუხისმგებლობაც სახელმწიფოსა და საზოგადოებაში მიმდინარე პროცესებში. თანაც, ახალი აქტორების წარმოჩენით გაიზრდება კონკურენცია, გზა გაეხსნებათ ახალ სახეებს და არავის ექნება სამუდამოდ გარანტირებული ადგილი. ამავე დროს, როდესაც ჩვენ მუდმივ საკადრო შიმშილს განვიცდით, ეს იქნება ნოყიერი საკადრო რესურსი როგორც კერძო, ისე სახელმწიფო სექტორისთვის.

საბოლოოდ, იმედი მაქვს, რომ დავაჩქარებთ საზოგადოების პოლიტიკური კულტურის გაზრდას, რაც თავისთავად განამტკიცებს ჩვენი ქვეყნის სტაბილური განვითარების გარანტიებს და ევროპულ სტანდარტებს მიგვაახლოებს.

ახლა, დამატებით მათთვის, ვისთვისაც ჩემი განმარტებები საკმარისი არ არის:

როცა ერთმანეთს ვენდეთ და ერთმანეთის გვერდში დავდექით, ჩვენ შეუძლებელი შევძელით - პირველად ახალი საქართველოს ისტორიაში არა მარტო მშვიდობიანად და კონსტიტუციურად შევცვალეთ ხელისუფლება, არამედ განსაკუთრებული რყევებისა და შეცდომების გარეშე, საპარლამენტო არჩევნებიდან დღემდე, სტაბილურობისა და წინსვლისკენ ვატარეთ ქვეყანა და ეს არცთუ ადვილად დასაძლევი ამოცანა იყო. ჩვენი გამარჯვება ერთადერთ რამეს ეფუძნებოდა - ჩვენს ურთიერთნდობას. და ეს გამოცდილება მკარნახობს, ამჯერადაც გთხოვოთ, ნდობით მოეკიდოთ ჩემს გადაწყვეტილებას და დამიდგეთ გვერდში. გარწმუნებთ, მომავლის გადმოსახედიდან ეს საქართველოს საზოგადოების განვითარებისთვის წინგადადგმული და წარმატებული ნაბიჯი იქნება.

ის, რაც ჩვენ უკვე შევძელით, ვფიქრობ, ჩემი გადაწყვეტილებების მიმართ ნდობის საფუძველი ნამდვილად არის. მე ზუსტად ვიცი, რისი გაკეთება მინდა და რას მოუტანს ეს საზოგადოებას. გავკადნიერდები და შეგახსენებთ - პოლიტიკაში შემოსვლის პირველი დღიდან თითქმის შეცდომების გარეშე გავაკეთე ყველაფერი, პროგნოზებიც კი.

პირველი, მოდით, გულწრფელი ვიყოთ: განა ბევრს სჯეროდა, რომ სააკაშვილს არჩევნების გზით, უსისხლოდ დავათმობინებდით ხელისუფლებას?! ყველას გვახსოვს სააკაშვილის წინამორბედი ხელისუფლებები – გაცილებით სუსტი სახელმწიფო აპარატით, ნაკლებად ორგანიზებული და ცენტრალიზებული სამართალდამცავი სტრუქტურებით, და შემდეგ სააკაშვილი, – ავტორიტარული მართვის სტილით, არაერთგზის გაყალბებული არჩევნებით, 7 ნოემბრით, „იმედის“ დარბევით თუ 26 მაისით...

შესაბამისად, თუ გავიხსენებთ, როგორ მოახერხა ჩვენმა საზოგადოებამ პირველი ორი მთავრობის შეცვლა, პრაქტიკულად შანსი არ რჩებოდა მშვიდობიანად გაგვესტუმრებინა სააკაშვილის ხელისუფლება. ჩვენ, ფაქტობრივად, შეუძლებელი შევძელით. უცნაურია, მაგრამ არავის დაუსვამს კითხვა, როგორ მოვახერხეთ ეს. არავის უცდია იმ ფაქტორების გაანალიზება, რომელთა წყალობითაც დამოუკიდებელმა საქართველომ თავის ისტორიაში პირველად შეძლო არჩევნებით, კონსტიტუციური გზით ახალი ხელისუფლების მოყვანა. როგორ? მოგვიანებით ამ კითხვაზე პასუხს აუცილებლად გავცემ. ერთი კი ცხადია, – ჩვენ ვაჯობეთ შიშს, ტერორზე დამყარებულ უზარმაზარ სახელმწიფო მანქანას, არჩევნების შედეგების გაყალბებისთვის მომართულ მთელ საარჩევნო აპარატს. მე მინდა, ხელისუფლებამ ისწავლოს იყოს პირნათელი კანონთანაც, საკუთარ ხალხთანაც და პარტნიორებთანაც. ჩვენ ეს მოვახერხეთ ყველაზე რთულ, კოჰაბიტაციის პროცესში – შევინარჩუნეთ ჩვენი საზოგადოების მხარდაჭერაც და ამავდროულად გავაღრმავეთ ურთიერთობები ჩვენს ამერიკელ და ევროპელ პარტნიორებთანაც. დამერწმუნეთ, ეს იოლი არ იყო. ვითარება ჩვენგან თითქმის შეუთავსებლის შეთავსებას ითხოვდა: ერთი მხრივ, იყო ჩვენი საზოგადოების უპირობო და სრულიად სამართლიანი მოთხოვნა - წინა ხელისუფლებას პასუხი ეგო 9 წლის განმავლობაში საკუთარი ხალხის წინააღმდეგ ჩადენილი, მართლაც გაუგონარი დანაშაულებებისათვის; მეორე მხრივ კი – ჩვენი დასავლელი პარტნიორების გამახვილებული მზერა და არაერთგზის გამოთქმული სურვილი, თავი აგვერიდებინა წინა ხელისუფლების წარმომადგენელთა მასობრივი დევნისათვის და სამართლის აღსრულების პროცესში არ გადაგვეხვია კანონის მოთხოვნებიდან. ანუ არ შევდგომოდით იგივე გზას, რითაც სააკაშვილის ხელისუფლებამ დაიწყო, – როცა „ნაციონალები“ დაკავებების დროს სრულიად უგულებელყოფდნენ კანონის მოთხოვნებს. შემდეგ კი უკანონობის მსხვერპლი მთელი საზოგადოება გახდა. ვფიქრობ, ჩვენ მოვძებნეთ ოქროს შუალედი და ამით ქართული პოლიტიკური და სამართლებრივი კულტურისთვის უპრეცედენტო რამ შევძელით – სამართალს აღვასრულებთ კანონის მოთხოვნათა შესაბამისად. და გარწმუნებთ, ამ სიკეთით საზოგადოება კიდევ დიდხანს ისარგებლებს.

მეორე. მთელი ჩემი შეგნებული ცხოვრება გულწრფელად ვემსახურებოდი ჩემს სამშობლოს. მგონი, პირნათლად ვასრულებდი ჩემს მოვალეობას ქვეყნის წინაშე. 2011 წლის 4 ოქტომბერს პოლიტიკაში შემოსვლით პირდაპირი მნიშვნელობით თავი გავწირე და გავწირე ჩემი ოჯახიც. ნუთუ ამის შემდეგ შეიძლება ვინმეს აზრად მოუვიდეს, რომ ჩემს სამშობლოს ახლა შევაქცევ ზურგს, ასეთ საინტერესო დროს, როცა აღმშენებლობა იწყება, და არ გავაკეთებ მაქსიმუმს ჩემი ქვეყნისათვის?!

დაბოლოს, ყველაზე დიდი სკეპტიკოსებისთვის:

მიუხედავად იმისა, რომ დარწმუნებული ვარ, ამის საჭიროება არ დადგება, თუ ამას აუცილებლობა მოითხოვს, მე დავუბრუნდები აქტიურ პოლიტიკას.

ვფიქრობ, ამ წერილის შემდეგ აღარ უნდა დარჩეს კითხვები პოლიტიკიდან ჩემი წასვლის მიზეზებისა თუ მიზნების შესახებ. რაც შეეხება წასვლის დროს, ამასაც წინასწარ ვაცნობებ საზოგადოებას მას შემდეგ, რაც დავრწმუნდები, რომ წარმატებით ჩატარდა საპრეზიდენტო არჩევნები. მჯერა, რომ ამ არჩევნებში პირველივე ტურში გაიმარჯვებს კოალიციის კანდიდატი გიორგი მარგველაშვილი. მე წავალ მაშინ, როდესაც დავრწმუნდები, რომ ჩვენ არჩეულ კურსს ვერავინ და ვერაფერი შეცვლის, როდესაც ყველა სახელმწიფო ორგანო და თანამდებობის პირი მწყობრად იმუშავებს და როდესაც დავრწმუნდები, რომ ქვეყანა სტაბილურად ვითარდება.



# როდის მოხდება ქართული ეკონომიკური სასწაული?

## რატომ ცხოვრობს სიღარიბეში ბუნებრივი რესურსებით უმდიდრესი ქვეყნის, საქართველოს, მოსახლეობა?



**საქართველოს ყველა რესურსი გააჩნია გახდეს უმდიდრესი ქვეყანა, ამბობს საქართველოს ჟურნალისტთა შემოქმედებითი კავშირის თავმჯდომარე ჰამლეტ გეგია, რომელმაც ჯერ კიდევ 1999 წელს თანამოაზრეებთან ერთად დააფუძნა ეკონომოკური მოძრაობა „საქართველო - ხალხისათვის“.**

– 2000 წლის საპარლამენტო არჩევნების პერიოდში პირდაპირ ეთერში ვასაბუთებდი, რომ საქართველო არის უმდიდრესი, ქუვეითზე მდიდარი, ქვეყანა, რომ ჩვენ გვაქვს, თუნდაც კვლავწარმოქმნადი სასმელი წყალი . მაშინ დავსვი საკითხი: რატომ ხდება, რომ ქუვეითი იქცა აყვავებულ, ხოლო საქართველო მათხოვრების ქვეყნად. იმასაც ვამბობდი, რომ ქვეყნის გალატაკების მიზეზი იყო ხელისუფლების დანაშაული, არ იქნა გათვალისწინებული რეალური პრიორიტეტები. შეგნებულად **90-იან წლებში, შევარდნაძის მმართველობის დროს, მოხდა ე.წ. სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების კაპიტალიზაცია-შეფასება გაუგებარი ინდექსით, შემდგომში მოსახლეობას დაურიგეს ვაუჩერები, რაც იყო საქართველოს მოსახლეობის შეურაცხყოფა, რადგანაც იგი არანაირად არ ასახავდა ქვეყნის სიმდიდრის თითეულ ადამიანზე გადანაწილების პრინციპს, არც შინაარსით, არც ფორმით და გამოიწვია ხელისუფლებისადმი უნდობლობა. ამას დაემატა ახალი კერძო ბანკების მიერ მოტყუებული და გაძარცული მოსახლეობის დიდი ნაწილი. მოტყუებითა და თაღლითობით გარკვეულმა პოლიტიკურმა და ფინანსურმა ჯგუფებმა მოსახლეობას წაართვეს ეკონომიკური რესურსის ძირითადი ნაწილი, მიიტაცეს ბანკებში შეტანილი მოსახლეობის მილიარდობით ანაბრები.** სამწუხაროდ, ამ დანაშაულზე არავინ აგო პასუხი და არც სერიოზული ანალიზი გაკეთებულა დღემდე, თუ რა მოხდა მაშინ. ყოველივე ამან საქართველოს ეკონომიკის განვითარებაზე უდიდესი უარყოფითი გავლენა იქონია - ერთ-ერთი უმდირესი ქვეყანა ყოფილ საბჭთა კავშირში შორის გაჭირვებულ ქვეყნად აქციეს.

— საერთაშორისო კანონმდებლობის თანახმად თითეულ ერ სახელმწიფოს თავის ბუნებრივ სიმდიდრეზე და რესურსებზე გაუსხვისებელი სუვერენიტეტი აქვს მინიჭებული, რომელიც შეიძლება გამოყენებული იქნას მხოლოდ ეროვნული ინტერესებისა და ხალხის საკეთილდღეოდ. საერთაშორისო კანონმდებლობა სახელმწიფოს მოვალეობას აკისრებს ხელი შეუწყოს ერის ეკონომიკურ დამოუკიდებლობას და განვითარებას.

ამ სატელევიზიო გამოსვლის შემდეგ ავტოავარიაში მოვხვდი. მაქვს ეჭვი, რომ ავარია სპეციალურად იყო მოწყობილი.

— მინდა ასევე ვთქვა, რომ 1999 წელს, აშშ-ის თანამგზავრული გეოლოგიური სკანირების კვლევის საფუძველზე გამოქვეყნდა ძალიან საინტერესო ინფორმაცია. დადგინდა, რომ საქართველო მთლიანად დგას ნავთობზე.

**— თქვენ ფიქრობთ, რომ ავტოავარია მოგიწყვეს განცხადების გამო, რომ საქართველო მდიდარი ბუნებრივი რესურსების მფლობელია?**

– სხვათაშორის, შევარდნაძის ერთ-ერთმა დაახლოებულმა პირმა, რომელსაც კარგად ვიცნობდი და რომელსაც ჩემზე გული შესტკიოდა, მისაყვედურა, რატომ თქვი, რომ საქართველო უმდიდრესი ქვეყანა არისო?

**— განა ეს საიდუმლო იყო?**

— ვფიქრობ, რომ ეს არა მარტო მაშინ იყო საიდუმლო, ახლაც საიდუმლოა. არ გამოვრიცხავ, რომ ახლაც არ შემექმნება პრობლემები. მე ყოველთვის ვლობირებდი პროექტს, რომ საქართველო არის უმდიდრესი ქვეყანა და მისი სიმდიდრე ეკუთვნის ხალხს. გონიერება უნდა ეყოს მთავრობას ამ უმდიდრესი რესურსებით თვითონაც ისარგებლოს და ხალხსაც ასარგებლოს.

**— თქვენ ასევე აცხადებდით, რომ რეალურია ქართული ეკონომიკური სასწაული. რომ მოკლე ვადებში შესაძლებელია მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესება. ახლაც იგივე აზრის ხართ?**

— ამჟამად საქართველოს ბიუჯეტი 7 მილიარდ ლარს შეადგენს, მაგრამ თუ ბიუჯეტი სწორად დაიგეგმება, 15 მილიარდ დოლარსაც გადასცდება.

**— 7 მილიარდ ლარს შეადგენდა ნაცმოძრაობის მმართველობის დროს?**

— დიახ.

**— მაგრამ ბიუჯეტის 7 მილიარდამდე ზრდის მიმართ ბევრი კრიტიკა გვსმენია, რომ ბიუჯეტი არაწესიერი გზით ივსებოდა.15 მილიარდამდე ბიუჯეტის ზრდა სამართლიანი მეთოდებით არის შესაძლებელი?**

— გეთანხმებით, რომ ბიუჯეტის შევსება არაწესიერი გზით ხდებოდა. სხვათაშორის, წესიერი გზით რომ მომხდარიყო, უფრო მეტი საშუალება იქნებოდა . ბიუჯეტი მარტო გადასახადებით არ უნდა ივსებოდეს. სახელმწიფო ბიუჯეტის შევსება ხელისუფლებისათვის თვითმიზანი არ უნდა იყოს, იგი უნდა ემსახურებოდეს ხალხის კეთილდღეობასა და ეკონომიკის აღორძინებას. მას პარლამენტი და აღმასრულებელი ხელისუფლება გონივრულად, ეკონომიკურად უნდა ხარჯავდეს, ასევე აუცილებელია კანონი გამკაცრდეს ბიუჯეტის ხარჯების არამიზნობრივი გამოყენების თვალსაზრისით.

**საზოგადოებამ მის მიერ არჩეულ მთავრობას, პარლამენტს უნდა მოსთხოვოს პასუხი: თუ ჩვენ ასეთი მდიდარი ქვეყანა ვართ, რატომ გვხელმძღვანელობთ ასე უნიათოდ? რატომ არ არსებობს ეკონომიკური განვითარების პრიორიტეტები? რატომ არ არსებობს ეროვნული იდეოლოგია, რომელიც ფორმატში მოაქცევს ეკონომიკური განვითარების სტრატეგიას?**

პასუხი იქნება ძალიან საინტერესო, სამწუხაროდ, არც ყოფილ და არც ახალ მთავრობას არც ეროვნული იდეოლოგია, არც სახელმწიფოებრივი ხედვები არ გააჩნია. ვფიქრობ, არც ეკონომიკური პროგრამა გააჩნია. არც გრძელვადიანი და არც მოკლევადიანი.

**— საზოგადოება ამ კითხვაზე პასუხს 23 წელი სთხოვს მთავრობებს, მაგრამ პასუხს ვერ ღებულობს.**

— ქვეყნის რესურსების კაპიტალიზაციის შემთხვევში ბიუჯეტი ათეულობით მილიარდ დოლარს მიაღწევს. საქართველოს მოქალაქეს დღეს დაუტოვეს მხოლოდ პასპორტი. მას აღარ აქვს მიწა, აღარ აქვს სამუშაო ადგილები, აღარ აქვს შემოსავალი, მაშინ როცა არის უმდიდრესი ქვეყნის პატრონი.

**— ე.ი. თქვენ სახალხო კაპიტალიზმის მომხრე ხართ?**

— სახალხო კაპიტალიზმი როგორც იდეოლოგია, როგორც ცივილიზაციის აღმოჩენა ინგლისში მე-20 საუკუნეში დაიბადა.

მაშინ დაიწყო სახალხო კაპიტალიზმის მშენებლობა, შემდეგ აშშ-მა ეს შეხედულება განავითარა და თითქმის სახელმწიფო იდეოლოგიად აქცია. ამტიცებდნენ მაშინ ექსპერტები, ეკონომისტები, რომ ფაქტობრივად ეს არ არისო კაპიტალიზმი, რომ თანამედროვე ცივილური კაპიტალიზმი არის სახალხო. იმიტომ რომ როდესაც მსხვილი მონოპოლიები იქმნება, თვითონ ფირმები ცდილობენ ხელფასებთან ერთად მისცენ ხალხს აქციებიც. ფაქტიურად ყველა დასაქმებული თუ დაუსაქმებელი ადამიანი მესაკუთრე ხდება მომგებიანი და წარმატებული ბიზნესისა, ხდება მფლობელი ფასიანი ქაღალდების. რუსეთში პირველად სახალხო კაპიტალიზმის პროექტის და პარტიის დამფუძნებელი განთქმული ექიმი ოფტალმოლოგი სვიატოსლავ ფიოდოროვი გახდა, რომელიც მალევე გაურკვეველ ვითარებაში დაიღუპა.

**— ანუ, ამერიკაში სახალხო კაპიტალიზმის პრინციპის თანახმად ყველას აქვს აქციები?**

— თითქმის ყველას აქვს. სხვათაშორის, სახალხო კაპიტალიზმის წარმომადგენელია ჩვენი პრემიერი ბიძინა ივანიშვილი . მას აქვს მსოფლიო ციფრული ტექნოლოგიების ბრენდების აქციები და ა.შ. სახალხო კაპიტალიზმი არის ყველაზე ცივილური ფორმა. მოქალაქეები დაინტერესებული უნდა ვიყოთ ჩვენი სახელმწიფოს გაძლიერებაში, ბიუჯეტის ზრდაში. ეს ჩვენ შემოსავალზე უნდა აისახებოდეს. მარტო ხელფასით რატომ უნდა იყოს ადამიანის შემოსავალი განსაზღვრული, როცა შესაძლებელია მას ჰქონდეს მომგებიანი სახელმწიფო ფასიანი აქციებისა და სხვა ფასიანი ქაღალდების დივიდენდებიდან შემოსავალი.

**— ვინ იყვნენ თქვენი თანაგუნდელები ეკონომიკურ მოძრაობაში?**

— გეოლოგები იყვნენ ძალიან აქტიურად ჩართული, გეოლოგიის დეპარტამენტი., მრავალი ცნობილი ეკონომისტი. 2002 წელს შეიქმნა პროექტი საქართველოს წყლის საერთაშორისო კორპორაცია და რომ არ მომხდარიყო „ვარდების რევოლუცია“, სასმელი წყლის საერთაშორისო კორპორაცია ფაქტიურად შექმნილი იყო.

**— მერე რა მოხდა?**

— საქართველოში სააქციო საზოგადოების პრინციპებზე დაარსდა ნავთობის საერთაშორისო კორპორაცია, მსგავსი სქემით უნდა ამოქმედებულიყო სასმელი წყლის კორპორაცია, რომელსაც ექნებოდა მილიარდობით შემოსავალი, რა თქმა უნდა, თუ სწორი ლობირება მოხდებოდა. ვინმეს არ ეგონოს, რომ ჩვენ არ გვესმის ამასთან დაკავშირებული პრობლემების. გვესმის, რომ ეს ბაზარი მონოპოლიზებულია, მონოპოლისტები არიან ძირითადად საფრანგეთი, იტალია და ა.შ. მაგრამ საფრანგეთს წყალი აღარ აქვს, იტალიასაც უჭირს, საქართველოს კი ჭარბი წყალი აქვს.

**— თუმცა რატომღაც საქართველოს უამრავ რეგიონს უწყლობის პრობლემა აწუხებს.**

— ვფიქრობ, რომ ეკონომიკური პოლიტიკის არქონაც პოლიტიკაა. იმედი მაქვს, როცა ბიძინა ივანიშვილი არჩევნების შემდეგ პოლიტიკიდან წავა, მეტი საშუალება გაუჩნდება საქართველოს რესურსების კაპიტალიზაციას სერიოზული ყურადღება მიაქციოს

**რატომღაც მგონია, რომ ქართველების გალატაკება შეგნებულად ხდება. ფიზიკაში არსებობს მცნება — ტორიჩელის სიცარიელე. ამ თეორიის თანახმად ბუნება ვერ იტანს სიცარიელეს და აქედან გამომდინარე, სიცარიელე ყოველთვის ივსება. ფაქტიურად საქართველოში შეგნებულათ ხდება ტორიჩელის სიცარიელის თეორიის მსგავსი მოვლენები . ქართველ კაცს მიწა გაუყიდეს, ქართველი კაცი არ არის დასაქმებული, შემოსავლის არანაირი წყარო აღარ აქვს. იძუ-**


იხილეთ „საერთო გაზეთი“ ინტერნეტში
www.saertogazeti.ge
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

# დამტკიცებულია, რომ საქართველო ქუვეითზე უფრო მდიდარი ქვეყანაა — ის მთლიანად ნავთობზე დგას!

# მიედინება თუ არა საიდუმლო გვირაბით აზერბაიჯანში ქართული წყალი?

**ლებულია გავიდეს სხვა ქვეყანაში, ნებისმიერ სამსახურზე დათანხმდეს. როცა ქვეყნიდან მოსახლეობის ნაწილი გადის, აუცილებლად სხვები შემოვლენ. 1 მილიონი ქართველი გადის, 1 მილიონი უცხოელი შემოვა. სწორედ ეს არის ტორიჩელის თეორია. ყოფილი ხელისუფლება შეგნებით ახორციელებდა გეგმას, მაქსიმალურად შემოყავდა უცხოელები. ინვესტიციების მხრივ ეს ცუდი არ არის, მაგრამ აქ ლაპარაკია მოქალაქეობის სტატუსის მიცემაზე და ცოტა ხანიც რომ გვეცალა, ფაქტიურად საქართველოს უმრავლესობა იქნებოდა არაქართველი.**

ეროვნული ინტერესების გარეშე კი ეკონომიკის განვითარება შეუძლებელია. საქართველო ერთ-ერთი უძველესი ქვეყანაა მსოფლიოში, თავის დამწერლობით, კულტურით და თუ განადგურდა, ცივილიზაციისთვის ძალიან დიდი დანაკარგი იქნება.

**— ახალი ხელისუფლება ამ პოლიტიკას ცვლის თუ აგრძელებს?**

— ვერ ვხედავ ეკონომიკაში ძვრებს, ახალ მიდგომებს, ქართველები საქართველოში ძალიან მალე უმცირესობაში აღმოვჩნდებით. სპეციალურად უცხოელებს სტატუს აძლევდნენ მოქალაქის, რომ შემდეგ ელექტორატი ყოფილიყო არაქართველი. რა თქმა უნდა გარანტირებული ქონდათ არჩევნებზე ხმები და გამარჯვება. იმიტომ რომ ემიგრაციაში წასული ქართველების ხმების იმედზე ვერ ვიქნებით, უცხოეთში მოახლედ წასულ ქართველს ბატონი არჩევნებზე გაუშვებს?! მაგრამ მინდა თქვენს მკითხველს გულრწფელად ვუთხრა, რომ არ არის მთლად ასე მსოფლიო წესრიგი მოწყობილი. ქართველებმა უნდა დავასაბუთოთ, რომ ცივილიზაციისთვის ქართველების არსებობა არის მნიშვნელოვანი. ღმერთის ნებით განპირობებულია ჭიანჭველის არსებობაც კი, ეკოლოგიაში, კარგად მოგეხსენებათ ერთი პატარა ჯაჭვი თუ გაწყდა, ამას კატასტროფები მოყვება.

**— ვარდების რევოლუციის შემდეგ რა მიზეზით, ვინ შეაჩერა სასმელი წყლის საერთაშორისო კორპორაციის პროექტი?**

— ვფიქრობ, რომ ეს მოხდა შეგნებით. სხვა თუ არაფერი, იყო ასეთი პიროვნება - გურამ უსტიაშვილი, დემოკრატიული პარტიის დამფუძნებელი და პარლამენტის ყოფილი წევრი. მან გაასაჯაროვა საიდუმლო ინფორმაცია, კახეთში უნიკალური, მიწისქვეშ არსებული მტკნარი სასმელი წყლის არსებობის შესახებ, რომელიც გერმანელების მიერ აშენებული ქვით მოპირკეთებული გვირაბის საშუალებით აზერბაიჯანის სახელმწიფოს მიეწოდება. გარკვეული პერიოდის შემდეგ გურამ უსტიაშვილი გარდაიცვალა.

**როგორც ჩემთვის ცნობილია, აზერბაიჯანს დღემდე დიდი ოდენობით უნიკალური სასმელი წყალი მიეწოდება.**

**— ეს თანხა შედის საქართველოს ბიუჯეტში?**

— არ ვიცი. ამ თემაზე დუმს ყველა, ვიღაცას აქედან შემოსავალი აქვს. ბაქოში მომიწია გარკვეული პერიოდი ცხოვრება, იქ სასმელი წყალი არ დაილევა. ქართული წყალი კი ნავთობზე ძვირი ღირს, მითუმეტეს მიედინება სპეციალური ქვის, ბაზალტის გვირაბით, ეს წყალი შეიცავს განსაკუთრებულ მინერალებს. მილში გატარებული წყალი თავის თვისებებს კარგავს, ამ გვირაბის მეშვეობით თავის განსაკუთრებულ თვისებებს ინარჩუნებს.



**— რა ბუნებრივი რესურსები გააჩნია კიდევ საქართველოს?**

— სოროსის ფონდის კვლევების თანახმად, რომელიც განახორციელა ქართველ მეცნიერთა ჯგუფმა, ჯგუფის გათვლებით საქართველოში არასაბაზრო მინიმალური გათვლებით გეოლოგიური რესურსები 1,3 ტრილიონ დოლარზე მეტს შეადგენს და ეკუთვნის მსოფლიო ეკონომიკის სტრატეგიულ რესურსებს. არსებობს მოთხოვნაც. ეს რაც შეეხება საქართველოს გეოლოგიური რესურსების მინიმალურ შეფასებას. თუ ამას დავუმატებთ ჩვენს გეოპოლიტიკურ სატრანზიტო და სხვა მნიშვნელოვანი ასპექტების არსებობას დასავლეთისათვის, ამერიკისათვის, რუსეთისათვის, ჩვენი მეზობლებისათვის სატრანზიტო და სხვა დანიშნულების თვალსაზრისით, რა თქმა უნდა, საქართველო ერთ სულ მოსახლეზე ერთ-ერთი ყველაზე მდიდარი ქვეყანაა. არც ერთ მთავრობას სურვილი არ აქვს მოახდინოს ამ რესურსების კაპიტალიზაცია. კაპიტალიზაციის და სააქციო საზოგადოებების შექმნის გარეშე საქართველოს ეკონომიკას განვითარება არ უწერია. ეს ყველაზე კარგად ბატონმა პრემიერმა იცის. მან უნდა მიგვახვედროს მაინც, რომ არსებობს რაღაც ძალა, რომელიც ხელს გვიშლის საქართველოში ეკონომიკის განვითარებაში. რადგანაც თუ ეკონომიკა განვითარდა და ქართველებმა კარგად იცხოვრეს, ისინი ამ ქვეყნიდან აღარ წავლენ და მათ ადგილს სხვა ხალხები ვერ დაიკავებენ.

**— ბიძინა ივანიშვილს შეუძლია არსებული სიტუაცია შეცვალოს?**

— ძალიან კარგად ესმის ფასიანი ქაღალდების მნიშვნელობა, მისი მილიარდები ფასიანი ქაღალდების გარეშე ვერ შეიქმნებოდა.

**ჩვენ შეგვიძლია, საერთაშორისო კანონებისა და სახელმწიფოთა შორის ეკონომიკური ურთიერთობების გათვალისწინებით ერთ საათში მილიარდები შემოვიტანოთ. ჩვენი რესურსების გონივრული მოხმარების შემთხვევაში, თვითწარმოქმნადი და განახლებადია. ასეთია ჰიდრორესურსები, სასმელი წყალი, ოქრო, მარგანეცი, ბაზალტი და ა. შ. უამრავი დასახელების რესურსია, რომელიც ტრილიონობით დოლარი ღირს და არის ძალიან მოთხოვნადი. ვფიქრობ, ამის დაკონსერვება ხდება შეგნებულად. ალბათ რაღაც გეგმა არსებობს, რომელიც ჩვენი მთავრობის ნებაზე უფრო ძლიერია.**

შეიძლება გასაიდუმლოებულიც არის. ხომ გითხარით, როდესაც დავიწყე დასაბუთება, რომ ასეთი მდიდარი ქვეყანა ვართ, პრობლემები შემექმნა..

**— ეკონომიკური სასწაულისთვის ალბათ თანხებია საჭირო?**

— თუ ჩვენ გადავხედავთ ქვეყნებს, სადაც ეკონომიკური სასწაული მოხდა, დავინახავთ, რომ დაფინანსება მოდიოდა უცხოეთიდან. მაგალითისთვის შეგვიძლია მოვიყვანოთ იაპონია, გერმანია, კორეა, ქუვეიტი, ჩინეთი და ა.შ. ჩვენ რა რესურსები გაგვაჩნია იმისთვის, რომ ეკონომიკური სასწაული მოვახდინოთ? ჩვენ გვაქვს უდიდესი ბუნებრივი რესურსები, რომელიც ეკუთვნის ქართველ ხალხს, საქართველოს მოქალაქეებს. რა გვჭირდება?! გვჭირდება უბრალოდ კონკრეტული გეგმის შედგენა, უნდა შევქმნათ სახელმწიფო სააქციო საზოგადოებები, რომელიც ფაქტიურად ამ კაპიტალიზაციის საფუძველზე შეძლებს ფასიანი ქაღალდების გამოშვებას. დარწმუნებული ვარ, თუ სწორი მართვა იქნება, ამ ფასიანი ქაღალდებით, მოსახლეობას გარანტირებული შემოსავალი გაუჩნდება.

**— ფასიანი ქაღალდები ფული ღირს, ამის საშუალება ბევრს არ აქვს, ისევ მდიდრები შეიძენენ და კიდევ უფრო გამდიდრდებიან, დანარჩენები ისევ სიღატაკეში დარჩებიან. ოფიციალური სტატისტიკით თითქმის მილიონი ადამიანი სოციალურად დაუცველია, მილიონზე მეტი უმუშევარია და შესაბამისად, შემოსავალი არ აქვს.**

— ჩვენ ხომ შიდა ვალები გვაქვს. ჩვენ რომ შიდა ვალები დავარიგოთ ამ აქციების სახით, ყველა სოციალურად დაუცველი ოჯახის ფინანსური მდგომარეობა გაუმჯობესდება. შეიძლება ხელფასების, დახმარების სახით აქციების 15% მივცეთ მოსახლეობას. დღეს ეკონომიკას რატომ უჭირს? იმიტომ უჭირს, რომ ხალხს ფული არ აქვს. დღეს სამწუხაროდ პრიმიტიული მიდგომებია, რომ ადამიანები მოატყუონ. განსაკუთრებით ეკონომისტები ატყუებენ ადამიანებს. საქართველო ხალხისთვის უნდა იყოს. საქართველოს აქვს რესურსი ქვეყანა ფეხზე დააყენოს და ეკონომიკური სასწაული მოახდინოს. ამის გამკეთებელი სამწუხაროდ ვერ აღმოჩნდა წინა ხელისუფლება, ამის გამკეთებელი შეიძლება გახდეს ბიძინა ივანიშვილი.

**— ბიძინა ივანიშვილი 2 თვეში მიდის პოლიტიკიდან...**

— მისი წასვლის შემთხვევაში ინტერესთა კონფლიქტი მის ფინანსურ და პიროვნულ შესაძლებლობებს ვეღარ შეზღუდავს. მე მხარს ვუჭერ მის გადაწყვეტილებას დაუბრუნდეს საზოგადოებას და ხელი შეუწყოს დემოკრატიული, წარმატებული საქართველოს მშენებლობას. ბიძინა ივანიშვილს პოლიტიკიდან წასვლის შემდეგ მეტის გაკეთება შეუძლია. მას მთელი მსოფლიოს ელიტა ენდობა. მილიარდებს ნდობის გარეშე ვერ იშოვი.

ბიძინა ივანიშვილს ვთხოვდი, პირველ რიგში, ყურადღება მიაქციოს საქართველოს რესურსების კაპიტალიზაციას, ხელი შეუწყოს სააქციო საზოგადოებების და ფასიანი ქაღალდების ჩამოყალიბებას, საერთაშორისო ფასიანი ქაღალდების ბირჟებზე განთავსების უზრუნველსაყოფად. ხელისუფლების, სააქციო საზოგადოებების, ფასიანი ქაღალდების, საბანკო სისტემის, ბიზნესისა და ბიზნესმენების მიმართ თუ არ აღდგა ნდობა და ურთიერთთანამშრომლობა, საქართველოს ეკონომიკური მომავალი არ აქვს. ჩვენ უუნარო ადამიანები აღმოვჩნდებით თუ ბატონ ბიძინა ივანიშვილის რესურსს არ გამოვიყენებთ ,თუ ბატონი ბიძინა ივანიშვილი დაკარგავს იმ უდიდეს სიმდიდრეს, რაც ხალხის ნდობის სახით გააჩნია. მას შეუძლია საქართველოში ააშენოს ბედნიერი, ეროვნულ იდეოლოგიაზე დაფუძნებული სააქციონერო სახელმწიფო, სახალხო კაპიტალიზმის ფორმატის. ეს არის თანამედროვე ცივილიზაციის განვითარების ხერხემალი. საქართველოს უნდა მიეცეს საშუალება გახდეს საერთაშორისო საფონდო ბირჟების პარტნიორი და აქტიური მონაწილე.

**— ანუ, მკვეთრად უნდა შეიცვალოს მიდგომები, ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა?**

— საქართველოს ჰყავს უნიჭიერესი ხალხი, მაგრამ მთელი უბედურება იმაშია, რომ ნიჭიერი და პატიოსანი ხალხი პოლიტიკაში არ მიდიან. იმდენად გააბილწეს, გააბახეს საქართველოში პოლიტიკა. დღეს თუ გინდა ფინანსურად მყარად იგრძნო თავი, პოლიტიკაში უნდა წახვიდე. სანამ ეს არ დასრულდება საქართველოში, სანამ პოლიტიკანობა მომგებიანი იქნება , სანამ არ შევაჩერებთ პოლიტიკანების დემაგოგიას და არ გადავალთ საქმეზე, ქართველებს არაფერი გვეშველება. ამიტომ დავიწყოთ ეკონომიკური მშენებლობით, ოღონდ ეროვნული იდეოლოგიის ფარგლებში. ერთმანეთს ეს ხელს არ უშლის, პირიქით. მე ადრე მივმართე პარლამენტს, ვთქვი რომ ნაციონალური იდეოლოგიის ფუნდამენტალური საფუძველი არის ადამიანის მენტალიტეტი, ეროვნული მენტალიტეტის შენარჩუნება. თუ ჩვენ ადამიანის უფლებების დაცვა შევიტანეთ კონსტიტუციაში, რატომ არ შეგვაქვს, რომ ეროვნული მენტალიტეტის შელახვით და დაკნინებით მნიშვნელოვნად ილახება ადამიანის უფლებები ?! ის მენტალიტეტი, რომლითაც მე ვცხოვრობ დაცული უნდა იყოს კონსტიტუციურად, რომ აღარავინ გაბედოს ქართველი კაცის მენტალიტეტის ჩარეცხვა და განადგურება. ეს უნდა იყოს კანონით დასჯადი ქმედება.

**ელენე ბარათაშვილი**
555 57 49 35

იხილეთ „საერთო გაზეთი“ ინტერნეტში
www.saertogazeti.ge
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

# ივანიშვილის გადადგომამ შეიძლება სამოქალაქო დაპირისპირებამდე მიგვიყვანოს

გვესაუბრება „გლობალური კვლევების ცენტრის“ ხელმძღვანელი **ნანა დევდარიანი:**

**— ქალბატონო ნანა, როცა „ქართულმა ოცნებამ“ დიდი გამარჯვება მოიპოვა, მაშინ ვერავინ წარმოიდგენდა, რომ ასეთი დაძაბული წინასაარჩევნო მარათონი გვექნებოდა. როგორ გესახებათ მოვლენების განვითარება?**

— ვითარება მართლაც ძალიან რთულია იმიტომ, რომ, რის გამოც საზოგადოებამ „ნაციონალურ მოძრაობას“ უარი უთხრა და



„ოცნების“ დაპირებებს მიენდო, აქედან არაფერი შესრულებულა. გული მწყდება, რომ იმავეს თქმა მიწევს, რასაც ხშირად „ნაციონალები“ ამბობენ, მაგრამ მათგან განსხვავებით, ამის თქმის მორალური უფლება მაქვს. რასაც „ნაციონალები“ 9 წლის მანძილზე აკეთებდნენ, იმასთან შედარებით „ოცნების“ მიერ დაპირების შეუსრულებლობა, არაფერია. ივანიშვილს არასოდეს დავუვიწყებ დამსახურებას, ეს საშინელი რეჟიმი რომ მოგვაშორა. მაგრამ საქმე ბოლომდე ვერ მიიყვანა. კოჰაბიტაციის ხსენებაც აღარ მინდა. ვინც არ უნდა დაგავალოს, გთხოვოს ან შეგაგონოს ამ რეჟიმთან თანამშრომლობა, იმდენი პრინციპულობა უნდა გქონდეს, რომ წითელი ზოლები გაავლო და „ნაციონალები“ გარკვეულ ზღვარს იქით აღარ გადმოუშვა ამას სხვა საკითხებიც ემატება, რაც კომპლექსში, ხალხში დიდ უკმაყოფილებას წარმოშობს. მთავარი საკითხია — რამდენი მილიარდია გატანილი ყაჩაღურად საქართველოდან „ნაცმოძრაობის“ მიერ და რამდენი ბიზნესმენია დაყაჩაღებული, გაკოტრებული, ქონება არავის დაბრუნებია. მესმის, რომ „ბანკი ქართუ“ მეპატრონეს დაუბრუნდა, მაგრამ სხვა არაფერი უნდა მოწესრიგებულიყო?! ამ ყველაფრის ფონზე იმის თქმა, ჩემს კანდიდატს დაუჭირეთ მხარი, მაგრამ მე წავალო, არანაირ ლოგიკაში არ ჯდება.

მარგველაშვილი სუსტი კანდიდატია. გამორიცხულია, ეს ივანიშვილმა არ იცოდეს. იგი ძალიან სუსტია, მაგრამ ივანიშვილის ხათრით, წასვლას რომ არ აპირებდეს, ხმას მისცემდნენ. ივანიშვილთან ტანდემში კიდევ შეიძლებოდა მოსახლეობას მისი კანდიდატურა მიეღო, მაგრამ ივანიშვილის გარეშე ვინაა მარგველაშვილი, რა შეუძლია? ამიტომ ძალიან სათუოა მარგველაშვილის გამარჯვება.

რაც არ უნდა გასაკვირი იყოს საპრეზიდენტო კანდიდატებიდან ყველაზე მეტი ძალა და ენერგია ნინო ბურჯანაძისგან იგრძნობა. ეს კანდიდატის მთელი შინაარსია და არა მარტო განცხადებები და თავის დაჭერის მანერა. ასე რომ, ბურჯანაძის რეიტინგის ზრდა სრულიად ლოგიკურია.

**— მარგველაშვილის დაპირებები — ერთის მხრივ, 27-ში კოაბიტაციის დასრულება და მეორე მხრივ, ის განცხადება, რომ რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნები არ იქნება, ალოგიკური ხომ არაა?**

— კოაბიტაციის დასასრული 2014 წელს ადგილობრივი არჩევნების მოგებით დაიწყება. ამის მაგივრად, პიარშიკებმა მარგველაშვილს კოაბიტაციის დასასრულად 27 ოქტომბერი უკარნახეს. მარგველაშვილისგან არ იგრძნობა, რომ კოაბიტაციას დაასრულებს. მას წმინდა პოლიტიკური გამოცდილება არ აქვს. რამდენიმე თვე განათლების მინისტრი იყო და ამ პერიოდში პოლიტიკურად ბევრი უმწიფარი განცხადება გააკეთა. კაცმა უმაღლესში სწავლა გააიაფა და ამ დროს განცხადება გააკეთა — სწავლა ძვირდებაო. შეიძლება რამდენიმე წელიწადში კარგი საპრეზიდენტო კანდიდატი იყოს, მაგრამ მანამდე პოლიტიკური სკოლა უნდა გაიაროს.

**— რამდენად დიდია მეორე ტურის გამართვის ალბათობა და როგორ წარმოგიდგენიათ, ვის შორის გაიმართება და რა შედეგს მივიღებთ?**

— არ გამოვრიცხავ, რომ ბურჯანაძე პირველივე ტურში პრეზიდენტი გახდეს. მეორე ტური თუ შედგა — ეს ბურჯანაძესა და მარგველაშვილს შორის მოხდება.







ამ ორ კანდიდატს შორის ისეთი თვალნათელი სხვაობაა, თუ ყველაფერი სამართლიანად გადაწყდა, ბურჯანაძეს არჩევნების მოგება ნამდვილად არ გაუჭირდება. ნუ დაგვავიწყდება, რომ მთელი საარჩევნო ადმინისტრაცია ჯერ კიდევ სააკაშვილის პერიოდშია დაკომპლექტებული, მარტო ხარატიშვილის წასვლა არაფერს ნიშნავს.

**— როგორ ფიქრობთ, მარგველაშვილის განცხადება — რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნები არ ჩატარდებაო, — შეგნებულად დაშვებული შეცდომა ხომ არაა, ეს ხომ ბურჯანაძის წისქვილზე წყლის დასხმაა. ხომ არ შეიძლება რაიმე გარიგება არსებობდეს, თუნდაც, ხომ არ იკვეთება რუსული ინტერესები?**

— რუსეთი აქ არანაირ აქტივობას არ ეწევა. ეს რომ ნდომოდა, სააკაშვილს 2008 წელს დაამთავრებდა. მათ რაც სურდათ, გააკეთეს — სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთთან დაკავშირებით, გაანადგურეს სამხედრო პოტენციალი, რაც სააკაშვილმა დიდი ფინანსების ხარჯზე შექმნა, გატრიალდნენ და წავიდნენ. რუსეთის პირველი პირებისგან რამდენჯერმე პოზიტიური მესიჯი გაისმა, მაგრამ ჩვენი მხრიდან პასუხი არ მოჰყოლია. ეს ამბავი გაყინულია. მოსახლეობის დიდმა ნაწილმა იმიტომაც მისცა ხმა „ოცნებას“, ეგონა, რომ ივანიშვილი რუსეთთან ურთიერთობას მოაგვარებდა. მკვდარი წერტილიდან ყინული დაიძრა? — არა. რაც შეეხება მარგველაშვილის განცხადებას, იგი გუნდურობის პრინციპს არ ღალატობს და არ უნდა პარლამენტს აწყენინოს. ერთი წელი არცაა, რაც პარლამენტში სხედან და ვის აწყობს, რომ დაითხოვონ? რამდენი მათგანი მოხვდება შემდეგ პარლამენტში, ან ვინ შეადგენს სიებს, თუ ივანიშვილი პოლიტიკიდან წავა? „კოალიცია“ შეიძლება დაიშალოს. ასეთ შემთხვევაში „რესპუბლიკელები“ ბარიერს გადალახავენ? ამის სჯერა ვინმეს? ალასანიას პარტიასაც ძალიან გაუჭირდება ბარიერის გადალახვა. ამიტომ, ცხადია, ბოლომდე იბრძოლებენ, რათა რიგგარეშე საპარლამენტო არჩევნები არ დაინიშნოს.

**— ივანიშვილმა დასავლეთის გამოცემა „ბლუმბერგთან“ თქვა, რომ დაბალი პოლიტიკური კულტურის მატარებლები ვართ...**

— საქართველოს მოსახლეობა დაბალი კულტურის მატარებელი რომ იყოს, ამდენი ხანი არ აიტანდა იმას, რაც ხდება. ივანიშვილს უყვარს სიტყვები — გაგებით მოეკიდეთო. იმდენ რამეს მოეკიდა ხალხი გაგებით, რომ თუ ვინმეს დაბალ პოლიტ.კულტურაზე შეიძლება ლაპარაკი, ეს ჩვენი პოლიტიკური ელიტაა, რომელსაც ხალხთან შედარებით ძალიან დაბალი პოლიტ.კულტურა აქვს. ქვეყნის პრემიერ-მინისტრმა საკუთარ მოსახლეობას ეს არ უნდა აკადროს. რა გამოდის, გვეუბნება — მე თქვენ გჯობივართო. ჩემი გამოცდილებიდან გეუბნებით — არცერთი მთავრობა არ სჯობია თავის ხალხს. აღარაფერს ვამბობ იმაზე, რასაც სააკაშვილი ამბობს — ივანიშვილი ზოოპარკის დირექტორიაო. ეს აბსოლუტური უთავმოყვარეობაა. რა გამოდის, ე. ი. ჩვენ ყველას ცხოველებად მიგვიჩნევს? — სამარცვინოა.

**— აშშ რამდენად შეეგუება პრორუსული კანდიდატის არჩევას, ეს რეალურად შესაძლებელია?**

— ძალიან ცდილობენ, ბურჯანაძე პრორუსული ორიენტაციის მატარებლად გამოიყვანონ, ვინც ამას ცდილობს, ყველას ვურჩევ — დაფიქრდნენ იმაზე, რომ ამის ხშირი გამეორება, ნინოს, კიდევ უფრო გაუზრდის ხმებს. ხალხი დარწმუნდა — დასავლეთიდან სიტყვიერი მხარდაჭერა არაფერს ნიშნავს, პრობლემა რუსეთთანაა მოსაგვარებელი. მეორე და მთავარი — ამერიკელები ბურჯანაძის გამარჯვებას მშვენივრად მიიღებენ. იმიტომ, რომ მათ კარგად იციან — ბურჯანაძეს თანაბრად შეუძლია დიალოგი, როგორც დასავლეთთან, ისე რუსეთთან. ჩვენ გამო საკუთარ საქმეს არავინ გაიფუჭებს და რუსეთს არ დაუპირისპირდება. ამდენად, ბურჯანაძე მისაღები იქნება რუსეთისთვისაც და დასავლეთისთვისაც. იმიტომ, რომ იგი არაა რადიკალი, რომელიც იტყვის — მე კოკა-კოლადალეული ვარ და ამიტომ აშშ-დან ვინც რას ჩამჩურჩულებს, ყველაფერს გავაკეთებო. არამედ თვლის, რომ პირველ ადგილზე ქვეყნის ეროვნული ინტერესებია. ნინო ბურჯანაძე არ შეუშინდა იარლიყის მიწებებას და პუტინს ჩამოართვა ხელი. აბა, შეიძლება ქვეყნის ლიდერს, რომელთანაც პრობლემები გაქვს, ხელი არ ჩამოართვა და ილუზია გქონდეს, რომ ყველაფერს ისე მოაგვარებ?! სხვათა შორის, კოალიცია „ქართულ ოცნებაში“ არიან ლიდერები, რომელთაც ჟირინოვსკიმ ხელი არ ჩამოართვა. რაღაც ლოგიკა ხომ უნდა არსებობდეს?

**— როგორც ამბობენ, „ნაციონალებისა“ და „რესპუბლიკელების“ გეგმა ბაქრაძის მეორე ადგილზე გაყვანაა. დღეს რეალურად „ოცნებას“ ერთ გუნდად ივანიშვილი აერთიანებს, რომელიც მიდის. მისი წასვლის მერე გვრჩება დაშლილი კოაიცია და „ნაციონალები“ 40%-ით, რასაც „ოცნებისგან“ განსხვავებით, არაფერი მოუვა.**

— „რესპუბლიკელები“ არ მალავენ, ბერძენიშვილმა პირდაპირ თქვა — მეორე ადგილზე ბაქრაძე გვირჩევნიაო. ვერ იკავებს თავს, ხანდახან ისეთი რაღაცები წამოსცდება, რაც არ უნდა თქვას. ბოლო ინტერვიუშიც თქვა — ბურჯანაძე მეორე ადგილზე ვერ გავაო.

თუ „ნაციონალები“ მეორე ადგილს ვერ აიღებენ, მათი რიგები ძალიან შეთხელდება. ასეც არაა, თითქოს მათ არაფერი ემუქრებათ. რაც შეეხება „კოალიციას“, საარჩევნოდ იქმნა, ეს სამარადჟამო არ არის. ამიტომაც აქვს პრინციპული მნიშვნელობა, თუ როდის დაინიშნება არჩევნები. „კოალიციაში“ შემავალი პარტიები ახლა დაკავებულნი არიან შემდეგით — 2014 წლის ადგილობრივი არჩევნებისთვის ემზადებიან, რათა იქ მოიპოვონ უპირატესობა. იმიტომ, რომ საპარლამენტო არჩევნებს ის იგებს, ვისაც ადგილოვრივ დონეზე ძლიერი პოზიციები აქვს. სხვათა შორის, იგივე ლევან ბერძენიშვილს წამოსცდა — შემდეგ არჩევნებში ცალკე მივიღებთ მონაწილეობასო. „რესპუბლიკური“ პარტია სერიოზულად მუშაობს, რათა ძალიან ბევრ რაიონში ადგილებზე კარგი მდგომარეობა შეიქმნას. ამაში გარკვეულ როლს ასრულებს ის, რომ კოალიციაში არიან და ბიძინა ივანიშვილთან არიან გაიგივებულნი და მეორე — ყველაზე ურეიტინგო პარტიის წარმომადგენელი პარლამენტის თავმჯდომარეა. ეს გარკვეულ უპირატესობას ქმნის. მაგრამ მთავარი ეს როდია. მთავარი შემდეგია — თუ ივანიშვილი მართლა წავა, ეს შიდაპოლიტიკურ სტაბილურობაზე ძალიან იმოქმედებს და „კოალიციის“ დაშლა და პოლიტიკურ ძალთა გადალაგება გარ-

დაუვალი იქნება. ამიტომ პრინციპულია, რომ არც „ოცნების“ და არც „ნაციონალების“ კანდიდატი პრეზიდენტი არ გახდეს. დამაბალანსებელი იქნება ბურჯანაძე.

**— გეთანხმებით, თუ რესპუბლიკურ-ნაციონალური კოალიცია მივიღეთ, მნიშვნელობა აღარ ექნება, ვინ პირველზე გავა და ვინ — მეორეზე. „რესპუბლიკელები“ საერთო ენას ბაქრაძესთან უკეთ გამონახავენ, ვიდრე მარგველაშვილთან.**

— კი, კი, ასეა. თუმცა, არც მარგველაშვილთან გაუჭირდებათ. რატომ არ უნდათ ბურჯანაძე? — იმიტომ, რომ იდეოლოგიურად მათთან ახლოს ბაქრაძე და მარგველაშვილი და არა ნინო. ნუ დაგავიწყდებათ, სოციალურ ქსელებში დადებული ფოტო, სადაც მარგველაშვილი და გიგა ბოკერია ხელგადახვეულნი სხედან. ისინი ერთი სკოლიდან — „თავისუფლების ინსტიტუტიდან“ არიან. მათთვის, რა თქმა უნდა, ბურჯანაძე მიუღებელია და ამაში ალოგიკური არაფერია. ისე, როგორც ქართველი ხალხისთვის „თავისუფლების ინსტიტუტი“ ისეთი გაუგებარი რამაა, რომ მასთან გაიგივებული კანდიდატის გაპრეზიდენტება უკიდურესად რთული იქნება. იმიტომ იკლავს თავს ბერძენიშვილი — არა, მეორე ადგილზეც ვერ გავა ბურჯანაძეო. იმიტომ, რომ მისთვის და პარტიისთვისაც ბაქრაძე გავა თუ მარგველაშვილი, ორივე კანდიდატი კომფორტულია.



**— ფაქტია, რომ „ოცნების“ რეიტინგის ვარდნა და ბურჯანაძის რეიტინგის ზრდა რეალურია. მაგრამ, „ოცნების“ რეიტინგის ვარდნა განაპირობებს არა ბურჯანაძის მეორე ადგილს, არამედ ბაქრაძისას.**

— ბაქრაძეს არ განვიხილავ მეორე ადგილის კანდიდატურად და თავადაც ნაკლებად აქვს ამის მოლოდინი. კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხი — ბურჯანაძეს გამბედაობა ეყო და თქვა ის, რასაც ქართველი ხალხის უმრავლესობა ფიქრობს, მხედველობაში მაქვს 17 მაისის მოვლენების შეფასება. იმისთვის, რომ დასავლეთს გაეკეკლუცო, უნდა თქვა, უიმე, ვგმობ ძალადობას, დღეს მეც უმცირესობა ვარო. ეს ერთმა ჩემმა კოლეგამ თქვა, ახლა ის პარლამენტშია. ძალიან გაბედული უნდა იყო, რომ ამ დინებას არ გაჰყვე და თქვა ის, რაც სინამდვილეშია. ეს გააკეთა ბურჯანაძემ. ჩვენ სახლში, აბაზანაში ვიღებთ შხაპს, მაგრამ ეს ხომ არ ნიშნავს, რომ რუსთაველზე გამოვიდეთ და შხაპი მივიღოთ. საქართველო პატარა ქვეყანაა, არაფერი იმალება. არ მახსენდება ფაქტი, ვინმე მისი სექსუალური ორიენტაციის გამო შეევიწროებინოთ. მეტიც უმუშევართა არმია, ნორმალური ჰეტეროსექსუალებითაა გავსებული და ყველა ჰომოსექსუალი დასაქმებულია, მათ არავინ ჩაგრავს. გიგა ბოკერიამ ხელოვნურად მოწყობილი ექსცესები თავისთვის შეინახოს, მან 17 მაისი დაგეგმა. ქართველმა ხალხმა უნდა შეაფასოს ყველაფერი, ამ შემთხვევაშიც, ბურჯანაძე უფრო გამოხატავს ხალხის განწყობებს.

**— წარმოვიდგინოთ ასეთი სურათი — ივანიშვილი მიდის, მარგველაშვილმა პირველი ადგილი დაიკავა, ხოლო ბურჯანაძემ — მეორე. ეს ხომ ნიშნავს, რომ ბურჯანაძეა ნამდვილი ოპოზიციური ძალა და არა „ნაცები“.**

— რა თქმა უნდა, ეს ასეა. ამიტომაც არ უნდათ ბურჯანაძის მეორე ადგილზე გასვლა. თუ ასე მოხდა, რა თქმა უნდა, ეს ნიშნავს, რომ რეალური ოპოზიციური ძალა „ერთიანი დემოკრატიული მოძრაობა“ იქნება. თუ რიგგარეშე არჩევნები არ ჩატარდა, ეს ნიშნავს — „ქართულმა ოცნებამ“ ხალხს საბოლოოდ უნდა უთხრას — შეეგუეთ, რომ „ნაცები“ კიდევ სამი წელი 40%-ით იქნებიან პარლამენტში წარმოდგენილი. ეს უკიდურესად წამგებიანი იქნება.

**— რაც შეეხება ივანიშვილის პოლიტიკიდან წასვლას, პროცესების რა განვითარება შეიძლება მივიღოთ ამ შემთხვევაში?**

— ივანიშვილი, სანამ ამ გადაწყვეტილებას მიიღებს, ძალიან კარგად უნდა დაფიქრდეს. ჯერ ერთი, ეს დაახლოებით იგივეა, რაც სააკაშვილმა გორში ჩაიდინა. ეს ბრძოლის ველიდან გაქცევაა. იმიტომ, რომ ივანიშვილს ბრძოლა ჯერ არ მოუგია. მეორეც — მისი გუნდი ამომრჩეველმა მხოლოდ ივანიშვილის ხათრით მიიღო. ამდენად, გვიტოვებს გუნდს, რაც ერისთვის მიუღებელია, მაგრამ ავიტანეთ, იმიტომ, რომ ივანიშვილს ვენდეთ. ივანიშვილის წასვლა არ შეიძლება იმიტომაც, რომ შესაძლებელია ბურჯანაძის და მისი ტანდემი შედგეს. მაგრამ ბურჯანაძის და „რესპუბლიკელების“ ან ალასანიას გუნდის ერთად მუშაობა სათუო იქნება. იმიტომ კი არა, რომ ეს ბურჯანაძეს არ ენდომება, არამედ პირიქით, ისინი არ მოინდომებენ ნინოსთან თანამშრომლობას. გარდა ამისა, ივანიშვილის წასვლის შემთხვევაში, „ნაციონალები“, რომლებიც ისედაც აქტიურნი და აგრესიულნი არიან, კიდევ უფრო გააქტიურდებიან და შეიძლება შიდა, სამოქალაქო დაპირისპირებამდე მივიდეთ.

**თამარ შველიძე**
555 23 28 24

# ასფალტზე აგრონომი ვერ გაიზრდება

## ბენდუქიძემ უმჯობესია კულინარიულ კურსებს უხელმძღვანელოს

**გვესაუბრება საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის ყოფილი პროფესორი ГИОРГИ** 

**— ბატონო გიორგი, რა მდგომარეობაა აგრარულ უნივერსიტეტში დღეს?**

— უნდა გითხრათ, რომ კვალიფიციურ კადრებს დღევანდელი აგრარული უნივერსიტეტი ვერ მოამზადებს, რადგან დღეს იქ თეორიული სწავლების საშუალებაც არ არის, პრაქტიკულ მეცადინეობაზე ხომ ზედმეტია საუბარი. ასფალტზე აგრონომი ვერ გაიზრდება. ვაზის გასხვლა სტუდენტმა ვენახში უნდა ისწავლოს, მეხილემ — ხეხილის ბაღში. შარშან კახეთში ჯერ კიდევ პრეზიდენტმა სააკაშვილმა განაცხადა, რომ, თურმე საქართველოში მეღვინე-ტექნოლოგებს ვერ ამზადებდნენ. საინტერესოა, აბა, სად გაიზარდნენ ჩვენი გამოჩენილი ტექნოლოგები ნიკოლოზ გელაშვილის და ფელიქს მაჭავარიანის ხელმძღვანელობით? შორს აღარ წავალ.

სამწუხაროდ, დღეს უნივერსიტეტში ყველაფერი განადგურებულია. ვერ გავარკვიე, ახლანდელი რექტორი რა სპეციალობის, რა მიმართულების, რა გამოცდილებისაა. როდესაც ტელევიზიით საქვეყნოდ აცხადებს, რომ ბაკალავრი ლექციებს უკეთესად წაიკითხავს, ვიდრე ყოფილი პროფესორებიო, მინიმუმ გასაკვირია. ჩვენ, თურმე, კორუმპირებული ხალხი ვყოფილვართ. სასაცილოა, სატირალი რომ არ იყოს. როდესაც პარტიულ ხელმძღვანელად ამირჩიეს, ჩემი მთავარი მიზანი იყო ინსტიტუტში წესრიგის დამყარება, ნიჭიერი ახალგაზრდებისთვის გზის მიცემა და ინსტიტუტის მშენებლობის ხელმძღვანელობა.



გიმეორებთ, მართლაც უნიკალური კომპლექსი შეიქმნა. დღეს, ნახეთ, რა დღეშია. ყველამ კარგად იცის, რა დღეში ჩაგვყარეს ასაკოვანი პროფესორები. სამსახურებიდან ერთი ხელის მოსმით, უბოდიშოდ გაგვიშვეს. ჩემი კაბინეტის კარი ყოველთვის ღია იყო. ახლა კი რექტორთან შესვლა ვერაფრით მოვახერხე. წერილი მივწერე, ვიფიქრე, მიმიწვევდა, გამესაუბრებოდა, მაგრამ არა! შარშან 80 წელი შემისრულდა, არანაირი ყურადღება არ გამოუჩენიათ. კანცლერთან ვცადე შესვლა, არ მიმიღო, თქვენთვის არ მცალიაო, მიპასუხა. არაფრად ჩამაგდო 80 წლის პროფესორი, სსრკ უმაღლესი სკოლის წარჩინებული, „ღირსების ორდენის“ კავალერი.

**— ბატონო გიორგი, როგორ ფიქრობთ, რით არის გამოწვეული ასეთი გულგრილობა, დაუფასებლობა, უპატივცემულობა, როგორც ადამიანების, აგრეთვე მეცნიერების მიმართ?**

— ვერ გეტყვით, მაგრამ დღეს აგრარულ უნივერსიტეტში არ მეგულება ადამიანი, რომელიც სრულფასოვნად წაიკითხავს „ხეხილოვანი კულტურების სელექციას და ჯიშს“ ლაბორატორიის გარეშე. თუ სტუდენტს პრაქტიკულად არ აჩვენე, ლაბორატორიაში არ ამუშავე, როგორ უნდა ასწავლო? რაც ყოფილ საბჭოეთში სახელმძღვანელოები გამოდიოდა, ვთარგმნიდი, შემდეგ ჩემი სახელმძღვანელოც გამოვეცი. სელექცია სოფლის მეურნეობის ძარღვია აგროტექნიკასთან ერთად. ქვეყანაში სასურსათო პროგრამა ჯიშმა უნდა გადაწყვიტოს, ამის გარეშე სოფლის მეურნეობის აღმავლობა წარმოუდგენელია. სამწუხაროდ, დღეს სელექციური, გენეტიკური სამუშაოები გამქრალია. საქართველო ზონებად იყოფა და ყველას თავისებური ჯიში სჭირდება.

**— ახლა მოდაში უცხოურის შემოტანაა. ჩვენთან იყო საშუალება გამოგვეყვანა სასურველი ჯიშები?**

— ჯიში უნდა განვიხილოთ დროსა და სივრცეში, მას გავრცელების საკუთარი არეალი აქვს. ქვეყანაში თავად უნდა განავითარო სელექციური მუშაობა ადგილობრივი გენოფონდის ბაზაზე. ჩვენი გენოფონდი უცხოეთშია გატანილი. „დოლის პური“ უცხოელებმა წაიღეს. ჩვენთან სიმინდის ისეთი ჯიშებია, მსოფლიოში მსგავსი არ არსებობს. უცხოური ჩვენ არაფერში გვჭირდება, შევინარჩუნოთ საკუთარი ძვირფასი გენოფონდი და ვაწარმოოთ სელექციური მუშაობა. ქართული ვაზების ჯიშების უნიკალური გენოფონდი ჩვენთან განადგურებულია, მოლდავეთმა წაიღო და ახლა იმათ აქვთ. გიმეორებთ, სოფლის მეურნეობის განვითარება მეცნიერული შრომებისა და კვლევის გარეშე წარმოუდგენელია.

**— კახა ბენდუქიძე, რომელმაც მთლიანად ხელთ იგდო აგრარული უნივერსიტეტი, ამ სფეროს წარმომადგენელია?**

— არ ვიცი, ამბობენ, ბიოლოგიაო, მაგრამ მისი ნამუშევარი არაფერი მინახავს. თუმცა ბიოლოგიაში როდის იმუშავებდა, როდესაც რუსეთში ცხოვრობდა და სხვა სფეროში მოღვაწეობდა. სელექცია კი ოცდაოთხსაათიან მუშაობას მოითხოვს. ან საერთოდ სოფლის მეურნეობას რომ იცნობდეს და გული შესტკიოდეს, ვაზს გაჩეხავდა და მაღალსართულიან კორპუსებს ააშენებდა? როგორც ტელევიზიით ვნახეთ, კულინარიულ საკითხებს განიხილავდა. აჯობებს, გახსნას კულინარიული კურსები და უხელმძღვანელოს.

**გია ბურდული**
551 71 27 07

# პაატა დავითაია:

# სამწუხარო რეალობაა, რომ „ქართულმა ოცნებამ“ „ნაცმოძრაობის“ იდენტური პოლიტიკური გზა აირჩია

**ინტერვიუ პოლიტიკური პარტია „ევროპელი დემოკრატების“ თავმჯდომარესთან, ბატონ პაატა დავითაიასთან**

**— ბატონო პაატა, თქვენი პარტია აქტიურ საარჩევნო კამპანიას იწყებს. როგორ შეაფასებთ წინასაარჩევნო პოლიტიკურ ვითარებას?**

— ხაზგასმით მინდა აღვნიშნო, რომ 1 ოქტომბერს მოხდა მნიშვნელოვანი ისტორიული ფაქტი, ძალიან მნიშვნელოვანი — ხელისუფლების გადაბარება არჩევნების გზით. ბიძინა ივანიშვილი ისტორიაში შევა იმით, რომ მან გააკეთა ეს — ხელისუფლება არჩევნების გზით გადაიბარა და მიხეილ სააკაშვილიც, რომელმაც არჩევნებით დათმო ძალაუფლება.

სამწუხაროდ, ხდება ისე, რომ დღეს იმედგაცრუებები არის „ქართული ოცნების“ მიმართ. ის დაპირებები, რაც ისმოდა წინასაარჩევნოდ, ვიცოდი, რომ ვერ შესრულდებოდა და ასეც მოხდა. საზოგადოება მაშინ ბრმად ენდო ბიძინა ივანიშვილს, რადგან დაიღალა ხელისუფლებაში ერთი პოლიტიკური ძალის ყოფნით. ამ პროცესების გარდამტეხი კი იყო ციხის კადრები.

მაგრამ, რატომ ვერ შეასრულეს წინასაარჩევნო დაპირებები? წარმოიდგინეთ ის, რომ 9 წლის განმავლობაში მსოფლიოს ესმოდა, თუ როგორ ვითარდებოდა საქართველო. მე ვიყავი ევროსაბჭოს საპარლამენტო ასამბლეის წევრი, პირველი ქართველი, ვინც ევროსაბჭოში არჩევნები მოიგო. მე უშუალო შეხება მქონდა ამ პროცესებთან და კარგად ვხედავდი ყველაფერს.

რომ ამბობდნენ, სააკაშვილი და მისი თანამებრძოლები ატყუებენ მსოფლიოს, ეს ასე არ არის, საქართველოში მუშაობდნენ უცხოელი დიპლომატები და სხვა სამსახურების წარმომადგენლებიც და ხედავდნენ ყველაფერს.

პრობლემები იყო, ცხადია,. ამიტომაც ვაკრიტიკებდი სააკაშვილს ადამიანის უფლებებთან დაკავშირებით, შერჩევით სამართალთან დაკავშირებით, მაგრამ საქართველო შენდებოდა. ვერავინ უარყოფს ამას.

**— თქვენი სიტყვებიდან გამომდინარე, მშენებლობა უფრო მნიშვნელოვანი ყოფილა.**

— არა, მე ამას არ ვამბობ და აგიხსნით ყველაფერს, მაგრამ „ქართული ოცნების“ დაპირებებზე ვისაუბროთ ჯერ: ისინი ამბობდნენ, როცა მოვალთ ხელისუფლებაში, ავაყვავებთ ყველაფერსო. რეალურად მოხდა ის, რომ სამართლიანობის აღდგენა ვერ მოხერხდა ქვეყანაში.

მაგალითად, მოგეხსენებათ, პოლიტპატიმრები გაათავისუფლეს, რაზეც ჩვენ დასავლეთიდან კრიტიკა მივიღეთ. ხელისუფლებას ინდივიდუალურად უნდა შეესწავლა ყველა პოლიტპატიმრის საქმე, გამოკვლეულიყო, რომელმა გამომძიებელმა იმუშავა კონკრეტულ საქმეზე, რომელმა პროკურორმა რა ბრალი დასდო და ა.შ. ასე რომ გაჰყოლოდნენ საქმეს, პრობლემები აღარ იქნებოდა.

დღეს უჭირს ივანიშვილის მთავრობას და მე მესმის, რატომაც. მათ შეექმნათ პრობლემა, სამართლიანობის აღდგენის მოტივით, 9 წლის განმავლობაში მომუშავე ძალოვანები რიგითიდან დაწყებული უმაღლეს თანამდებობის პირამდე უნდა დაეპატიმრებინათ.

გამოდის, რომ არ მოხდა სამართლიანობის აღდგენა და მოატყუეს საზოგადოება.

იგივე ქონება, რაც ჩამორთმეული ჰქონდათ, დაუბრუნდა ვინმეს?

დღეს რომ გამოდიან და ამბობენ, 27 ოქტომბრის შემდეგ შევასრულებთ დანაპირებსო, მეცინება ამაზე. რას ერჩიან სააკაშვილს? დღეს ის არაფერს აღარ აკეთებს, არანაირი ბერკეტი არ აქვს. ძალა დღეს აქვს პრემიერ-მინისტრს, პარლამენტს და ა.შ. დღეს გინდა იყოს სააკაშვილი, გინდა — არა, ამას არავითარი მნიშვნელობა არ აქვს.



ეს რაც შეეხება პოლიტიკურ ჭრილს, ახლა ეკონომიკური კუთხით განვიხილოთ.

გახსოვთ, როგორი აჟიოტაჟი იყო ატეხილი ბანკი „ქართუს“ გადარჩენაზე, 5-ლარიანები შეჰქონდათ, სესხებს დაგვიფარავს ივანიშვილი, გადასახადს გადაიხდის, შუქის დავალიანებას დაფარავსო და ა.შ. როგორ მოხერხდებოდა ეს, არავინ არ სვამდა კითხვას. სინამდვილეში, არც უფიქრია ივანიშვილს ამის გაკეთება.

შეუძლებელი იყო ნავთობის ფასის დაკლებაც. ცოტა ხნით დაიკლო 5 თეთრით, მაგრამ რეალურად მოხდა ის, რომ ყველა ნავთობკომპანიას საწვავი ბანკის კრედიტით ჰქონდა შემოტანილი. ივანიშვილმა ბანკებს სთხოვა, კრედიტის პროცენტი დაეკლოთ. იმ პერიოდში დაიკლო ნავთობის ფასმაც. ეს შეღავათი ეფექტური იქნებოდა მაშინ, თუ საკვებ პროდუქტებზე ფასი დაიკლებდა, მაგრამ ეს არ მოხდა და მინუსებში წავიდა კომპანიები, ვეღარ დაიკავეს ფასი. ეს ხომ არ იცის, რეალურად, საზოგადოებამ?!

**— სამწუხაროა, რომ დადებითს ვერაფერს ხედავთ.**

— დადებითიც არის, მაგრამ მსურს იმაზე ვისაუბრო, რაც გასაკეთებელია. დღეს ახალი ინიციატივები არ არის. ვერავინ ვერ აკეთებს ვერაფერს და არ აკეთებს, რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, იმიტომ არაა აქტიურობა, რომ ეშინიათ, ეშინიათ საქმის გაკეთება. დღეს ივანიშვილის მთავრობაში რეალურად საქმის გამკეთებელი არის ერთი მინისტრი — კახი კალაძე, რომელსაც არ ეშინია ინიციატივების, სიტყვის თქმის, რადგან თავისი ბიზნესი აქვს და თუ მოხსნიან, თავის საქმეს გააკეთებს.

ეს ჩემს თვალწინ გავლილი პროცესებია. ასეთი რამ სჭირდა ნაცმოძრაობას 2005-06 წლებში, სანამ ადეიშვილმა, მერაბიშვილმა და სხვებმა გავლენის სფეროები არ დაინაწილეს. გახსოვთ ლტოლვილების სახლებს მერაბიშვილი რომ აშენებდა? რატომ? იმიტომ, რომ ის იყო, რეალურად, საქმის გამკეთებელი და არა ლტოლვილთა და განსახლების მინისტრი.

სანამ სფეროებს არ დაინაწილებენ, ასეთ დღეში ვიქნებით.

„ქართული ოცნების“ მინისტრებს ტელევიზორში გამოჩენისაც კი ეშინიათ, ვაითუ, ისეთი რამე წამოგვცდეს, ივანიშვილს არ მოეწონოს და დავიღუპებითო.

კრიტიკულად რომ ვლაპარაკობ, ეს არ ნიშნავს, რომ მიხარია, რაც ხდება. პირიქით, სამწუხარო რეალობაა, რომ „ქართულმა ოცნებამ“ „ნაცმოძრაობის“ იდენტური პოლიტიკური გზა აირჩია. სადაც გაიხედავ, ყველგან ერთი პოლიტიკური ძალის წარმომადგენლები არიან დანიშნული, ეს კი აპრიორი კრახის დასაწყისია.



**— თქვენი ვარაუდით, „ქართული ოცნების“ კანდიდატი გაიმარჯვებს საპრეზიდენტო არჩევნებში?**

— რა თქმა უნდა, გიორგი მარგველაშვილი გაიმარჯვებს და რატომ გაიმარჯვებს, ახლავე მოგახსენებთ: ჯერ ერთი, რომ ცსკო დაკომპლექტებულია „ოცნების“ კადრებით, იხარჯება სახელისუფლებო რესურსები, ყველაზე ცუდ ხელისუფლებას სახელმწიფო რესურსიდან აქვს 30%. დღესაც 30% რესურსი აქვს, ცსკო „ოცნებაა“, ცსკოს მდივანი „ოცნების“ წარმომადგენელია. თავმჯდომარე „ქართული ოცნების“ კადრია, სახელმწიფო რესურსი მათია, უბნებზეც ესენი არიან, პროკურატურა მთავრობისაა, ზეწოლები შეინიშნება.

**— რა ზეწოლებზე საუბრობთ?**

— მე უკვე დავაყენე, როგორც იცით, ჩვენი პარტიიდან საპრეზიდენტო კანდიდატი და უკვე გაისმა ზარები მაკონტროლებელი ორგანოებიდან პარტიის ფინანსური შესაძლებლობების შემოწმების თაობაზე. მე ყოფილი პროკურორი ვარ და თვითონ ვიცი, რა როგორ უნდა შემოწმდეს. ჩემთან ვერაფერი ნახეს, მაგრამ ეს ხომ იყო პოლიტიკური მესიჯი?

7 მლრდ-იანი პოლიტიკოსი 7-ლარიანს თუ მებრძვის, აღარ ყოფილა საშველი.

შსს ვისზე მუშაობს დღეს, იცით? ზეწოლაა ის, რომ შს მინისტრი ამბობს: შვებულებაში გავდივარო და მარგველაშვილს ეხმარება საარჩევნო კამპანიის წარმართვაში. ვინ არის ისეთი გულუბრყვილო, რომ დაიჯეროს, თითქოს ეს ასე არ არის?!“

**— რატომ გგონიათ, რომ ასეა, რადგან ნაციონალები ასე აკეთებდნენ, შეიძლება „ოცნებაც“ ასე იქცეოდეს? ეს არ არის სწორი მიდგომა.**

— არაფერი არ შეცვლილა, დამერწმუნეთ, რა.

**— ისე, თქვენ წინა პარლამენტში დეპუტატობისას ყოფილი ხელისუფლების მწვავე კრიტიკით არც გამოირჩეოდით, ახლა თამამად აკრიტიკებთ.**

— ოპონენტი ვიყავი, მაგრამ განსხვავება იყო ორი რამ: რადიკალური მიდგომა ჩემი მხრიდან და ოპონირება. პარლამენტში მე ვიყენებდი ყველა იმ ბერკეტს, რაც გამაჩნდა. მე არ ვარ წყევლა-კრულვით დაკავებული პოლიტიკოსი. არც სააკაშვილს ვწყევლიდი, არც ივანიშვილს და არც არძინბას, რომელმაც გამომაგდო აფხაზეთში სახლიდან.

მე ყოველთვის დოკუმენტებით ვსაუბრობდი სხვებისგან განსხვავებით და თუ დოკუმენტი არა მაქვს, არ ვლაპარაკობ.

მაგალითად, ავიღოთ აგვისტოს ომის კომისია. ზოგ-ზოგები ამბობდნენ, დავითაიამ სააკაშვილი დაიცვაო. ახლა ხომ დარწმუნდა ყველა, რომ მე არავინ დამიცვია და ყველამ აღიარა, რომ აგვისტოს ომი რუსეთის აგრესია იყო. მე აშშ-ის კონგრესის მადლობაც მივიღე იმ მუშაობის გამო, რაც გავწიე აგვისტოს ომის საპარლამენტო კომისიაში. ბაიდენი რომ ჩამოვიდა, სპეციალურად მოვიდა ჩემთან ხელის ჩამოსართმევად.

რომ ამბობდა, „ოცნება“ გამოძიებას დავიწყებთო, რატომ არ დაიწყეს? ნაციონალი თანამდებობის პირების პასუხისმგებლობის საკითხი დავაყენე მე იმ კომისიის მუშაობის შემდეგ. გამოიძიონ, რატომ არ იძიებენ?

ვინც ქუჩაში ყვიროდა მთელი 9 წელიწადი, ახლა რატომ არ იღებენ ხმას? იმიტომ, რომ სახელმწიფო პასუხისმგებლობა იგრძნეს, დააწვათ მხრებზე სიმძიმე.

კიდევ ვიმეორებ, მე არ მჭირდება „ნაცმოძრაობის“ დაცვა, არც „ოცნების“ დაცვა ან მათი ლანძღვა, ჩემი ინტერესია სახელმწიფოს ნორმალური განვითარება.

**— რაც დახატეთ, იმ პოლიტიკური ვითარების ფონზე თქვენ დააყენეთ საპრეზიდენტო კანდიდატი, ბატონი ზურაბ ხარატიშვილი. რა მიზანს ემსახურება თქვენი ნაბიჯი?**

— პოლიტიკაში შემოვიდა თამაშის ახალი წესები, წინ წამოიწია ფულის თემამ. დომინანტი არის ორი ძალა „ოცნება“ და „ნაცმოძრაობა“. ვიღაც რომ დააინტერესო, მივა ვინმე ამ ორი ძალიდან, ერთ-ერთი შესთავაზებს ფულს და უკვე შენი აღარაა. როცა ხარატიშვილი გადადგა, მე დავიწყე კონსულტაციები მასთან, ჩემთან ერთად ედპ-მ, „სამართლიანმა საქართველომ“. ჩვენთვის მნიშვნელოვანია ნებისმიერ არჩევნებში მონაწილეობა, როგორც კვალიფიციური სუბიექტისა.

ხარატიშვილს ჰქონდა პოლიტიკური ინტერესი და ჩვენ შევთავაზეთ ჩართულიყო საარჩევნო მარათონში. ახლა ვაპირებთ ახალი პოლიტიკური ცენტრის ჩამოყალიბებას, ყველა რესურსის გაერთიანებას. მით უმეტეს, რომ უცხოელები ძალიან დიდი პატივისცემით არიან განწყობილი ხარატიშვილისადმი, მას სერიოზული პოლიტიკური დივიდენდები აქვს, ბოლო არჩევნების დროს მან შეძლო უმტკივნეულოდ გადაბარებულიყო ხელისუფლება. მოკლედ, ჩვენ, ედპ, „სამართლიანი საქართველო“ მოვახდენთ ძალების აკუმულირებას და არჩევნებში სერიოზულ შედეგებს დავდებთ.

**ირანდა კალანდაძე**
593 56 11 18



# გიორგი ფარესიშვილი:

# ვერ შევეგუები საქართველოში ახალი მაფიოზური კლანების აღორძინებას

## „საშიში კაცია ფოფხაძე, როგორც ამბობენ, შევარდნაძესაც კი ეშინოდა მისი, მაგრამ მე არ მეშინია!“

**გიორგი ფარესიშვილი სკანდალურ ბრალდებებს უყენებს ნუგზარ ფოფხაძეს, გელა ხვედელიძეს, ელისო კილაძეს, გიორგი მამაცაშვილს და პროკურატურას მათ წინააღმდეგ სისხლის სამართლის საქმის აღძვრას თხოვს.**

**— გიორგი, ამბობთ, რომ ჩვენს გაზეთში თქვენს შესახებ გამოქვეყნებული სტატია შეკვეთილი იყო და აპირებთ სარჩელი შეიტანოთ „საერთო გაზეთის“ წინააღმდეგ.**

**რას ეყრდნობა ეს ვარაუდები, რატომ გგონიათ, რომ სტატია შეკვეთილი იყო?**

— ჩემი ვარაუდი შემთხვევითი არ ყოფილა. რამდენიმე წყაროს ინფორმაციით, სტატია ერთმა ადამიანმა შეუკვეთა. ძალიან გაბრაზებული ვარ თქვენზე, რადგან წერთ ისე, რომ წარმოდგენა არ გაქვთ, ვინ ვარ მე. რამდენადაც ვიცი, წესია ასეთი, როცა ადამიანზე კრიტიკულად წერ, მასაც უნდა დაუკავშირდე და მისი აზრიც მოისმინო. რაც მოხდა, იმ თემით მანიპულირება უნდა დასრულდეს ერთხელ და სამუდამოდ. ასე ვფიქრობ მე და ასეც უნდა მოხდეს.

რაც შეეხება დამკვეთს. მქონდა საუბარი რამდენიმე ადამიანთან და მათაც გამოთქვეს ეჭვი, რომ ეს იყო დაკვეთით დაწერილი სტატია და დიდი იმედი მაქვს, ჩვენი ინტერვიუს მიმდინარეობისას გავიგებ სინამდვილეს ამის შესახებ.

**— რედაქციის მხრიდან ბოდიშს გიხდით, რომ დროულად ვერ დაგიკავშირდით და გთხოვთ გვითხრათ, ვისზე იყო ეჭვი, რას გვაბრალებენ, ვისი დაკვეთით წერენ სტატიებსო?**

— მინდა გითხრათ, არ ვაპირებდი საუბარს საერთოდ თქვენს გაზეთთან და მით უფრო არ მსურს ჩემზე შეთითხნილი სტატიის ავტორს მივცე ინტერვიუ. **მე მქონდა ინფორმაციები, რომ თქვენს გაზეთში დაბეჭდილი სტატია იყო შეკვეთილი ნუგზარ ფოფხაძისგან.**

ძალიან გამიკვირდა, რადგან მე ვადევნებდი თვალს თქვენს გაზეთს, რამდენიმე ინტერვიუც მივეცი ადრე თქვენს ჟურნალისტს. მიხაროდა, რომ ებრძოდით და არ მოგწონდათ წინა ხელისუფლებისგან ის, რაც მეც არ მომწონდა და ასეთი კავშირები ფოფხაძესთან ჩემთვის მოულოდნელი იყო.

**— ჩვენი სატელეფონო საუბრის შემდეგ რედაქტორს — ბატონ ვახტანგ ხარჩილავას მოვუყევი ჩვენი ვარაუდების შესახებ. მან თქვა, რომ იცნობს ბატონ ნუგზარ ფოფხაძეს, მაგრამ თითქმის 6 წელიწადია, არც გვინახავს ერთმანეთი და არც ტელეფონით შევხმიანებივართო, — თქვა. ისე, ძალიან მიკვირს, რატომ დააკავშირეთ ამ ყველაფერთან ნუგზარ ფოფხაძე, რა შუაშია, საერთოდ?**

— ნუგზარ ფოფხაძე, ჩემო კარგო, შუაში არ არის, ის თავშია! იგი ბრძანდება სერიოზული მოვლენების წარმმართველი და ხშირად მთავარი მონაწილეც.

მის შესახებ უფროსმა თაობამ კარგად იცის, მაგრამ ახლებმა, შეიძლება, არ იცოდნენ. ის გახლდათ კომუნისტური ცეკას მთავარი იდეოლოგი საქართველოში. მე ახლახან მოვიძიე და გავავრცელე ინტერნეტში ვიდეო, სადაც ნუგზარ ფოფხაძე გამოდის ცეკას ტრიბუნაზე 9 აპრილის წინ. მას ეკუთვნის სიტყვები: „**Ñ âðàãàì è Ñîâåòñêîé âëàñòè áîðîòñÿ òîëüêî ñëîâàìè è íåëüçÿ**“, შემდეგ საუბრობს ჯარის შემოყვანის აუცილებლობაზე და ა.შ.

მქონდა ინფორმაციები, თუ როგორ აფარებდა ხელს გელა ხვედელიძე, შს მინისტრის პირველი მოადგილე, ლაფანყურის ამბის გამოძიებას. ვიღებდი ინფორმაციებს დეპარტამენტის თანამშრომლებისგან, სხვა ადამიანებისგან. ისინი წუხდნენ, რომ დღესაც იგივე კადრები იყვნენ უბრალო კი არა, მაღალ თანამდებობებზე. გელა ხვედელიძის მოხსნის შემდეგ ცოტა შესუსტდა მათი გავლენები, მაგრამ სანამ იყო, ძველ, ნაციონალ კადრებს კარგად ინახავდა. მაგალითად, საზღვრის დაცვის დეპარტამენტს მართავდა **საშკა მაისურაძე, ვანო მერაბიშვილის** კადრი. ამბობდნენ მაშინ, საზღვრის დაცვის დეპარტამენტს **გოგავა** და **ხვედელიძე** შეთანხმებით მართავენო. ამის დასამტკიცებლად მე გაზეთ „ქრონიკაში+“ გამოვაქვეყნე პრემიების სია, რომელიც გაიცა ლაფანყურის სპეცოპერაციის შემდეგ. იქ სოლიდური თანხები იყო დარიგებული **ბაჩო ახალაიას** ხელმოწერით. ამ სპეცოპერაციაში პირდაპირ იყო ჩამოთვლილი, ჩემი ინფორმაციით, ოთხი ადამიანი: მერაბიშვილი, ახალაია, მერაბიშვილის მოადგილე **გიორგი ლორთქიფანიძე და ზაზა გოგავა**.

ამ ოთხი ადამიანიდან ორს — გოგავას და ლორთქიფანიძეს — მფარველობდა ხვედელიძე.

ასევე მისი რეკომენდაციით იმავე სამინისტროშია დატოვებული **ჯანაშვილი**, რომელიც მერაბიშვილის მინისტრობისას სპეცნაზის კოორდინატორი იყო და აბსოლუტურად არც ერთი დარბევა მის გარეშე არ განხორციელებულა. ბატონი ჯანაშვილი ირაკლი ღარიბაშვილის მრჩევლად მოგვევლინა ხვედელიძის რეკომენდაციით.

ვავრცელებდი ამ საკითხებთან დაკავშირებულ ინფორმაციებს გაზეთებში. მასალებს მაწვდიდნენ ბიზნესმენებიც, რომლებიც ე.წ. კვერცხის ბიზნესით იყვნენ დაკავებულნი. როცა ამ საქმეზე აქტიურად ავლაპარაკდი, ბიზნესმენებმა მითხრეს — უნდა შევწყვიტოთ ურთიერთობა, სხვა ბიზნესებიც გვაქვს და ისიც არ ჩაგვეძიროსო.

არავის ეგონოს, ალარაა მოსმენები 1 ოქტომბრის შემდეგ. ახლაც აქტიურად გვისმენენ, ასე „გაშიფრეს“ ჩემი ინფორმაციები და დამიკეტეს წყარო, რადგან ეს ადამიანები ხელს აღებდნენ **გია ხუხაშვილს, ლაშა ნაცვლიშვილს და გელა ხვედელიძეს**, ეს უკანასკნელი ხუხაშვილისთვის მუშაობდა შსს-დან. ნაცვლიშვილი კი, მას შემდეგ, რაც შს მინისტრის მეორე მოადგილეობიდან ხუხაშვილმა პროკურატურაში გადააყვანინა, პროკურატურიდან უმაგრებდა ზურგს ბატონ ხუხაშვილს. მითხრეს ასევე, რომ მათ ეხმარება ბატონი **ნოდარ ხადურიც**. ამ თემებზე მხოლოდ მე და ლაშა ამირეჯიბი ვლაპარაკობდით ღიად და დაუფარავად.

**— მაგრამ აქ ნუგზარ ფოფხაძის როლი სად დაინახეთ?**

— ბატონმა ფოფხაძემ ერთ მშვენიერ დღეს დაურეკა **ლაშა ამირეჯიბს** და უთხრა: შენ მართავ ფარესიშვილს? ამირეჯიბის პასუხი იყო: ფარესიშვილი ზრდასრულია, ჩემი სამართავი რა სჭირსო. ამის შემდეგ დაიბარა ფოფხაძემ სახლში ლაშა ამირეჯიბი, სადაც დახვდა თვით ფოფხაძე, **გიორგი მამაცაშვილი** და გელა ხვედელიძე. ესენი იმ შეხვედრაზე წარმოადგენდნენ მხარეს.

**— ამ შეხვედრის ჩანაწერი დაიბეჭდა გაზეთ „ქრონიკა+“-ში? იქ გარკვევით წერია, რომ შეხვედრა ამირეჯიბის თხოვნით ხდება და არა ფოფხაძე-მამაცაშვილის ინიციატივით...**

— იცით, რა, როცა ამ ჩანაწერის რეალურ ვერსიას მოუსმენთ, მიხვდებით, რომ ეს იყო მიზანმიმართული შეხვედრა.

**— რეალური ვერსია რას ნიშნავს. „ქრონიკა+“-ში გამოქვეყნებული ჩანაწერი არაა ნამდვილი?**

— ნამდვილი კი არის, მაგრამ მათთვის არასასურველი ადგილები, ზოგი დამახინჯებულია, ზოგიც, საერთოდ, გამქრალი.

ამაზეც ვისაუბრებ, მაგრამ ჯერ აგიხსნით: იმ შეხვედრაზე **ნუგზარ ფოფხაძე** ამირეჯიბს ეუბნება: უნდა დამიჯერო და უნდა გაჩერდეო. ამირეჯიბმა არ დაუჯერა ბატონ ფოფხაძეს და შემდეგაც წერდა ხუხაშვილზეც და ნაცვლიშვილზეც. იმ შეხვედრაზე ცდილობდნენ გაეჩერებინათ ამირეჯიბი იმით, რომ ეუბნებოდნენ: ჩვენ გვაქვს ფარესიშვილის ვიდეო, რომელსაც გამოვიყენებთო. მერე რაც მოხდა, ყველამ დავინახეთ, მაგრამ მე ასეთი შთაბეჭდილება მრჩება — გელა ხვედელიძემ აიღო ყველაფერი თავის თავზე, ფოფხაძეს რომ ხელი დაფარებოდა.

მე ვიყავი „ქართულ ოცნებაში“ და მქონდა ინფორმაციები, რომ გელა ხვედელიძე როცა ბრძანდებოდა „ოცნების“ შტაბების ხელმძღვანელი, იგი თამაშობდა ორმაგ თამაშს და „ქართული ოცნების“ შტაბები დაკომპლექტებული ჰყავდა ნაციონალების, კერძოდ, კუდის კადრებით. ეს ინფორმაცია ქალბატონ **მანანა კობახიძემდე** მივიტანე, თუმცა შედეგი არანაირი არ მოჰყოლია. მხოლოდ ის იყო, რომ ამის შემდეგ ხვედელიძე დამიპირისპირდა. ამ პერიოდში ხდებოდა კუდის ზეწოლები ჩემზე და მე დავტოვე საქართველო. არჩევნების შემდეგ უკრაინიდან დაბრუნებულს ხელთ ჩამივარდა ჩანაწერი, რომელიც არასრული სახით დაიბეჭდა „ქრონიკა+“-ში.

**— გიორგი, ჩანაწერი თქვენს ხელში როგორ მოხვდა? თქვენ შეხვედრაში არ მონაწილეობდით.**

— ამ კითხვაზე არ გიპასუხებთ, მხოლოდ მოგახსენებთ, რომ მე მაქვს შეხვედრის სრული ჩანაწერი, არა ისეთი, როგორიც დაიბეჭდა გაზეთში, არამედ სრული, ამოუჭრელი ჩანაწერი და იქ **ერთ ადგილას ბატონი ფოფხაძე ამბობს: მაქვს დოკუმენტები, რითაც ხუხაშვილსაც და ნაცვლიშვილსაც დავიჭერ, მაგრამ ჯერ ესენი საქმისთვის საჭიროაო**.

კარგად რომ გაიგოს ჩვენმა მკითხველმა: ნუგზარ ფოფხაძე არის იმხელა ფიგურა, რომ ხელი დაეფარა მის დანაშაულს 9 აპრილს. ადამიანთა ჯგუფი ყოველ დროში ცდილობდა ფოფხაძისთვის ხელის დაფარებას. ძლიერი და ფართო გავლენები აქვს ნუგზარ ფოფხაძეს და ფლობს ძალაუფლებას, რომ თავისი ბინძური საქმეები განახორციელოს. ყველამ იცის, მას სახელმწიფოს სასარგებლო საქმე არასდროს გაუკეთებია. ამ ჩანაწერით საქმე უნდა აღძრულიყო ფოფხაძეზე, მამაცაშვილზე და ახალი საქმე აღძრულიყო ხვედელიძეზე, მაგრამ ახლაც სახელმწიფოს ზედა ეშელონებშიც მისცეს გარანტია, რომ ეს ჩანაწერი ვერ გაჟონავდა. ამაზე მუშაობდა ხალხი. ეს ხალხია გაზეთ „ქრონიკა+“-ს ჯგუფი და ქალბატონი კილაძე. **როცა ჩემი ვიდეო აიტვირთა, იმ დღიდანვე ვიცოდი, რომ მოხდა შეხვედრა ფოფხაძის სახლში, თუმცა დოკუმენტი სანამ არ მქონდა, ამას ვერ ვამბობდი. პროკურატურას გადავეცი ეს ჩანაწერი და ახლა მისი მოვალეობაა**



ნუგზარ ფოფხაძე

10 gv.

9 gv.

**ალძრას საქმე ფოფხაძეზე და გიორგი მამაცაშვილზე**. დღეს კი შეტევა მიდის კილაძის გაზეთში ჩემზე და ლაშა ამირეჯიბზე. საქმე ისაა, რომ ქალბატონმა კილაძემ, რომელსაც ჩემზე ადრე ჰქონდა ეს ჩანაწერი, ხელი დააფარა ნუგზარ ფოფხაძეს და მესამე დღეს, როცა ჩემი ინტერვიუ გამოქვეყნდა, ბრიფინგზე თქვა: მამაცაშვილი არის დამნაშავე, იგი მონაწილეობდა ამ შეხვედრაშიო, უბრალოდ, ერთი პიროვნება არ დაუსახელებია და ეს იყო ნუგზარ ფოფხაძე. მან თქვა ასევე, რომ მამაცაშვილი უნდა დაისაჯოსო და რამდენიმე დღეში ქალბატონი კილაძე „დამნაშავე“ მამაცაშვილთან და **ლადო ბედუკაძესთან** ერთად ჯდება „რეპორტიორის“ ეთერში ბრიფინგზე, რომლის დამფუძნებელი გახლავთ ბატონი ფოფხაძე. ფაქტია,

# ვერ შევეგუები საქართველოში ახალი მაფიოზური კლანების აღორძინებას



ლაშა ამირეჯიბი

რომ ესაა მიკერძოებული გუნდი.

მინდა ასევე ვთქვა, რომ აბსოლუტურად გადაკეთებულია ის ჩანაწერი, რომელიც „ქრონიკა+“ დაბეჭდა.

იქ ორ დანაშაულზეა საუბარი. კერძოდ, ფოფხაძე ამბობს, რომ მას და გიორგი მამაცაშვილს აქვთ ვიდეოჩანაწერი ჩემზე და თუ მე არ გავჩერდები, გაუშვებენ და მეორე, სადაც ხვედელიძე აცხადებს, რომ იძიებს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მაღალჩინოსნების თემას და ამ დღეებში მათ დაიჭერს, საფუძველი არის ასეთი — ნუ არიგებენ 300-ლარიან ვაუჩერებს 210 ლარად და ა.შ. ეს იყო პირდაპირ **კირვალიძისადმი** მიმართული მუქარა, რადგან, როცა შემოდიოდა უვარგისი პროდუქცია, კირვალიძე ანადგურებდა და ეს იყო დარტყმა მათზე, ესენი მონაწილეობდნენ ამ საქმეში.

ახლა მოგიყვებით, რა არის ამოღებული იმ ჩანაწერიდან „ქრონიკა+“-მა რომ გაუშვა.

აი, ნუგზარ ფოფხაძე ეუბნება ამირეჯიბს: „წუხელ ამათ რა ვუთხარი, ასე ჩვენ საქმეს ვერ გავაკეთებთ“. ანუ უთხრა მამაცაშვილს, ამირეჯიბმა ჩვენთან ერთად უნდა აკეთოს საქმეო.

„არის საჭირო იმის გარკვევა, რაშია უთანხმოება“.

მოკლედ, ეს ძალიან ჰგავს „კანონიერი ქურდების“ სტილს. ქურდული გარჩევა მიდის, ოღონდ სახელმწიფო დონეზე.

**კოკა ყანდიაშვილი** ჩემი გაზრდილი ბიჭია. — ამბობს ფოფხაძე. ყანდიაშვილი უკვე იყო მაშინ ბიძინა ივანიშვილის პიარსამსახურის ხელმძღვანელი.

**—თუ ყანდიაშვილი უკვე ჩამოსულია, ფაქტობრივად, როდის შემდგარა ეს შეხვედრა?**

— შეხვედრა მოხდა აპრილის შუა რიცხვებში.

აქ პირდაპირ მიდის ლაპარაკი ფოფხაძესთან, რომ უნდა გაძლიერდეს ყოფილი პოლიტპატიმრების ჯგუფები. უნდა იყოს ცემატყეპა, არეულობები...

19 აპრილზე რომ ლაპარაკობენ ჩანაწერში, ხვედელიძე ამბობს: მე რა ვქნა, 300000 კაცი უცბათ საიდან მოვიყვანოო. ფოფხაძე დასძენს, არ დაუშვათ, გაითიშონ პოლიტპატიმრები, ერთიანი ფრონტით უნდა დასცხონო. მერე ხვედელიძის ხმა ისმის: წუხელ ნანა კაკაბაძე იყო ჩემთან, გაჭედილია მაგრადო. ვთხოვ ქალბატონ ნანა კაკაბაძეს — გაემიჯნოს ამ ხალხს.

მაგრამ მივყვეთ ჩანაწერს. იქვე საუბარია **დათო ჩხატარაშვილზე**. ამირეჯიბი ლაპარაკობს, რამდენად საშინელი პიროვნებაა ჩხატარაშვილი და სინამდვილეშიც ასეა. იგი იყო **ზურაბ ადეიშვილის** მოადგილე.

ნუგზარ ფოფხაძე განაგრძობს: „ხუხაშვილის მოადგილე რომ არის ჩხატარაშვილი“, (ხუხაშვილი უარყოფს, რომ ჩხატარაშვილი მისი მოადგილეა) და ფოფხაძე მერე აგრძელებს: თუ რამე, შენი მეგობრებიც ამოიყვანეო, ანუ ხუხაშვილზე და ნაცვლიშვილზეა საუბარი, თუ რამე პრობლემაა, აქ გადავწყვიტოთო.

**— ჩანაწერიდან ისმის ამოიყვანე მეგობრები და აქ გადავწყვიტოთო?**

— კი, იქ პირდაპირ არის საუბარი, როცა ცდილობენ, ამირეჯიბი მოთაფლონ და ფოფხაძე ეუბნება ხვედელიძეს: „თუ შენს მეგობრებთანაც შეთანხმებაა საჭირო, აქ მოვიდნენო. ეს სახლი შეკრების ადგილად გადაიქცევაო“, — ამბობს, მაგრამ ეს სიტყვები ქალბატონი კილაძის გაზეთში ხვედელიძისთვის არის მიწერილი.

შემდეგ ბატონი ფოფხაძე მიმართავს ხვედელიძეს: „თქვენ აბსოლუტურად სწორად იქცევით და ჩხატარაშვილის გამოყენებაზე ფიქრობთ, ეს არის სწორი გზა.“ ანუ გაფუჭებული ადამიანი, რომელმაც უამრავი ცუდი საქმე ჩაიდინა, სურთ, რომ გამოიყენონ. სხვათა შორის, ეს ჩხატარაშვილი არის „ბიზნესბანკის“ მფლობელი.

**— „ბიზნესბანკის“?**

— მოგეხსენებათ წინა ხელისუფლების ელიტური კორუფციის შესახებ, ანუ რა ბიზნესებიც ადრე არსებობდა, ჩხატარაშვილი აღწერას ახდენდა, თუ რომელი ბიზნესი იყო მეტად მომგებიანი და რომელი ნაკლებად. მას ჰქონდა საბუთები სრულად. აი, ამ კაცის გამოყენებაზეა საუბარი. რასაც ვებრძოდით წინა ხელისუფლებაში, იმის გაკეთებას ცდილობს ახალი მთავრობის ერთი ნაწილი, რომელსაც, ამ შეხვედრიდან ვხედავთ, რომ მართავს ბატონი ფოფხაძე.

ახლა დესტაბილიზაციაზე მოგახსენებთ.

ხვედელიძე, რომელიც 300 000 კაცის გამოყვანაზე ლაპარაკობს, აშკარად ეტყობა, რომ ქვეყანში არეულობის გამოწვევა უნდა, რომ მერე თვითონ და ფოფხაძემ ჩააცხრონ და მართონ პროცესები.

ყველამ კარგად ვიცით, 19 აპრილს იყო ნაციონალების მიტინგი, ანუ აქ საუბარია რაღაც დაპირისპირების შექმნაზე. მე ვფიქრობ, რომ ნაციონალების დაბრუნების შანსი 1,5%-ია, მაგრამ ხელოვნურად რომ ძაბავ სიტუაციას და დასავლეთს აჩვენებ, რომ ნაციონალები „დაჩაგრულები“ არიან, ესაა სამწუხარო. ამ ჩანაწერში არეულობებზე არის საუბარი, კიდევ ვიმეორებ, ეს ნიშნავს იმას, რომ ეს ადამიანები ცდილობენ არეულობების მოწყობას და თავიანთი ფუნქციის განმტკიცებას.

ჩანაწერში ჩანს, ამირეჯიბი საუბრობს: უკრაინაში მცხოვრებ ბიზნესმენთან, მილიარდერ **დავით ქვანიასთან** ჰქონდა შეხვედრები ბატონ ხვედელიძეს 2006 წელს და გარკვეულ თანხებზეა საუბარი, რომ ოპოზიცია დაეფინანსებინა დავით ქვანიას. აქ ერთვება ფოფხაძე და ამბობს, რაც ამოღებულია „ქრონიკა+“-ის ჩანაწერში: „მე გეტყვი, გელა, ერთ რამეს, მე შევხვდი ქვანიას, ჩამოვიყვანე საქართველოში, მაგრამ კაცმა არ იცის, რომ მე ის ჩამოვიყვანე, თუმცა მე მაინც მგონია, რომ ჩვენ ახლა დროს ვკარგავთ“...

კიდევ ერთი, როდესაც გიორგი მამაცაშვილი საუბრობს, ნაციონალებმა შემოაგდეს ვიდეოკადრები ფარესიშვილზე „ასავალ-დასავალში“ და ფარესიშვილი უნდა დავსაჯოთო. მე ვითვლებოდი იმ მთავრობის ოპოზიციონერად. თუ თვითონაც ეწინააღმდეგებდა ნაციონალებს, მაშინ მე რატომ უნდა დავესაჯე, როდესაც ნუგზარ ფოფხაძე უწმაწური სიტყვებით მომიხსენიებს, ეს გაზეთ „ქრონიკა+“-ში მიწერილია გელა ხვედელიძეზე. ფაქტობრივად, ყველანაირად ხდება ფოფხაძის გათეთრება გაზეთის მხრიდან. თუმცა, ვინც გულდასმით წაიკითხავს, მიხვდება, რომ ეს მათი დასამარებაა.

აი, კიდევ ერთი ფაქტი:

ნუგზარ ფოფხაძე ეუბნება ლაშა ამირეჯიბს: „მომისმინე, ეს არ უნდა გამოქვეყნებულიყო, გითხარი მაშინაც და ახლაც გეუბნები“, — გულისხმობს ამირეჯიბის ინტერვიუს ხვედელიძეზე.

თქვენს ყურადღებას გავამახვილებ ერთ ადგილზე, სადაც საუბარია აჭარის პოლიციის მთავარი სამმართველოს უფროსზე **ვალერი თელიაზე**. მოგეხსენებათ, მას უთანხმოება მოუვიდა საიასთან ბათუმში. ფოფხაძე აგინებს საიას და ამბობს, რომ თელია რამდენიმე ხანში იქედან წავა. კი, მაგრამ, საიდან იცის ბატონმა ფოფხაძემ თელია დარჩება თუ წავა?



გიორგი მამაცაშვილი

ასევე ამოღებულია ჩანაწერიდან საუბარი ქალბატონ კილაძეზე, სადაც ფოფხაძე ამბობს: ყველას გეუბნებით, სანამ არ დასრულდება ეს სიტუაცია, თავი შეიკავეთ, ანუ ხუხაშვილი-ნაცვლიშვილის თემას თავი დაანებეთო. მოკლედ, ვინც თავის ხალხად მიაჩნია და ჩემი აზრით, გაზეთსაც უფინანსებს, მათზე საუბარი უნდა შეწყდეს. ფაქტობრივად, არ უპირისპირდება ამ ხალხს, მაგრამ არეულობებზე კი ლაპარაკობს.

ნუგზარ ფოფხაძე თავისი ბინძური მეთოდებით ცდილობს კვლავ დაბრუნდეს პოლიტიკურ არენაზე და კვლავ აკეთოს ის, რასაც შევარდნაძის პერიოდში და ცოტა უფრო ადრე აკეთებდა.

**იგი ჩანაწერში ამბობს: მაქვს დოკუმენტები, რომლითაც ხუხაშვილს და ნაცვლიშვილს დავიჭერ, მაქვს ფარესიშვილზეც და სხვებზეცო, ანუ, ამ კაცს აქვს ინფორმაცია ყველაზე. გამოდის, რომ ნაცვლიშვილსაც და ხუხაშვილსაც თავისი გავლენის ქვეშ აქცევს.**

ამ საქმეში აქტიურადაა ჩართული „ქრონიკა+“ და მისი რედაქტორი ქალბატონი კილაძე. როგორც აღმოჩნდა, მას ხელთ ჰქონდა ეს ჩანაწერი, მაგრამ არ ააშკარავებდა. მე კი, ჩემს ხელში რომ აღმოჩნდა, მაშინვე შევიტანე პროკურატურაში.

ქალბატონი კილაძე ხელს აფარებდა დანაშაულს? ანუ მან იცოდა, რომ ფოფხაძე იყო დამნაშავე და ჩემი მხარდამჭერი ბრიფინგი რომ ჩაატარა ამირეჯიბთან ერთად, ჩვენ ვიყავით კარგები, ორი კვირის შემდეგ გავხდით ცუდები?!

ჩემი აზრით, ყველაფერი დადგმული იყო, რომ მოეშორებინათ გელა ხვედელიძე. ხვედელიძე ნამდვილად მოსაშორებელი იყო, მაგრამ, ბუნებრივია, ნუგზარ ფოფხაძეს არ უნდოდა, რომ გამოჩენილიყო ამ საქმეში.

აჟიოტაჟი ატყდა იმიტომ, რომ მე ხელს არ დავაფარებდი და არც დავაფარე.

**— ჩანაწერში, რომელიც თქვენ პროკურატურას გადაეცით, არის ხვედელიძის მოცილებაზე საუბარი?**

— როცა ჩანაწერის არსებობა გაიგეს, ამის შემდეგ გადაწყვიტეს მისი გაწირვა. იმ ხანებში ჩვენთან მოდიოდნენ ვიღაც-ვიღაცები და გვთავაზობდნენ თანხას: რამდენი გინდათ, რომ გადაგიხადოთ ამ ჩანაწერშიო?

მე ვერ დამიყოლიებდნენ, იცოდნენ ეს, ადგნენ და ხვედელიძეს შეაწმინდეს ხელი.

**— ვისგან მოდიოდნენ და რამდენს გთავაზობდნენ?**

—პირადად ჩემთან არ მოდიოდნენ, ჩემს ახლობლებს აკითხავდნენ და დიდძალ თანხებს სთავაზობდნენ.

ქალბატონ კილაძეს ერთხელ საუბრისას ვუთხარი, რომ მქონდა შეხვედრები **დიმიტროვთან, ნორლანდთანაც** და ვთქვი ყველაფერი, რაც რეალურად იყო. მაშინ ელისო კილაძემ მკითხა: ფოფხაძის არ გეშინიაო?

**არავისი არ შემშინებია არასდროს, ხვედელიძის არ მეშინოდა და ფოფხაძის შემეშინებოდა?**

**საშიში კაცია, ფოფხაძე. როგორც ამბობენ, შევარდნაძესაც კი ეშინოდა მისი, მაგრამ მე არ მეშინია!**

რამდენადაც ვიცი, ბატონი ფოფხაძე შევარდნაძის პერიოდში იყო პრეზიდენტის ფონდის ხელმ-

იხილეთ „საერთო გაზეთი“ ინტერნეტში
www.saertogazeti.ge
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი

ძღვანელი. შევარდნაძის ფონდთან არსებული ბანკის **„თბილინტერბანკის“** გაკოტრება მის სახელს უკავშირდება. მისი დირექტორი ჯერ მოსკოვში გაუშვეს, მერე ავსტრიაში და დახურეს შევარდნაძის ფონდიც. ცხონებული **სოლიკო ხაბეიშვილის** ქვრივმა ამ ბანკში 5000 დოლარი დაკარგა. თუმცა ეს „მცირე“ დანაშაულია 9 აპრილთან შედარებით. და ჩვენ არ გვიბრძოლია იმისთვის, რომ საბჭოთა დრო დაგვებრუნებინა, ისეთი დრო, როცა ოჯახებში ხდებოდა ქვეყნის მართვა. სხვათა შორის, ჩანაწერში ისმის ხმა, ფოფხაძე ამბობს: ხვედელიძე დღეს აქ შეხვედრაზე გვესწრება არა როგორც ჩვეულებრივი მოქალაქე, არამედ, როგორც სახ.ელმწიფო მოხელე და უმაღლესი თანამდებობის პირიო.

**ირაკლი ღარიბაშვილს უდიდეს პატივს ვცემ, ვიცნობ და ვიცი, წესიერი ადამიანია, მე ველოდები მისგან რეაგირებას ამ საქმესთან დაკავშირებით.** ჩემთვის დიდი ტრაგედიაა ის, რა დასკვნამდეც მივდივარ: ნუგზარ ფოფხაძე დღევანდელ პოლიტიკურ სიტუაციაში იმხელა ფიგურაა, რომ მას ხელს საგულდაგულოდ აფარებენ.

ამიტომ გვჭირდებოდა მკაცრი ხელი. დაგველუპება ზედმეტად ლოიალური პოლიტიკით ქვეყანა. ვინც დასასჯელია, უნდა დასაჯო და არ უნდა გაიკარო გასვრილი ადამიანი. ხვედელიძე, როგორც აქეთ მუშაობდა, ისე მუშაობდა იქით. ეს ნაციონალები ხელისუფლებაში არ იყვნენ? უზარმაზარი ძალაუფლება ჰქონდათ და უზარმაზარ თანხებს ფლობდნენ. უამრავი ადამიანი ჩანერგეს „ოცნებაში“ და ახლაც იქ არიან. ვინ იტყვის, ჩანერგილი ვარო და არიან „ოცნებაში“.

*(ისმის სატელეფონო ზარი, ფარესიშვილი ამბობს, რომ ურეკავს დაცვა.-ი.კ.)*

**— დაცვა რომელი უწყებიდან გყავთ?**

— შსს-დან, რადგან მე ვებრძვი იმ ადამიანებს, რომლებისაც შევარდნაძესაც ეშინოდა. ასეთ ხალხს შეუძლია პირადი ანგარიშსწორებაც განახორციელოს.

საშინელ დისკომფორტს განვიცდი, დაცვა რომ დამყვება, მაგრამ ეს არის უსაფრთხოების საკითხი.

**— კარგი, დავუბრუნდეთ წინანდელ საუბარს. ხვედელიძე, ასე ვთქვათ, „გაუვნებელყოფილია“. დარჩენილია ვინ?**

— ხვედელიძე ფორმალურად არის ჩამოშორებული თანამდებობას. რეალურად ის „ყველგან“ არის. ნეტავი, მქონდეს იმის საშუალება, რომ ერთი ოპერატორი მივუჩინო ხვედელიძეს, გაიშიფრებოდა, რომ ყველა უწყებაში თავისუფლად დადის. ამას წინათ ჩემმა ახლობელმა, რომელიც „ქართუ ბანკში“ იყო თავის საქმეზე, ხვედელიძე დაინახა ბანკის შენობაში.

მაგრამ, ამ შემთხვევაში, ხვედელიძე მართლა მეორეხარისხოვანია. რაც ვიცი და რა ინფორმაციებიც მაქვს, ბატონ ფოფხაძეს დიდი თანხები შემოუვიდა **„ედინაია რასიას“** ერთ-ერთი მთავარი იდეოლოგისგან **ალექსანდრ გელევიჩ დუგინისგან**. ამ თანხებით შექმნა საინფორმაციო სააგენტო **„რეპორტიორი“**, **„ინტერმედია“**, პატრონობს **„ქრონიკა+“** და სულ მალე აპირებს მედიასახლის შექმნას.

**— ეს ბრალდება უნდა დაამტკიცოთ. ასე, შეიძლება, მე მანჯურიის აგენტობა დამაბრალოთ.**

— „რეპორტიორის“ გენერალური დირექტორი არის გიორგი მამაცაშვილი, რომელზეც ჩანაწერში ფოფხაძე აცხადებს: ჩემი შვილობილიაო.

**— „ქრონიკა+“-ის ჩანაწერში ამირეჯიბზეც ამბობს შვილობილიაო და „ჩემი ლაშიკოთი“ მოიხსენიებს, მისთვის კარგის გაკეთებას ცდილობს. ჩანაწერით ჩანს, რომ ჭაბუა ამირეჯიბის შვილი ლაშა ამირეჯიბი ბატონ ნუგზარს დასაჩაგრად არ ემეტება.**


ლაშა ნაცვლიშვილი


გელა ხვედელიძე


გია ხუხაშვილი

— კი, მაგრამ ამირეჯიბი არ დაუნიშნავს არსად. ფოფხაძეს კაბინეტიც აქვს „რეპორტიორში“, იოსებიძის ქუჩაზე, არც მალავს ამას, იქ იბარებს ადამიანებს შეხვედრებზე.

რაც შეეხება „ინტერმედიას“, ეს არის ერთადერთი ინტერნეტსაიტი, სადაც ლაშაზე და ბატონ **ჭაბუა ამირეჯიბზე** უამრავი სიბინძურე დაიწერა.

პირდაპირ იკვეთება, პირდაპირ მიდის ლაპარაკი „რეპორტიორზეც“ და „ქრონიკა+“-შიც, რომ უნდა დაინიშნოს ვადამდელი საპარლამენტო არჩევნები და ივანიშვილის გუნდი უნდა შეიცვალოს, მაგრამ მე ვერ ვხედავ ძალას, რომელიც მოვა და იქნება იმაზე უკეთესი, რაც დღეს არის.

**— რა ჯგუფით უნდა შეიცვალოს, რომელ გუნდზე მუშაობენ, ამაზეც ხომ არ გაქვთ ინფორმაციები?**

— უნდა გითხრათ, რომ პრორუსული პოლიტიკური ორიენტაციის არ ვარ, მაგრამ არც განსაკუთრებით პროდასავლური, ჩვენ უნდა გვქონდეს რუსეთთან კარგი ურთიერთობა, თუმცა ეს არ ნიშნავს, რომ სომხეთის გზას დავადგეთ. დღეს ნელ-ნელა იკვეთება გარკვეული პრორუსული ძალები, რომლებითაც სურთ ჩაანაცვლონ ივანიშვილის გუნდი.

**— ყველაზე ძლიერი „პრორუსი“ ბურჯანაძეა.**

— მე ქალბატონ ნინოსთან და „სახალხო კრებასთან“ ერთად ვიბრძოდი იმისთვის, რომ წინა ხელისუფლება წასულიყო. დღეს კი ფოფხაძის და მისი მეგობრების კლანური გაერთიანება დისკრედიტებას ახდენენ ივანიშვილის გუნდის და ლაპარაკობენ ვადამდელ საპარლამენტო არჩევნებზე. ახლა ივანიშვილზე დარტყმა მიმართულია იქითკენ, რომ ფოფხაძის მედიასახლმა, ჩემი ინფორმაციით, გაუწიოს საინფორმაციო მხარდაჭერა ქალბატონ **ნინო ბურჯანაძეს**. რადგან პიროვნულად პატივს ვცემ, მოვუწოდებ ქალბატონ ნინოს, თავი შორს დაიჭიროს სახელმწიფოს მტრებისაგან.

აგერ ქალბატონი კილაძე ერთგულებას ეფიცება ბატონ ბიძინას. არაა გამორიცხული, იგივეს აკეთებდეს სხვებიც კონსპირაციულად და ეუბნებოდნენ: მერე რა, რომ იმას ვურტყამთ, ამას ვურტყამთ, ბატონო ბიძინა, თქვენ ხომ არ გაკრიტიკებთ? სინამდვილეში ზუსტად მას ურტყამენ. მისი დარტყმა ნიშნავს ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების ჩატარებას და პირდაპირ პრორუსული ძალების მოყვანას.

„ქრონიკა+“-ის სინდრომია ეს.

ამ გაზეთში ამტყდარა ერთი ამბავი ჩანაწერების ჩემს ხელში მოხვედრის შემდეგ. ჩანაწერებში ისმის: ბატონო ნუგზარ, აკაკიჩ... როცა გაიგეს, ჩანაწერი მეც მქონდა, იფიქრეს, რაღა სხვამ გამოაჩინოს, ჩვენ გამოვაქვეყნებთო. და გამოაცხო ქალბატონმა კილაძემ ეს დამახინჯებული სტატია.

ქალბატონი კილაძე დამოუკიდებელი პირი არ არის. ცენტრი არის ფოფხაძე. მან მოიყვანა ის. სხვათა შორის, მასთან დაახლოებულმა პირმა **თემურ კენკებაშვილმა**, 18 წლის ბიჭმა, რომელიც ქალბატონმა კილაძემ და ბატონმა ფოფხაძემ ექსპერტად გამოაცხადეს, მითხრა: ბატონი ვახტანგის, ხარჩილავას გაზეთს ივანიშვილი აფინანსებსო. ეს კენკებაშვილი **ვაჟა ლელუაშვილის** აგენტი იყო. ის არასდროს მალავდა, რომ „მოხუცთან“, ნუგზარ ფოფხაძესთან ჰქონდა კავშირები. ერთ ხანს ის ეჩხუბა რაღაცაზე ელისოს და ჩვენ შემოგვეკედლა. ამ კენკებაშვილს გადმოაგზავნინა ჩემთან ელისო კილაძემ თქვენს გაზეთში დაბეჭდილი სტატია გვიან, გამოქვეყნებიდან ორი კვირის შემდეგ.

კენკებაშვილი მომიგზავნა „მოხუცმა“ და ათქმევინა: მე თვითონ ვნახე ფარესიშვილის ინტიმური ვიდეო და დარწმუნებით ვიტყვი, სრული „ფალშივკა“ არისო. ეს რომ არ გაუვიდათ, მერე მოიფიქრეს ათასგვარი სიბინძურე. კენკებაშვილმა მკითხა ერთხელ: არ გიფიქრია, რითია დავალებული ელისო კილაძე ნუგზარ ფოფხაძისგანო? მე ვუთხარი: ორი რამე უნდა იყოს — თანხები ან რაიმე კომპრომატი ელისოზე-მეთქი.

დიახო, **ვაჟა ლელუაშვილს** ჰქონდა **ელისო კილაძეზე** საბუთები, როგორ შეაგზავნეს იგი ბადრი პატარკაციშვილთან. კილაძეზე ინფორმაციები ფოფხაძეს აქვს ხელშიო. მოკლედ, საუბარი არ არის მხოლოდ ჩემზე. ჩემი თემა ერთ-ერთი პატარა ნაწილია იმ თამაშში, სადაც მთავარი მოთამაშე ნუგზარ ფოფხაძეა.

მე მაქვს ინფორმაცია, გვარებს არ დავასახელებ, ახალგაზრდებში არის ხალხი, რომლებსაც პროსრუსული კურსი უჭირავთ იმ ორგანიზაციაში, **ალექსანდრე ებრალიძე** რომ აფინანსებს. ახლა აპირებს ბატონი ფოფხაძე კიდევ რამდენიმე ახალგაზრდის გადაბირებას. სურს უმცროს თაობაშიც შექმნას პრორუსული გაერთიანება.

**— თუ მართლა ისეა, როგორც ლაპარაკობთ, მეც იგივე კითხვას დაგისვამთ: არ გეშინიათ? ხელისუფლება ვერ ან არ გესარჩლებათ, რისი იმედი გაქვთ?**

— ამ ეტაპზე, რაც შემიძლია, ვაკეთებ ნული რესურსებით და მინდა გითხრათ, ვინც ამ სამართლიან ბრძოლაში მხარი დამიჭირა, იყო **ეკა გიგაური, კახა კოშორიძე, ზაზა ხატიაშვილი, უჩა ნანუაშვილი**, რომელიც არის ძალიან კარგი პიროვნება.

დღეს შემიძლია ვთქვა: ეჭვი მეპარება, პროკურატურამ სიმართლე დაადგინოს, რადგან, როგორც რკინიგზაში კოკა გუნცაძე არის ფორმალურად და სინამდვილეში ყველაფერს მართავს ხუხაშვილი, ასევე პროკურატურაში რეალური მმართველი კბილაშვილი კი არა, ლაშა ნაცვლიშვილია.

თავად განსაჯეთ.

ფაქტია, რომ ქვეყანაში არის ფეთქებადსაშიში სიტუაცია. ეს სამწუხარო რეალობაა და ამაზე ხმის ამოუღებლობა პირდაპირ დანაშაულია.

დღეს ჩვენ ბევრ რამეზე ვისაუბრეთ, მაგრამ საუბარი არ დასრულებულა. მე ვაგრძელებ მათ წინააღმდეგ ბრძოლას. ჯერ ერთი, ქვეყანაში არის ძალიან გაუთვლელი სიტუაცია. ყველას ჰქონდა იმედი, სანამ ივანიშვილი დაალაგებდა სიტუაციას, ის დარჩებოდა პოლიტიკაში, მაგრამ მე კიდევ ერთხელ ვამბობ: ბიძინა ივანიშვილი რომ ამბობს, მივდივარო, რატომ მისცემენ ხმას მის დაყენებულ კანდიდატურას? მაგრამ არის კიდევ ერთი პოლიტიკური ფიგურა — ქალბატონი ბურჯანაძე, რომელიც ხალხის მოთხოვნას აჟღერებს და ამბობს, რომ ნაციონალებს ციხეში გაუშვებს. დამნაშავე, ვინც არ უნდა იყოს, „ოცნებამაც“ უნდა დასაჯოს, მაგრამ ისინი აძლევენ მანიპულირების საშუალებას **ნინო ბურჯანაძეს**.

მე ყოველთვის ვამხელდი ბიძინა ივანიშვილის გუნდში არაჯანსაღ ძალებს. მან უნდა იზრუნოს „ოცნების“ გასასუფთავებლად, იმიტომ, რომ ისინი ქვეყანას ვნებენ. ასეთი რამეები უკვე გავიარეთ შევარდნაძის დროს, სააკაშვილის დროს და იგივეს გამეორება აღარ გვინდა.

ფოფხაძეს კი სურს თავის კონტროლქვეშ მოაქციოს ყველაფერი, ოღონდაც ისე, რომ თვითონ ფანტომასივით უჩინარი იყოს.

მას „ქართული ოცნების“ სტრუქტურებშიც გავლენები აქვს, ახლა კი ცდილობს მესამე ძალა გააერთიანოს და თვითონ მოგვევლინოს ამ ძალის ფარულ მმართველად. იმიტომ ვიბრძვი, რომ ვერ შევეგუები საქართველოში ახალი მაფიოზური კლანების აღორძინებას.

**ირანდა კალანდაძე**
593 56 11 18

**რედაქციისაგან:** „საერთო გაზეთს“ არანაირი სურვილი არ ჰქონია თავის ფურცლებზე გადმოეტანა ის არასასიამოვნო პოლემიკა, რაც ერთ-ერთ ბინაში ჩაწერილი ცნობილი აუდიოჩანაწერის („გელა ხვედელიძისა და ლაშა ამირეჯიბის შეხვედრის სკანდალური ჩანაწერი“) გამოქვეყნებას მოჰყვა. მივიჩნიეთ, რომ ამ პოლემიკაში ჩართული ადამიანები უჩვენოდაც გაარკვევდნენ მტყუან-მართალს, მაგრამ ფარესიშვილის უსაფუძვლო ბრალდებამ, რომ „საერთო გაზეთში“ მასზე გამოქვეყნებული წერილი ნუგზარ ფოფხაძის მიერ იყო შეკვეთილი, სხვა გზა არ დაგვიტოვა...

გიორგი ფარესიშვილთან ინტერვიუს ჩაწერის შემდეგ ჩვენ **გიორგი მამაცაშვილსაც** დავუკავშირდით და მასთან ინტერვიუც ჩავწერეთ. მამაცაშვილი ინტერვიუში ამბობს: „სასაცილოა, მაგრამ ტვინარეულ ადამიანებს „წარმატებით“ შეუძლიათ ცილი დასწამონ ნებისმიერს, ისე, რომ წარბიც არ შეიხარონ, თუმცა არის რაღაცები, რასაც შეიძლება წაუყრუო, მაგრამ არის რაღაც, რასაც უნდა მიჰყვე ბოლომდე. თუმცა ჩვენ უკვე მეტს აღარ მოვითმენთ. ამ საქმეს მივყვებით ბოლომდე სამართლებრივი კუთხით. ყველა ცილისმწამაბელი, ყველა ნაძირალა და „დანოსჩიკი“ პასუხს აგებს სამართლებრივად. ჩვენ ვამზადებთ სარჩელებს. ყველას უნდა მიეზღოს სამაგიერო — კეისარს კეისრისა, ამირეჯიბს ფარესიშვილისა“...

მამაცაშვილის ინტერვიუს სრულად გაზეთის მომდევნო ნომერში შემოგთავაზებთ.

„საერთო გაზეთი“ ფარესიშვილის ინტერვიუში მოხსენიებულ სხვა პირებსაც სიამოვნებით დაუთმობს თავის ფურცლებს.

„ს.გ.“

# რატომ იზრდება სოციალურად დაუცველთა რიცხვი ყოველწლიურად და სადამდე შეიძლება ამან ქვეყანა მიიყვანოს?

*რა ურჩევნია ადამიანს — იყოს მუდმივად ხელგაწვდილი და სხვაზე დამოკიდებული, თუ იმუშაოს და საკუთარი შემოსავალი ჰქონდეს? რატომ ურჩევნია ქვეყანას მუდმივად უხადოს გაჭირვებულ ფენას რაღაც მიზერული თანხა და რატომ არ ზრუნავს იმაზე, რომ „პადაჩკების“ ნაცვლად სადმე დაასაქმოს? რატომ არ ზრუნავს სახელმწიფო საშუალო ფენის შექმნაზე და რატომ უნდა რომ შექმნას ფენა, რომელიც მუდმივად ხელგაწვდილი იქნება? ამ თემებზე ეკონომიკის ექსპერტი* ***ლევან კალანდაძე*** *გვესაუბრება:*

— სოციალური პოლიტიკა, ზოგადად, ყველა მთავრობის აქილევ-



სის ქუსლია. თუმცა ზოგ ქვეყანას გააჩნია შესაძლებლობა და უნარი, საკუთარი შემოსავლებით, ქვეყანაში ძალიან აქტიური სოციალური პოლიტიკა განახორციელოს, რაც გარკვეულ ხარჯებს უკავშირდება. უპირველეს ყოვლისა, ამ თანხების წყარო ბიუჯეტია. ძალიან ბევრ ქვეყანაში, სოციალური ეფექტურობის გაზრდის გზა დასაქმებაზე გადის. ანუ დასაქმება, ხდება ინსტრუმენტი, რათა ადამიანმა სოციალ-ეკონომიკური მდგომარეობა გაიუმჯობესოს. ამ შემთხვევაში სახელმწიფო სოციალური კეთილდღეობის წყაროდ საბიუჯეტო ხარჯების, გადასახადების ზრდას კი არ იყენებს, არამედ პირიქით, ქმნის ბიზნესის გაუმჯობესების, მისი ხელშეწყობის გარემოს და შესაბამისად, ჩნდება დამატებითი სამუშაო ადგილები იქმნება. სამწუხაროდ, საქართველომ, ბოლო პერიოდში, ახალი ხელისუფლების მოსვლის მერე, მემარცხენისტული მოდელი აირჩია, რომელიც ბიუჯეტის სოციალური ვალდებულებებით დახუნძვლას, დატვირთვას ისახავს მიზნად, რითაც საზოგადოებაში სიღარიბის დაძლევას და სოციალური პრობლემის გადაწყვეტას ცდილობს. ეს მოდელი მოკლევადიან პერსპექტივაში, შეიძლება წარმატებულადაც კი განიხილო. მაგრამ გრძელვადიან პერსპექტივაში სერიოზული საფრთხეა. ასეთი მიდგომა, საბოლოო ჯამში, სიღარიბის პრობლემას ვერ წყვეტს. ადამიანებს მხოლოდ გარკვეული დროის განმავლობაში უმსუბუქდებათ ყოფა, მაგრამ ის, რომ ოჯახი რეალურად დასაქმებული არაა, ჩამოკიდებულია სოციალურ დახმარებაზე, ეს მის სტატუსს, რეალურად, არ ცვლის. ეს ადამიანი ყოველთვის ამ სტატუს-კვოს ინარჩუნებს, ამ მდგომარეობაში რჩება. მეორე მხრივ, გარკვეული ფსიქოლოგიური თვალსაზრისით, მას არ აქვს მოტივაცია საკუთარი სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობა გაიუმჯობესოს. იმიტომ, რომ ამ პრობლემასა და სოციალურ დახმარებას შორის პირდაპირი, მიზეზ-შედეგობრივი კავშირი არსებობს — როგორც კი იგი თავის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას გაიუმჯობესებს, მას სახელმწიფო ავტომატურად უხსნის სოციალურ დახმარებას. ეს პრობლემა საქართველოშიცაა. როდესაც უმწეოთა შემწეობის მქონე ადამიანს ვესაუბრებით და ვცდილობთ მათი საზოგადოებრივი აქტივობის სტიმულირება მოვახდინოთ, თუნდაც ბიზნეს-აქტივობის, ეს ადამიანი იმ წამსვე ჩერდება და ამბობს — ჩემი აქტივობა, რაღაც საქმიანობის დაწყება მაშინვე გამოიწვევს 30 ლარიანი კომპენსაციის დაკარგვასო და ამ აქტივობაზე უარს ამბობს. დღეს ჩვენს საზოგადოებას, გარანტირებული 30 ლარი ურჩევნია ჰიპოთეტურ 100 ლარს, რომელიც ან ექნება, ან არა. შესაბამისად, ერთია ის, რომ საზოგადოების ეს ნაწილი პროგრესზე ორიენტირებული არაა, მთავრობა ამ ფენას მუდმივად კვებავს სოციალური შემწეობებითა და კომპენსაციებით და მეორე პრობლემაა ის, რომ თავად საზოგადოებაში სოციალ-ეკონომიკური მდგომარეობის გაჯანსაღების ტენდენცია აღარ შეინიშნება. იმის ნაცვლად, რომ უმწეოთა კატეგორია, რაოდენობა შემცირდეს, პირიქით, უმწეოთა საერთო ბაზას ყოველწლიურად ახალ-ახალი სოციალური ჯგუფები ემატება. სტატისტიკური მონაცემები, რაზეც შენ საუბრობ, სწორედ მაგაზე მეტყველებს — საქართველოში ამ მიდგომამ უმწეოთა რაოდენობა კი არ შეამცირა, არამედ პირიქით, მათი რიცხვი წლიდან წლამდე გაზარდა. უმწეოები ემატება და ემატება, ჩნდება ახალი სოციალური ჯგუფები, რომლებიც სახელმწიფოსგან დახმარებას საჭიროებენ და სახელმწიფო იძულებულია ეს ახალი სოციალური ჯგუფებიც კვებოს. ეკონომიკურ-ფინანსურ ენაზე ეს ნიშნავს — წლიდან წლამდე სახელმწიფოს სოციალური მიზნებისთვის დანახარჯები ეზრდება. ანუ ბიუჯეტის ის ნაწილი, რომელიც ასეთი ტიპის სოციალური ხარჯების დაფინანსებაზეა გამიზნული, წლიდან წლამდე იზრდება. შესაბამისად, საბიუჯეტო გასავლებიც დიდია. გეტყვით, რა სიტუაცია იქნებოდა, მეორე მოდელი რომ აგვერჩია, ანუ, როცა სოციალური პრობლემის ინსტრუმენტი დასაქმებაა. დასაქმებაზე ორიენტირებული პოლიტიკა საბოლოო ჯამში ახალ სამუშაო ადგილებს ქმნის, გრძელვადიან პერსპექტივაში ეს ბიუჯეტს საშუალებას აძლევს, წლიდან წლამდე დასაქმების მაჩვენებლის, ბიზნეს-აქტივობის ზრდასთან ერთად და საზოგადოების მოხმარების მოცულობის ზრდასთან ერთად, არათუ გაეზარდოს საბიუჯეტო ხარჯები, არამედ გაეზარდოს შემოსავლები. ეს ყველაფერი პირდაპირ პროპორციულია გრძელვადიან პერსპექტივაში ბიუჯეტის შემოსავლების ზრდასთან.

დღეს საქართველოში იდეოლოგიური პრობლემაა. სოციალურ სფეროშიც მემარცხენეულ მიდგომას ვირჩევთ და განვითარებას ამით ვაპირებთ. მაგრამ ერთი რამ უნდა გავითვალისწინოთ: თუ გვინდა თავისუფალ საბაზრო პრინციპებზე დაფუძნებული ქვეყანა ავაშენოთ, დაუშვებელია სახელმწიფო ეკონომიკას და სოციალურ სფეროს მემარცხენისტული მოდელის საფუძველი ჩავუყაროთ და თავისუფალი საბაზრო ეკონომიკა მივიღოთ. ასე ვერ მოხდება. აი, ესაა პრობლემა — ვცდილობთ ბიუჯეტი რაც შეიძლება მეტად დავტვირთოთ სოციალური ვალდებულებებით და არ ვითვალისწინებთ, რომ 2014 წლის ბიუჯეტი უფრო მეტად იქნება სოციალურად დატვირთული. 2015-ში კიდევ უფრო მეტი და ა.შ. იმიტომ, რომ 2013 წლიდან 2015-მდე საზოგადოების გაღარიბების ტენდენცია, ღარიბთა რიცხვი ასეთი მიდგომით არ შემცირდება. საბოლოო ჯამში მივალთ შემდეგ პრობლემასთან — ბიუჯეტში წლიდან წლამდე სოციალური ვალდებულებების გასტუმრების პრობლემა შეიქმნება. რა გზა რჩება მთავრობას? — უცხოეთში დამატებითი ფინანსური რესურსების მოზიდვა. მეორე ინსტრუმენტი სახელმწიფოსთვის, ასეთ სიტუაციაში, გადასახადების გაზრდაა. სამწუხაროდ, დღეს ეს ტენდენცია უკვე შეიმჩნევა. ხელისუფლების მხრიდან დაანონსებულია შემოდგომიდან არაპირდაპირი აქციზური გადასახადის გაზრდის სურვილი. ესაა პირველი ნაბიჯი. მომავალ წელს, როცა ვალდებულებების ზრდის პარალელურად ხელისუფლებას ხარჯები გაეზრდება, ზრდის მოთხოვნა სხვა გადასახადებზეც გაჩნდება. შესაბამისად, გადასახადების ზრდა პირდაპირ დაკავშირებულია ჩვენი ჯიბიდან ფულის ამოღე-



ბაზე. მეორე მხრივ ბიზნესს წარმოება უძვირდება და შესაბამისად, მოტივაცია იმისა, რომ საქართველოში ვინმემ ბიზნესი აკეთოს (აღარაფერს ვამბობ უცხოელ ინვესტორებზე), კვდება. როგორც კი ბიზნესმენი დაინახავს, რომ მისთვის გარკვეული ნეგატიური მოლოდინები ჩნდება, იგი ავტომატურ რეჟიმში დაიწყებს იმაზე ფიქრს, სად გადაიტანოს ბიზნესი, სად უფრო კომფორტული და ფინანსურად მოტივირებული იქნება მისი საქმიანობა, რომელი ქვეყნის კანონმდებლობა უფრო მეტად დააფასებს და შესაძლებლობას მისცემს მას მეტი მოგება მიიღოს. ამას ხომ კონკრეტული ბიზნესის საქართველოში გაჩერება მოჰყვება, რასაც თან ახლავს სამუშაო ადგილების შემცირება. სამუშაო ადგილები, საბოლოო ჯამში არის გარკვეული სოციალური ინსტრუმენტი, რომელიც არაპირდაპირ, სახელმწიფოს მხრიდან გამოყენებული უნდა იყოს მოსახლეობის სოციალ-ეკონომიკური მდგომარეობის გაჯანსაღების და გარკვეული სოციალური გარანტიების სისტემის შექმნის თვალსაზრისით.

**— ახლა ახსენე, სოციალური ვალდებულებებითაა ბიუჯეტი ძირითადად დატვირთულიო, რაც პრობლემაა. სიღარიბის დაძლევის ნაცვლად ჭაობში ჩავეშვით. დასაქმება არ ხდება. მთავრობის მიდგომაა ხელი არ გაანძრიო, თორემ რაც მოგეცი წაგართმევ. ანუ ჩამოყალიბდა ლატაკთა ფენა, მათ მივეცით სტატუსი, მოწმობა, მათი რიცხვი ძალიან გამრავლდა. რას ვაპირებთ, ლატაკთა ფენამ უნდა ააშენოს ქვეყანა?**

— სავსებით სწორი შეფასებაა. მსოფლიო ისტორიას, არ ახსოვს შემთხვევა, რომ უპოვარ და უყოფელ საზოგადოებას ძლიერი სახელმწიფო შეექმნას, ან ომში ისეთ სახელმწიფოს გაემარჯვოს, რომელიც ეკონომიკურად და საზოგადოებრივად ძლიერი არ ყოფილიყო და უმწეოებისგან შემდგარიყო. წარმატების საფუძველი ყოველთვის საზოგადოებრივი კეთილდღეობაა. ჩვენში რატომღაც, ამ კეთილდღეობაში გარკვეულ საფრთხეს ხედავენ, ანუ ბიზნეს- კლასი, მდიდარი ადამიანების კლასი რატომღაც მტრებად უნდათ გამოიყვანონ. ბოლო დროს დაწყებული ანტისაბანკო ისტერია და კამპანიაც ამის ნიშანია — ადამიანები ვერ აცნობიერებენ იმას, რომ ბიზნესი, საბანკო, სადაზღვევო სფერო ინსტრუმენტია იმისა, რომ შენ კარგად გრძნობდე თავს, რათა შენ გაგიჩნდეს შემოსავლები. იმის ნაცვლად, რომ სახელმწიფოს ამ სფეროს განვითარებისთვის ხელსაყრელი ბიზნესგარემოს შექმნას სთხოვდნენ, პირიქით, სახელმწიფოს მათ დასჯას სთხოვენ. იმედი მაქვს ეს მასობრივი ისტერიის სახეს არ მიიღებს, მაგრამ ამის ნიშნები არის და გარკვეულწილად სტიმულირებულია სახელმწიფო პოლიტიკის მხრიდან. იმიტომ, რომ სახელმწიფო აძლევს გარკვეულ მესიჯს საზოგადოებას — მე გარჩენ შენ, მე მოგიხნავ მიწებს, მე დაგითესავ, მე მოგცემ სასუქს, მე დავაზღვევ ყველას და ყველაფერს, ყველას გადაგიხდით მკურნალობის ფულს და არა ის, რომ გადავუხდი იმას, ვინც მართლა უპოვარია, დავუფინანსებ გარკვეულ ხარჯებს მხოლოდ იმას, ვისაც მართლა არ აქვს არანაირი შემოსავალი. რა ლოგიკა არსებობს, რომ ყველა ადამიანს სახელმწიფომ დაუფაროს გარკვეული ხარჯები იმის მიუხედავად აქვს თუ არა მას შემოსავალი, ეს გარკვეული მავნებლური პოლიტიკაა, რომელიც გრძელვადიან პერსპექტივაში თავს იჩენს და ბუმერანგივით დაგვიბრუნდება.

**— ღატაკი ფენის გაზრდა ამ საარჩევნო ხმებთან კავშირშიც ხომ არის?**

— ბუნებრივია, ქვეყანაში რაც უფრო ბევრი უმწეოა, რაც უფრო ბევრ ადამიანს უხდის სახელმწიფო შემწეობას ბიუჯეტიდან, ეს კონკრეტული ადამიანები პოტენციურად მთავრობაზე არიან დამოკიდებულნი. იმიტომ, რომ იგი ყოველთვიურად სახელმწიფო სტრუქტურებიდან იღებს შემწეობას ფულადი თუ სხვადასხვა სერვისების სახით. ნებსით თუ უნებლიედ მის მენტალობაში შექმნილია ფსიქოლოგიური მოდელი იმისა, რომ მისი მარჩენალი ეს კონკრეტული მთავრობაა. იგი ვერ აცნობიერებს, რომ შეიძლება მოვიდეს სხვა მთავრობა რომელიც მას დაასაქმებს და უკეთეს პირობებს შეუქმნის. რაც უფრო მეტი უმწეო ეყოლება ხელისუფლებას, მით ბევრი ადამიანი მისცემს არჩევნებში ხმას მმართველ პოლიტიკურ ძალას. ასეთი მიდგომა ჰქონდა სააკაშვილს, როცა პრაქტიკულად, მისი ეკონომიკური, სოფლის მეურნეობის პოლიტიკა საბოლოოდ ერთ „კანისტრა“ საწვავის დარიგებასა და ვაუჩერებზე იქნა დაყვანილი. ასეთი პრიმიტიული მოდელი იქნა შემუშავებული. სამწუხაროდ, ახალი ხელისუფლებაც მიუხედავად იმისა, რომ წინასაარჩევნოდ აბსოლუტურად განსხვავებულ მესიჯებს უგზავნიდა საზოგადოებას და ამომრჩეველს, იგიც სააკაშვილის კურსის გამტარებელია.

თუ ჩვენ ახლაც და ადრეც ხელისუფლების უკმაყოფილო ვიყავით, ეს მაშინაც და ახლაც ჩვენი ბრალია. თუ ჩვენ ვთვლით, რომ სააკაშვილის დროს ეკონომიკაში პროცესები ცუდად მიდიოდა და ახლაც ცუდად მიდის, ამაში დამნაშავე ჩვენ ვართ. თუ ვთვლით რომ სოციალური პოლიტიკა არაეფექტური, არასწორია, ამაშიც ჩვენ ვართ დამნაშავენი. ჩვენ ავირჩიეთ ეს ხელისუფლება, წინაც, ორივეს მივეცით მანდატი. საზოგადოებამ უნდა ვისწავლოთ საკუთარ თავზე საზოგადოებრივი პასუხისმგებლობის აღება და უნდა ვიცოდეთ რომ ყველა შეცდომაზე პასუხისმგებლები ვართ. მომავალ არჩევნებზე თუ კიდევ მსგავსი ტიპის შეცდომას დავუშვებთ, თუ კიდევ ავირჩევთ ისეთ ხელისუფლებას სადაც დომინანტი მხოლოდ ერთი პოლიტიკური ძალა იქნება,ასე ვერაფერს შევცვლით. წინა ხელისუფლების დროს იყო ერთი სააკაშვილი, დღეს არის ერთი ივანიშვილი. ყველა დასავლურ ქვეყანაში მულტიპარტიული დემოკრატია პროგრესის და განვითარების წინაპირობაა, თუ ამაზე უარს ვიტყვით შემდგომ არჩევნების შედეგებზეც ჩვენ ვიქნებით პასუხისმგებელი.

**თამარ შველიძე**
555 23 28 24

# მრავალჭირნახული და მრავალგზის გაუპატიურებული პოლიტიკა ამერიკული სცენარით იმართება?




ქართველთა ერთ ნაწილს კი ჰგონია, რომ საქართველო თავისუფალი და სუვერენული სახელმწიფოა, თუმცა, ფაქტია, რომ ქვეყანა დიდი ხანია ამერიკული სცენარით ცხოვრობს.

როგორც ამბობენ, ყველა სახელმწიფო სტრუქტურას, საკვანძო მნიშვნელობის ყველა სფეროს და დარგს ამერიკელები აკონტროლებენ თავიანთი ოფიციალური წარმომადგენლების საშუალებით.

თუ რუსებს ოკუპირებული აქვთ ტერიტორიები, ამერიკელებს სახელმწიფო სტრუქტურები აქვთ „ოკუპირებული“ და პროცესები, ძირითადად, მათი რეკომენდაციებით და ინსტრუქციებით ვითარდება.

ამერიკელები უზარმაზარ გავლენას ახდენენ არჩევნების მიმდინარეობაზე, არჩევნების შედეგებზეც, პოლიტიკურ ძალთა განლაგებაზე და ა.შ.

**2012 წლის საპარლამენტო არჩევნები, რომელიც, ოფიციალური შეფასებით, თითქოსდა დემოკრატიულად და სამართლიანად ჩატარდა, სინამდვილეში გაყალბდა და სწორედ ამ გაყალბების შედეგად მიიღეს „ნაციონალებმა“ ამომრჩეველთა ხმების 40 პროცენტი.**

რომ არა ციხის ცნობილი კადრები, რომელმაც მთელი საქართველო შეძრა და „ნაციონალურ მოძრაობას“ გამარჯვების არანაირი შანსი არ დაუტოვა, შეიძლებოდა საქმე სხვანაირად შეტრიალებულიყო და აბსოლუტურად სხვა სურათი მიგვეღო.

კულუარულ ინფორმაციებს თუ დავუჯერებთ, ამერიკული სცენარის მიხედვით პირველ ადგილზე „ნაცმოძრაობა“ უნდა გასულიყო, მეორე ადგილი, 30-35 პროცენტით, „ქართულ ოცნებას“ უნდა რგებოდა.

სწორედ ამ შედეგებს აანონსებდნენ თავის გამოკითხვებში ამერიკული კვლევითი ორგანიზაციები — „აირაი“ და „ენდიაი“, რომლებიც, როგორც წესი, აშშ-ს ადმინისტრაციის ფარულ ზრახვებს და მიზნებს ახმოვანებენ ხოლმე და როგორც ზემოთ ვთქვით, ციხეებში ადამიანთა წამებისა და გაუპატიურების შემზარავმა კადრებმა ეს გეგმა თავდაყირა დააყენა.

თუ 1 ოქტომბრის შემდეგ განვითარებულ მოვლენებს გავაანალიზებთ, შეიძლება დავასკვნათ, რომ ამერიკელებს განზრახული აქვთ ქართული პოლიტიკური ცხოვრება ამერიკულ ყაიდაზე მოაწყონ.

მათი სურვილია ქართულ პოლიტიკურ სივრცეში არსებობდეს ორი ძლიერი პოლიტიკური ძალა (როგორც ეს აშშ-შია) და ეს ორი ძალა ენაცვლებოდეს ერთმანეთს, დანარჩენმა „პოლიტიკურმა წვრილფეხობამ“ კი თავის თავს თვითონ მიხედოს.

ამ პროექტის კონტურები დღეს უკვე სახეზეა — პარლამენტში მხოლოდ ორი პოლიტიკური ძალაა წარმოდგენილი კოალიცია „ქართული ოცნებისა“ და „ნაცმოძრაობის“ სახით.

ეს უკანასკნელი თავს ერთადერთ ოპოზიციურ ძალად აცხადებს და იმედი აქვს, რომ დროთა განმავლობაში ის კვლავ დაბრუნდება ხელისუფლებაში.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს მოსახლეობის უდიდესი ნაწილის აზრით, „ნაცმოძრაობა“ დანაშაულებრივი, კრიმინალური რეჟიმი იყო, რომელსაც უამრავი დანაშაული აქვს ჩადენილი და, აქედან გამომდინარე, აუცილებლად უნდა დადგეს მისი პოლიტიკური და სამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი, რის შემდეგაც მას უნდა ჩამოერთვას პოლიტიკური საქმიანობის უფლება, „ნაცმოძრაობა“ ძველებური რიხით და შემართებით აგრძელებს წინასაარჩევნო კამპანიას და საპრეზიდენტო არჩევნებისთვის გამალებული ემზადება.

არავისთვის საიდუმლოს არ წარმოადგენს, რომ „ნაცმოძრაობა“ საყოველთაო-სახალხო რისხვისგან საერთაშორისო თანამეგობრობის, მეტწილად კი ამერიკელების გამოსარჩლებამ იხსნა.

ძველსა და ახალ ხელისუფლებას შორის ურთიერთობის სავალდებულო ნორმად კოაბიტაციის გამოცხადებამ თითქმის იმუნიტეტის სტატუსი შეიძინა „ნაცმოძრაობისთვის“, რომელიც სულ უფრო თამამად ლაპარაკობს სამომავლო გეგმებზე, პარტიის რეორგანიზაციაზე, კათარზისზე, ახალ პოლიტიკურ ღირებულებებზე.

**როგორც ჩანს, ოდიოზური ფიგურებისა და კრიმინალური ელემენტებისგან მეტნაკლებად გაცხრილული და გაფილტრული „ნაცმოძროაბაა“ ის ერთ-ერთი პოლიტიკური ძალა, რომელსაც პოლიტიკურ ასპარეზზე დარჩენის ვიზა გამოუწერეს მისმა უცხოელმა მფარველებმა და მათ შორის, უპირველეს ყოვლისა, ამერიკელებმა.**

კოალიცია „ქართული ოცნება“ და „ნაცმოძრაობა“, აი, ის პოლიტიკური დუეტი, რომელთაგან ხან ერთი იტყვის პირველს, ხან — მეორე, ხოლო დუეტის მიერ წარმოდგენილ კონცერტს ე.წ. საერთაშორისო თანამეგობრობა, უფრო ზუსტად, აშშ-ს ადმინისტრაცია უდირიჟორებს.

თუ „ნაცმოძრაობასთან“ დაკავშირებით ყველაფერი ცხადია, ჯერ კიდევ გაურკვეველია, როგორ შეიძლება განვითარდეს კოალიცია „ქართული ოცნების“ პოლიტიკური ბედი.

არ არის გამორიცხული, ახლო მომავალში ეს კოალიცია დაიშალოს და მის ნანგრევებზე ახალი, რადიკალურად პროდასავლური ორიენტაციის პოლიტიკური ორგანიზაცია აშენდეს.

ეს შეიძლება მოხდეს „თავისუფალი დემოკრატებისა“ და „რესპუბლიკელების“ ბაზაზე, რომელთა შორის იდეოლოგიური განსხვავება, ფაქტობრივად, არ არსებობს.

**ასეა თუ ისეა, ქართული პოლიტიკის უხილავი არქიტექტორი და სცენარისტი ისეთი პოლიტიკური რეალობის შექმნას ცდილობს, სადაც იქნება ორი მძლავრი პოლიტიკური სუბიექტი და ორივე მკვეთრად გამოხატული პროდასავლური ორიენტაციის, დანარჩენი პარტიები კი მარადიული მესამის როლში აღმოჩნდებიან, რომლებიც იძულებულნი გახდებიან იცხოვრონ და იარსებონ პოლიტიკური გაკოტრების მუდმივი საშიშროების ქვეშ.**

მიმდინარე მოვლენებს თუ გავაანალიზებთ, ამ „მესამეხარისხოვანი“ პარტიების შევიწროების და მათი იგნორირების პროცესი უკვე დაწყებულია.

დროთა განმავლობაში ამ პარტიების უმრავლესობა დაიღლება, გამოიფიტება, გაქრება, ან იძულებული გახდება იმ ორი მსხვილი პოლიტიკური სუბიექტიდან რომელიმეს მიეკედლოს.

ასეთია მრავალჭირნახი და მრავალგზის გაუპატიურებული ქართული პოლიტიკის პერსპექტივა.

**მიმომხილველი**

იხილეთ „საერთო გაზეთი“ ინტერნეტში
www.saertogazeti.ge
შემოგვიერთდით FACEBOOK-ზე
საერთო გაზეთი



# ირაკლი ალასანია საპრეზიდენტო არჩევნებში კენჭისყრას აპირებს?

## თუ ეს მოხდა, ეს იქნება ყველაზე მასშტაბური პოლიტიკური შურისძიების აქტი ქართულ პოლიტიკაში

სოციალურ ქსელებში, აგრეთვე საზოგადოებაში მოარულ ხმებს თუ დავუჯერებთ, ირაკლი ალასანია აპირებს ოქტომბრის საპრეზიდენტო არჩევნებში თავისი კანდიდატურა წამოაყენოს.

როგორც იტყვიან, კვამლი უცეცხლოდ არ ჩნდება და, ცხადია, ლამის ნომერ პირველ ნიუსად ქცეულ ამ ინფორმაციასა თუ მითქმა-მოთქმასაც აქვს თავისი საფუძველი და საბაბი.

ყველას კარგად გვახსოვს, პარლამენტის წინასაარჩევნო კამპანიის დროს არაერთგზის გაიჟღერა აზრმა, რომ მომავალ საპრეზიდენტო არჩევნებში კოალიცია „ქართული ოცნების“ კანდიდატი ირაკლი ალასანია იქნებოდა.

ამის შესახებ თვით ბატონ ბიძინა ივანიშვილსაც ბევრჯერ გაუკეთებია არაორაზროვანი მინიშნება და თავისი განსაკუთრებული სიმპათია ირაკლი ალასანიას მიმართ არ დაუმალავს.

„მაგრამ დიდხანს ეს სოფელი გაახარებს ვისმეს განა, თაფლში ურევს მწარე ნაღველს, მტრისას მისი გამოცანა“.

ივანიშვილ-ალასანიას დათაფლულ ურთიერთობაში სამეგრელოს რეგიონში ნაწვნევი მარცხის და ცნობილი აუდიოჩანაწერების გახმოვანება-გახმიანების შემდეგ ნაღველი და სიმწარე გამოერია.

სამეგრელოში „ქართული ოცნების“ დამარცხება ირაკლი ალასანიას დაბრალდა, ხოლო ფარული ჩანაწერის შინაარსი ლამის შეთქმულებად მოინათლა.

ასე იყო თუ ისე, ივანიშვილსა და ალასანიას შორის შავმა კატამ გაირბინა.

მართალია, ერთიც და მეორეც ხმამაღლა აცხადებდა, რომ ერთმანეთის მიმართ არავითარი წყენა არ აქვთ და კვლავ სიამტკბილობით და გაგებით კოაბიტაციობენ, თუმცა ეს რომ სიმართლეს არ შეეფერება, თუნდაც იმით მტკიცდება, რომ „ქართულმა ოცნებამ“ ალასანიას გაპრეზიდენტება გადაიფიქრა და მის ნაცვლად „ევროპელ“ გიორგი მარგველაშვილზე შეაჩერა არჩევანი.



მარგველაშვილზე ნაკლები ევროპელი არც ალასანიაა, მაგრამ „სტავკა“ მაინც მარგველაშვილზე გაკეთდა, რითაც ირაკლი ალასანიას შესაძლო გაპრეზიდენტების შანსმა გაურკვეველ და ბუნდოვან მომავალში ხუთი წლით გადაიწია.

„— რა ვქნა ახლა მე — წავიდე ბრიუსელში? არ წავიდე ბრიუსელში?“ — ეკითხება ალასანია ფარულ ჩანაწერში უხილავ თანამოსაუბრეს.

ბატონი ირაკლის წინაშე ახლაც იგივე თავსატეხი დგას — რა ქნას? შეეგუოს ბედს და ხუთი წელი დაიცადოს, თუ „ვა-ბანკზე“ წავიდეს და ახლავე სცადოს ბედი?

ხუთი წელი კიდევ მოითმენდა კაცი, მაგრამ ალასანიას არავითარი გარანტია არ აქვს, რომ ამ ხუთი წლის განმავლობაში მის პოლიტიკურ კარიერას არავითარი საფრთხე არ დაემუქრება.

არ არის გამორიცხული, მან, მიზეზთა სხვათა და სხვათა გამო, გარკვეული დროის შემდეგ თავდაცვის მინისტრის პოსტიც ვერ შეინარჩუნოს.

არც ის იცის ვინმემ, როგორ შეიცვლება პოლიტიკური კლიმატი ამ ხუთი წლის განმავლობაში და რა დარჩება ალასანიას რეიტინგიდან ხუთი წლის შემდეგ?

ლოგიკას თუ მივყვებით, ირაკლი ალასანიას სხვა გამოსავალი არც აქვს — მან ან უნდა გარისკოს და საპრეზიდენტო არჩევნებში კენჭი იყაროს, ან თავდახრილი დაელოდოს მის ნაცვლად როგორ გადაწყვეტენ მის ბედს სხვები.

ალასანია გამოცდილი პოლიტიკოსია და მან შესანიშნავად იცის, მისმა გადაწყვეტილებამ დამოუკიდებლად იყაროს კენჭი პრეზიდენტობაზე, შეიძლება მთლიანად დაშალოს და დაანგრიოს „ქართული ოცნების“ საარჩევნო შტაბების მუშაობა.

ვერ გეტყვით, რამდენად შურისმაძიებელი კაცია ბატონი ირაკლი, მაგრამ თუ მან ეს გააკეთა, ეს იქნება ქართულ პოლიტიკაში ჯერ არნახული მასშტაბის შურისძიების აქტი, რომელიც, როგორც ვთქვით, მთლიანად ამოაყირავებს ქართულ პოლიტიკას.

როგორც ჩანს, რაღაც შიში მართლაც არსებობს კოალიციაში, რომ ალასანიამ შეიძლება ეს არაორდინალური და მოულოდნელი გადაწყვეტილება მიიღოს.

სწორედ ამით უნდა იყოს განპირობებული კულუარებიდან გამოჟონილი ინფორმაცია, რომ ირაკლი ალასანია ბატონი ბიძინას პოლიტიკიდან წასვლის შემდეგ პრემიერ-მინისტრის პოსტს დაიკავებს.

არავინ იცის, სინამდვილეში მართლაც არსებობს თუ არა მსგავსი შეთავაზება და თუ არსებობს, რამდენად სერიოზული და საიმედოა იგი.

შეთავაზებით ალასანიას პრეზიდენტობასაც კი სთავაზობდნენ, მაგრამ რით დამთავრდა ეს ყველაფერი, ვნახეთ...

რუსები ამბობენ: **„Êòî íå ðèñêóåò, òîò íå ïüåò øàìïàíñêîå“.**

16 სექტემბრამდე აუცილებლად გაირკვევა, სურს თუ არა ბატონ ალასანიას შამპანური მიირთვას, თუ იმ კოაბიტაციურ ფხვნილში გაზავებულ წყალწყალა ღვინოს დასჯერდება, რომლითაც ასე გაიჭყიპა ქართული პოლიტიკური ელიტა.

**გიორგი გამეზარდაშვილი**

# „ნაციონალური“ ჯოჯოხეთის მსხვერპლი

## ბიზნესმენ თემურ ყორშიას თავი არ მოუკლავს — ის მოკლეს! — ამტკიცებს მისი მეუღლე ლალი ჯინჭარაძე

„საერთო გაზეთი“ აგრძელებს სააკაშვილის რეჟიმის მიერ რეპრესირებულ ბიზნესმენთა თემას, რომლებსაც ბიზნესის წართმევა არ აკმარეს და მათი ***უმეტესობა ციხეში გამოკეტეს. უფრო მეტიც, ზოგიერთი ამ დაპირისპირებას ემსხვერპლა.***

***2011 წლის 25 მარტს მოსკოვში, „ბუტირკის“ ციხის საავადმყოფოში განთავისუფლებამდე სამი დღით ადრე, გაურკვეველ ვითარებაში გარდაიცვალა ბიზნესმენი თემურ ყორშია. ოფიცილური დოკუმენტების მიხედვით მან თავი მოიკლა, თუმცა როგორც გარდაცვლილის მეუღლე ლალი ჯინჭარაძე აცხადებს, მისი მეუღლის ცხედარზე არსებული არაერთი დაზიანების კვალი სულ სხვა რამეზე მეტყველებს.***



**ლალი ჯინჭარაძე:** „ჩემი მეუღლე წარმატებული ბიზნესმენი, კარგი მეუღლე და მამა, პატრიოტი, მორწმუნე და ქველმოქმედი ადამიანი იყო. მან 1993 წლიდან დაიწყო საქმიანობა „კოკა-კოლასა“ და „ბორჯომის“ ოფიციალურ წარმომადგენლად სამეგრელოს რეგიონში, სადაც წლების განმავლობაში ფართოდ გაშალა მუშაობა და 2008 წლამდე ხსენებული კომპანიების უცვლელი წარმომადგენელი იყო. ამ პერიოდში იგი აქტიურად იყო ჩართული საზოგადოებრივ ცხოვრებაში და ქველმოქმედებასაც ეწეოდა. ვარდოსნების ხელისუფლებასთან საწყის ეტაპზე პრობლემები არ შექმნია, ზუგდიდის კეთილმოწყობაში თავადაც მონაწილეობდა ფინანსურად. მას პრობლემები 2005 წლიდან დაეწყო, როცა რეჟიმის მადაგალვიძებულმა ჩინოვნიკებმა ბიზნესწილების ხელში ჩასაგდებად არნახული ზეწოლა დაიწყეს ბიზნესმენებზე. სამეგრელო-ზემო სვანეთის გუბერნატორი ზაზა გოროზია და ზუგდიდის გამგებელი ალექსანდრე ქობალია ათასგვარ ხელოვნურ დაბრკოლებას უქმნიდნენ ბიზნესცენტრ „კოკა-კოლას“, რომლითაც ფრიდონ თოდუა იყო დაინტერესებული. ამ ცენტრს ჩემი მეუღლე საკუთარი სახსრებით აშენებდა.

**— ზეწოლაში რას გულისხმობთ?**

— ფრიდონ თოდუას მეუღლე თინათინ შენგელაია და მისი დები ასმათ და მანანა შენგელაიები თავიდან 80.000 დოლარად ყიდდნენ ზუგდიდში მდებარე მათ კუთვნილ ეზოიან საცხოვრებელ სახლს, რაც იმ დროისთვის არარეალური ფასი იყო. მოლაპარაკების შედეგად გადაწყდა, რომ ამ ადგილას ჩემს მეუღლეს ავტოსადგომი მოეწყო, თუმცა შემდეგ აზრი შეიცვალეს და სავაჭრო ობიექტის აშენება გადაწყვიტეს. თავიდან სიტყვიერი შეთანხმებით ხდებოდა ყველაფერი, შემდეგ კი იურიდიულად გაფორმდა ამხანაგობა. მშენებლობის პროცესში თოდუა-შენგელაიები თემურის სისტემატურად უყენებდნენ პრეტენზიებს, მათი მოთხოვნით პროექტი შეიცვალა, რამაც დამატებითი სახსრები და დრო მოითხოვა, ცვლიდნენ იურიდიულ დოკუმენტებსაც (ნოტარიულ აქტებს), სადაც მათ სასარგებლოდ, ბიზნესმენისთვის კაბალური პირობები იყო წაყენებული. ამ ყველაფერს თან ახლდა მუქარა, რომ ჩემს მეუღლეს „ჭკუაზე მოიყვანდნენ“. ობიექტის დროულად დამთავრება შეფერხდა, რადგან რეგიონისა და ზუგდიდის ხელისუფალთა მოთხოვნით, მშენებლობა გაურკვეველი მიზეზით გააჩერეს. ამის გამო დებმა შენგელაიებმა თემური დააჯარიმეს, დაუმთავრებელი, გაუხსნელი ობიექტიდან ისინი ერთი თვის განმავლობაში ყოველთვიურად 3.000 დოლარს იღებდნენ, მერე მადა გაეზარდათ და ექვსი თვის განმავლობაში ყოველთვიურად 9.000 დოლარს იღებდნენ. მიუხედავად ამისა, სააკაშვილის ჯიბის სასამართლომ თემურ ყორშიას კუთვნილი 25%-დან, ფრიდონ თოდუას სასარგებლოდ 10% ჯარიმის სახით ჩამოაჭრა, ვითომდა საპირისგამტეხლო. ეს რა თქმა უნდა, ჩემი მეუღლის უკმაყოფილებას და პროტესტს იწვევდა, რასაც მოყვა ფრიდონ თოდუას მუქარა, რომ მას ახლო ურთიერთობა ჰქონდა პრეზიდენტ სააკაშვილთან და ერთი ზარით შეეძლო სერიოზული პრობლემების შექმნა თემურ ყორშიასთვის.

2008 წლის საპარლამენტო არჩევნების წინ, რომელშიც თოდუა ზუგდიდის მაჟორიტარად იყრიდა კენჭს, ჩემს მეუღლეს სთხოვეს, რომ თოდუას საწინააღმდეგო განცხადებები არ გაეკეთებინა, ხელი არ შეეშალა მისი პიარკამპანიისთვის და შესთავაზეს, თუ თოდუას საარჩევნო კამპანიაში მონაწილეობას მიიღებ, ყველა არსებულ უთანხმოებას მოვაგვარებთო. თემური იძულებული იყო ამ შემოთავაზებას დათანხმებულიყო, თუმცა პირიქით მოხდა, ფრიდონ თოდუას გადეპუტატებამ უფრო მეტი ძალაუფლება შესძინა და გადაწყვიტეს თემურ ყორშიასთვის წაერთმიათ უკვე დამთავრებული ობიექტი. ამ მიზნით დებმა შენგელაიებმა საგადასახადო სამსახურში შეიტანეს განცხადება (რომელიც 2008 წლის 1 აგვისტოთია დათარიღებული), რომ თითქოსდა ბიზნესმენი თემურ ყორშია გადასახადებს უმალავდა სახელმწიფოს. ბიზნესმენის მიმართ სადამსჯელო ოპერაციის შესრულებას ხელი შეუშალა აგვისტოს ომმა, რომლის დროსაც სამეგრელოს და ზუგდიდის მთავრობებმა უკან მოუხედავად მოკურცხლეს. ამ დროს ჩემს მეუღლეს ერთი წუთით არ დაუტოვებია ზუგდიდი, ცდილობდა ხალხს დახმარებოდა. მან კოდორის ხეობის ჩაბარების შემდეგ ხელისუფლების მიერ ტყეში უპატრონოდ მიტოვებულ ჩვენს ჯარისკაცებს ერთი სატვირთო მანქანა პური და საკვები პროდუქტები გაუგზავნა. მერე ამ უანგაროდ გაწეული დახმარების მის საწინააღმდეგოდ გამოყენება უნდოდათ, იმ მძღოლს, რომელმაც საკვები პროდუქტები მესტიის პოლიციის ეზოში ჩაიტანა, შესთავაზეს „ტოიოტა-პრადოს“ ჯიპს და 10.000 დოლარს გაჩუქებთ, ოღონდ თქვი, რომ ხსენებული ტვირთი თემურ ყორშიამ რუსის ჯართან გაგატანაო, თუმცა უარი მიიღეს.

**— რა რეაგირება მოყვა შენგელაიების „პატრიოტულ“ საჩივარს და როგორ აღმოჩნდა თქვენი მეუღლე „ბუტირკის“ ციხეში?**

— ამ განცხადების საფუძველზე 2008 წლის აგვისტოს ბოლოს საგადასახადო სამსახური შევიდა ბიზნესმენ ყორშიას ყველა



ობიექტში და დალუქა, რასაც მოყვა ხელისუფლების მხრიდან სიტყვიერი მუქარებიც. ამიტომ ჩემი მეუღლე იძულებულუ გახდა საქართველოდან წასულიყო. ამის პარალელურად საგადასახადო სამსახური, უფრო ზუსტად კი სადამსჯელო დესანტი, ვითომ მოკვლევას აწარმოებდა და იმავე წლის ნოემბერში დაიდო დასკვნა, რომლის საფუძველზეც თემურ ყორშია 300.000 ლარით დააჯარიმეს. ამ ყველაფერს თემურის მყისიერი რეაქცია მოყვა, მან განცხადებით მიმართა სხვადასხვა უწყებებს, თუმცა უშედეგოდ. სიმართლის დადგენის მაგიერ სააკაშვილის პროკურატურა-პოლიციამ გადასახადების დამალვის ბრალდებით სს-ის საქმე აღძრა ჩემი მეუღლის მიმართ და ძებნილად გამოაცხადა, მიუხედავად იმისა, რომ იგი არ ემალებოდა გამოძიებას, იგი უკრაინიდან ჩამოსულიც იყო. ოჯახი და ადვოკატი აქტიურად ვიყავით ჩართული სასამართლო პროცესებში, დაინტერესებული ვიყავით, რომ სიმართლე გარკვეულიყო.

როდესაც ჩემი მეუღლის მიმართ ხელისუფლების მხრიდან ზეწოლაზე ვსაუბრობთ, აუცილებლად უნდა ვახსენოთ სამეგრელო-ზემო სვანეთის მაშინდელი პროკურორი როლანდ ახალაიაც, რომელსაც პირადი ინტერესი გაუჩნდა თემურ ყორშიას ბიზნესის მიმართ. ახალაიას დისშვილი ბესო ცხადაია „კოკა-კოლასა“ და „ბორჯომის“ წარმომადგენლობაში, ანუ ჩემს მეუღლესთან, ბუღალტრად მუშაობდა და კარგად იცოდა კომპანიის საქმიანობის და შემოსავლების შესახებ, ისიც კარგად მოეხსენებოდა, რომ ყველაფერი კანონიერად ხდებოდა და არ არსებობდა ე.წ. შავი ბუღალტერია. როლანდ ახალაიამ „მეგობრობისა“ და „ახლობლობის“ მოტივით, მრავალი სურვილი შეასრულებინა მათ შორის ფინანსურიც, ფრიდონ თოდუასა და მისი ოჯახისაგან ისედაც შევიწროებულ თემურ ყორშიას.

ახალაიამ 2008 წლის საპარლამენტო არჩევნების წინ დაიბარა თემური, ზუგდიდის პოლიციის ყოფილი შენობა თავისი ეზოთი აუქციონზე უნდა გაიყიდოს (საკმაოდ დიდი ტერიტორიაა, თანაც პრესტიჟულ ადგილზე), შეძენა მინდა, მაგრამ მე ვერ გამოვჩნდები, თან შესაბამისი თანხაც არ მაქვს, შენ შეიძინე და ფულს არჩევნების მერე გადაგიხდიო. ახალაია იმ დროს სამეგრელოს „უგვირგვინო მეფე“ იყო და უარს ვინ შებედავდა? ამხელა თანხა არც თემურის ჰქონდა, მაგრამ ახალაიამ „დააკვალიანა“, ბანკიდან კრედიტი გამოიტანეო, გარანტად კი მთელი ბიზნესქონება (საწყობები, ოფისები, მაღაზიები) და საცხოვრებელი ბინა თბილისში ჩაადებინა თიბისი ბანკში. საჭირო თანხა მაინც ვერ შეგროვდა, ამიტომ დათა ახალაიას მძღოლის თბილისის ბინაც ჩადეს, თუმცა ეს ბინა მალევე გამოახსნევინა როლანდ ახალაიამ ჩემს მეუღლეს. აუქციონზე უპირატესობა ჩემი მეუღლის კომპანიას ერგო, რადგან წარმატებული კომპანია იყო, ბიუჯეტში მილიონობით თანხები შეჰქონდა. როგორც შემდეგ გაირკვა ამ აუქციონზე ის კომპანია „პსპ“-ს ინტერესებს შეეჯახა, რომლის უკანაც ვანო მერაბიშვილი იდგა. ასე რომ, ჩემმა მეუღლემ კიდევ ერთი გავლენიანი მტერი შეიძინა, არადა სულაც არ იყო თემურის ინტერესებში ხსენებული ტერიტორიის შეძენა.

**— ახალაიამ გადაგიხადათ ვალი?**

— მან მერე საერთოდ უარი თქვა ამ ობიექტზე, რომელიც ასევე იპოთეკით იყო დატვირთული თიბისი ბანკში და თემურის განუცხადა, რომ ამ ობიექტს მას უტოვებდა, სანაცვლოდ კი სუპერმარკეტი „ბორჯომი“ და კაფე-რესტორანი მისი დისშვილის სახელზე უნდა გადაეფორმებინა. გარდა ამისა, ახალაიამ თემურის თბილისში, წერეთლის გამზირზეც აყიდინა 60.000 დოლარად საცხოვრებელი ბინა, რომელიც ასევე ბესო ცხადაიას სახელზე გააფორმებინა. ჩემი მეუღლის ბიზნესის „გაწეწვა“ ამ ფაქტებით არ ამოწურულა, 2008 წლის საპრეზიდენტო და საპარლამენტო არჩევნების წინ ნაცმოძრაობის პიარკამპანიისთვის უამრავი დავალების შესრულება უწევდა, რასაც ასეულ ათასობით ლარი სჭირდებოდა. საპრეზიდენტო არჩევნების წინ მას საპრეზიდენტო პროგრამით უკრაინიდან ათი ყვითელი ავტობუსის ჩამოყვანა დაავალეს. მას ამისთვის საჭირო თანხები არ გააჩნდა, მაშინ თიბისი ბანკის მეშვეობით ლიზინგის წესით ჩამოიყვანეო და ჩამოაყვანინეს კიდეც. სხვათა შორის ამ ავტობუსებით გამოიყვანეს ჯარისკაცები და რეზერვისტები კოდორის ხეობიდან. თემური შეეცადა ავტობუსები მარშრუტებზე ემუშავებინა, სამი ავტობუსი განმუხურისა და ანაკლიის რეისებზე გაუშვეს დანარჩენი შვიდი ავტობუსი კი ნახევარი წლის განმავლობაში უმოქმედოდ იდგა, ზაზა გოროზიამ და ალექსანდრე ქობალიამ მუშაობის ნება არ დართეს, წილი მოსთხოვეს. ჩემმა მეუღლემ უარი უთხრა, რადგან ბანკის ვალით იყო შემოყვანილი და მოგებაზე საუბარი ზედმეტი იყო. არჩევნების პერიოდში ნაციონალები აქტიურად იყენებდნენ ამ ავტობუსებს ხალხის გადასაყვანად და საწვავის ხარჯებსაც ჩემს მეუღლეს ახდევინებდნენ. თემური გაჭირვებით ახერხებდა ბანკში ავტობუსების ლიზინგის გადახდას, თუმცა მისი უკრაინაში წასვლის შემდეგ ჩვენს ოჯახს ათივე ავტობუსის ბანკისთვის დაბრუნება მოსთხოვეს, რომელთა ღირებულების ნახევარი უკვე გადახდილი გვქონდა. ავტობუსების წართმევის მიზეზად, მათი აუქციონზე გაყვანა მოიტანეს. თვენახევრის შემდეგ ათივე ავტობუსი მიზერულ თან-

16 gv.

# „ნაციონალური“ ჯოჯოხეთის მსხვერპლი

15 gv.

ხად წაიყვანეს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სახელით ქობალიამ და გოროზიამ. ეკონომიკასა და ბიზნესში ჩაუხედავი ადამიანიც კი მიხვდება, რომ ასეთი ზეწოლის პირობებში ვერანაირი ბიზნესი ვერ გაუძლებდა სააკაშვილის ჩინოვნიკების მადას. დაუსჯელობის სინდრომით შეპყრობილებს ადამიანის სიცოცხლეც არაფრად უღირდათ.

ლალი ჯინჭარაძის განცხადებით, მისი მეუღლე თავიდან უკრაინაში წავიდა, თუმცა მოგვიანებით მოსკოვში გადავიდა საცხოვრებლად, მაგრამ სააკაშვილის რეჟიმის საცეცები იქაც მისწვდა. თემურ ყორშიამ ორჯერ სთხოვა პოლიტიკური თავშესაფარი რუსეთის მთავრობას. პირველად მას დროებითი თავშესაფარი მისცეს. დროებით დოკუმენტს ვადა ეწურებოდა და მან მიგრაციულ სამსახურს მიაკითხა, რომ გაეგო მიიღებდა თუ არა მუდმივ თავშესაფარს, მითუმეტეს, რომ ნათესავების მეშვეობით აცნობეს, თქვენი საბუთები გამზადებულია, თანხმობა მიიღეთო. მოულოდნელად იგი დააკავეს (2011 წლის 27 იანვარს) იმ ბრალდების საფუძველზე, რომლითაც საქართველოს ხელისუფლების მიერ ძებნილად იყო გამოცხადებული).

**ლალი ჯინჭარაძე:** „ჩემი მეუღლე წითელი ცირკულარით არ იძებნებოდა, ამიტომ გაურკვეველია რატომ დააკავეს. რაღაც ტელეფონოგრამის საფუძველზე დაუკავებიათ, რაც დიდ ეჭვს იწვევს. მისი ორ თვეზე მეტი ხნით ციხეში გაჩერებ-ლისში მოგვიტანეს ხელით ნაწერი დეპეშა, არადა ეს მისამართი მოსკოვში არავინ იცოდა. სამი დღე მორგში ესვენა ჩემი მეუღლის ცხედარი, ადვოკატმა ჩვენგან გაიგო მისი გარდაცვალება. ჩამომხრჩვალ ადამიანს როგორ შეიძლება ყელზე არ ჰქონდეს კვალი? ცხედარს ყელზე საერთოდ არ აღენიშნებოდა დაზიანებები, სამაგიეროდ სხვა დაზიანებები ჰქონდა, ხელები დაჩეჩქვილი, დალურჯებული, ყბაც ჩალურჯებული ჰქონდა, ყური გახეთქილი, სხვა დაზიანებები აღენიშნებოდა. ერთი სიტყვით, ნაწამები იყო. ნაცნობმა სამედიცინო ექსპერტმა საიდუმლოდ გაგვანდო, ეს გვამური ლაქები არ არის, გარდაცვალებმდე ორი დღით ადრე აქვს მიყენებული. ისეთი შეშინებული ვიყავი ჩემი შვილისთვისაც რაიმე არ დაეშავებინათ, რომ მაშინ ხმა ვერ ამოვიღე. გარდაცვალების მიზეზად რუსმა და ქართველმა ექსპერტებმა მოხუთვა დაასახელეს, თუმცა მე ეს არ მჯერა.

ახლა იმედია სამართალი გაიმარჯვებს, გამოძიება, რომელსაც მთავარი პროკურატურა აწარმოებს მრავალ ფაქტს მოჰფენს ნათელს. დიდი მოწიწებით მივმართავ პრემიერმინისტრ ბიძინა ივანიშვილს, რომელიც ჩემისთანა განადგურებული ოჯახებისთვის იმედად გამოჩნდა, არ დაუშვას, რომ კოჰაბიტაციით შენიღბული დამნაშავეთა კასტის ზოგი წარმომადგენელი პარლამენტში იჯდეს, სხვები კი არხეინად აგრძელებდნენ ცხოვრებას და დემოკრატიის პრინციპების მოშველიებით, ცინიკურად გვმოძღვრავდნენ. მათ პასუხი უნდა აგონ იმ უამრავი დანაშაულისთვის, რაც ჩაიდინეს.



ბის უფლება არ ჰქონდათ. რუსეთის მთავრობამ მის ექსტრადირებაზე ოფიციალურად უთხრა უარი საქართველოს. სანამ „ბუტირკის“ ციხეში საერთო საკანში იყო, ხშირად ვუკავშირდებოდი, მერე გვითხრეს გულზე პრობლემები აქვსო და ციხის საავადმყოფოში გადაიყვანეს. მოსკოველი ადვოკატი მას ნახულობდა და სერიოზული პრობლემა არ ჰქონია. 28 მარტს სასამართლო სხდომა იყო დანიშნული და უნდა გაეთავისუფლებინათ, რადგან პატიმრობის ვადა ეწურებოდა. აღმოჩნდა, რომ თურმე მას თავი ჩამოუხრჩვია, პატიმრებმა პერანგით ჩამოკიდებული ნახესო. როგორც გითხარით, ჩემი მეუღლე მორწმუნე ადამიანი იყო, ის თავს არ მოიკლავდა. აქ ბევრი სხვა საეჭვო დეტალიცაა. რატომღაც საავადმყოფოს ადმინისტრაციამ გარდაცვალების შეტყობინება არც მის ადვოკატს გაუგზავნა, შეტყობინებები არ მისულა არც მის მოსკოვის დროებითი საცხოვრებლის მისამართზე და არც ზუგდიდში, სადაც რეგისტრირებული იყო ჩემი მეუღლე. თბი-

გამოქვეყნდეს რას ფლობდნენ ხელისუფლებაში მოსვლამდე და ახლა რა ქონება აქვთ მათ და მათ ახლო ნათესავებს, ასე მოკლე დროში რა გზით შეიძინეს, იგივე ბესო ცხადაია როგორ გახდა სუპერმარკეტის, კაფე-რესტორნის და ძვირადღირებული ბინის მფლობელი, რომელსაც ლუკმაპური ენატრებოდა და ჩემმა მეუღლემ სამადლოდ მიიღო სამსახურში. სამართალი უნდა აღდგეს, ეს იყო ქართველი ხალხის მესიჯი ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებზე. ხალხს წართმეული ქონება უნდა დაუბრუნონ, მაგრამ ვინ დაუბრუნებს ჩემს მეუღლეს წართმეულ სიცოცხლეს. შეუძლებელია იმ ჯოჯოხეთურად გატარებული წლების კომპენსაცია, რაც ჩვენმა ოჯახმა გაიარა. ჩემი მეუღლის მამა შვილის დარდს გადაყვა, მისი მომაკვდავი დედის ბოლო იმედია, რომ სამართალი იზეიმებს და მისი შვილის მკვლელები სათანადოდ დაისჯებიან“.

**მანანა სუხიშვილი**
599 51 28 24

# გია შერვაშიძე: აფხაზებთან დიალოგის დაწყება შესაძლებელია!..

**გვესაუბრება საქართველოს შინაგანი ჯარების ყოფილი სარდალი გენერალი გია შერვაშიძე**

**— ბატონო გია, როგორც ყველამ კარგად ვიცით, თქვენ მჭიდრო ურთიერთობა გაქვთ აფხაზეთთან, საქართველოში შეიცვალა ხელისუფლება. ახალი გეგმები ხომ არ გაქვთ?**

— პირველ რიგში, ვაპირებ აფხაზებთან დიალოგის დაწყებას, სახალხო დიპლომატიის გაღვიძებას, რომელიც მიძინებული კი არა, აგერ ცხრა-ათი წელი საერთოდ არ არსებობდა. პრაქტიკულად, აფხაზეთის საკითხის გადაჭრას ვცდილობთ აფხაზების ჩაურევლად, ეს შეურაცხმყოფელია იქითა



მხარისთვის და უთქვამს კიდეც ჩემთვის — რატომ არ მოდიხართ ჩვენთან დიალოგზე, არ გველაპარაკებითო. ამიტომ ჩემს თანამოაზრეებს პოლიტიკური საკითხების გადაწყვეტის პრეტენზია არ გვაქვს, რაც შეეხება ხალხის დაახლოებას, ეს შეგვიძლია. გვაქვს შესაძლებლობები მათთან სასაუბროდ, თანაც მაღალ დონეზე. რამდენიმე მხარეა დაინტერესებული აფხაზეთის საკითხით, პირველ რიგში, საქართველოს ხელისუფლება. არის მეორე მხარეც — რუსეთი, თვითონ აფხაზები, რომლებსაც იოლად ვერ დაათმობინებ პოზიციას, თუ რაიმე შემხვედრი ნაბიჯები არ გადავდგით. თურქეთი ცოტა მოშორებით კი არის აფხაზეთის საზღვრიდან. მაგრამ იმ კუთხის ინტერესი ყოველთვის ჰქონდა და აქვს. ამის გათვალისწინებით, ყველა მხარე რომ დაჯდეს და მოილაპარაკოს, ამისთვის ნიადაგი უნდა მოუმზადო პოლიტიკოსებს, გაუადვილო საქმე ამ თემასთან დაკავშირებით.



დღეს ძალიან რთულია, ესაუბრო რუსეთს იგივე აფხაზეთის საკითხზე, როცა იცი, რომ თვითონაც კარგად იციან, ქართულ-აფხაზური ომი დიდი შეცდომა იყო. ამიტომ აუცილებლად გვჭირდება აფხაზებთან ურთიერთობა, კონტაქტის დამყარება, ხალხთან თანაცხოვრება. მრავალჯერ მითქვამს, რომ ის რამდენიმე ათასი ქართველი, რომლებიც აფხაზეთში ცხოვრობენ, ჯერ კიდევ არ გამოგვიყენებია ქართულ-აფხაზური ურთიერთობის დასარეგულირებლად. პირიქით, აქამდე ყველაფერს ვაკეთებდით იმისთვის, რომ ენგურს გაღმა ქართველებსა და აფხაზებს ნორმალური ურთიერთობა არ ჰქონოდათ. თუ შევძელით ხალხის დაახლოება, მერწმუნეთ, პოლიტიკოსებს გაუადვილდებათ პოლიტიკური საკითხების გადაწყვეტა.

**— თქვენ სახალხო დიპლომატიაზე საუბრობთ და არ შეიძლება არ გავიხსენოთ, რომ რამდენიმე წლის წინ აფხაზეთიდან ჩამოდიოდნენ ავტობუსებით თუნდაც ლილოს ბაზრობაზე. ახლაც ჩამოდიან ნათესავებთან. ხომ არ ჯობს გაღრმავდეს ასეთი მიმოსვლები?**

— რა თქმა უნდა! რაც თვითონ სჭირდებათ, იყენებენ, თუნდაც სამკურნალოდ რომ მოდიან აქ, მიუხედავად იმისა, რომ ახლა რუსეთის მხრიდან გამკაცრებულია გადაადგილება, მაინც ახერხებენ ჩამოსვლას. ამას ვიწრო დატვირთვა არ უნდა მიეცეს. რომ ჩამოდიან, ხედავენ, რომ ქართველებს სხვანაირი დამოკიდებულება აქვთ აფხაზების მიმართ. მათ ჰგონიათ, რომ ენგურს გამოღმა ქართველებმა თუ ხელში ჩაიგდეს აფხაზი, საშინელება ელოდება. ამ მიმოსვლებით ბევრი დარწმუნდა, რომ რადიკალურად განსხვავებული ვითარებაა. ვიმეორებ, ამას გაღრმავება სჭირდება.

აფხაზეთში ბოლოს 2008 წელს ვიყავი. ყველამ იცოდა, რომ კონკრეტულ საკითხებზე ვმუშაობდით. გვინდოდა ცნობილი ჰერალდიკოსის ლეო შერვაშიძის გამოფენა ჩაგვეტანა. როდესაც საქმე პრაქტიკულ განხორციელებამდე მივიდა, ჩემზე თავდასხმა მოხდა. ამის შემდეგ შეიცვალა სიტუაცია, გართულდა. საუბედუროდ წინა ხელისუფლებამ ყველაფერი გააკეთა ქართულ-აფხაზური ურთიერთობების გასახლეჩად.

**—როგორ ფიქრობთ, მომავალი საპრეზიდენტო არჩევნები მშვიდად ჩაივლის? ამას იმიტომ გეკითხებით, რომ კიდევ რამდენიმე საიდუმლო იარაღის საცავია აღმოჩენილი.**

— ჩემი ღრმა რწმენით, მსგავსი საცავები კიდევ აღმოჩნდება. ეს იმუშავებდა იმ შემთხვევაში, შარშან ნაცმოძრაობას რომ გაემარჯვა. ახლა უკვე ვეღარ იმუშავებს, რადგან ყოფილმა მათმა მხარდამჭერებმა კარგად დაინახეს, თუ ვინ არიან ესენი. შესაძლოა, მზადდება გარკვეული პროვოკაციებიც, მაგრამ ვფიქრობ, რომ შესაბამისი სტრუქტურები აღმოფხვრიან მსგავს მცდელობებს. მცდელობები იქნება. პრეზიდენტმა როდესაც განაცხადა, ვიცოდი, ამ საცავების არსებობაო, გამოძიებას ვეღარ ჩაატარებ. ეს კაცი ქვეყნის მტერია! ყველამ დაინახა, რაც უნდოდა, რისი გამკეთებელიც იყო. ვფიქრობ, ჩატარდება მეტნაკლებად ნორმალური არჩევნები, სადაც „ქართული ოცნების“ კანდიდატი გიორგი მარგველაშვილი გაიმარჯვებს.

**— რა გეგმები გაქვთ?**

— წინასაარჩევნო პროცესში მთელი ჩემი რესურსებით დავეხმარები გიორგი მარგველაშვილს. ძალიან მინდა, ამ კაცმა გაიმარჯვოს, მართლა საპრეზიდენტო კანდიდატია.

**გია ბურდული**
551 71 27 07

# მოსთხოვენ თუ არა ნაცმოძრაობის დეპუტატ კახაბერ ოქრიაშვილს პასუხს ჩადენილი დანაშაულისთვის?

უკვე მეათე წელია, რაც მიმდინარეობს დაპირისპირება შპს „პსპ“ და შპს „მარგვეთს“ შორის, რაც ბიზნესში წილების გადანაწილებას ეხება. კახაბერ ოქრიაშვილმა ბოროტად ისარგებლა სამი მოწვევის დეპუტატობით და უკანონოდ მიითვისა სხვისი ქონება.

კახაბერ ოქრიაშვილის წარსული საკმაოდ არასახარბიელო შთაბეჭდილებას ტოვებს. როგორც ამბობენ, იგი იყო კიტოვანის გვარდიაში ბენზინის ბიზნესის თანამონაწილე და დმანისის სვანური დაჯგუფების აქტიური წევრი, რომელიც შიშის ზარს სცემდა, როგორც ბენზინმზიდების გადამტანებს, ასევე მოსახლეობასაც. საკითხავია, ასეთი შავბნელი წარსულის კაცი, შემდგომ როგორ გახდა პარლამენტის არარეთგზის წევრი.

როგორც სჩანს, რომ მისი პარლამენტარობა, მისსავე ბიზნესთანაა დაკავშირებული... საგულისხმოა ის გარემოებაც, რომ იგი პოლიტიკაში ზურაბ ჟვანიას ჯგუფს მოჰყვა. შემდეგ გიგი წერეთელის შუამდგომლობით დაუკავშირდა, მაშინდელ პარლამენტის თავმჯდომარეს ნინო ბურჯანაძესა და მისი მეუღლის, ბადრი ბიწაძის ახლო მეგობარიც გახდა. ამიტომაც, გასაკვირი არ არის, ვინ მფარველობდა კახა ოქრიაშვილის თავაშვებულობას... მფარველობას არც ზურაბ ადეიშვილი აკლებდა..

1996 წელს ქუთაისში შეიქმნა შპს „მარგვეთი“, რომლის საქმიანობას, ძირითადად, მედიკამენტების რეალიზაცია წარმოადგენდა. მუშაობის პერიოდში მისმა მფლობელმა მერაბ მარგველაშვილმა გაიცნო და საქმიანი ურთიერთობა დაამყარა შპს „პსპ“ მფლობელთან კახაბერ ოქრიაშვილთან. ეს თანამშრომლობა გამოიხატებოდა შემდგომში: მ. მარგველაშვილის კუთვნილ აფთიაქში შპს „პსპ ფარმას“ მიერ მიწოდებული მედიკამენტების რეალიზაცია ხდებოდა.

იმ პერიოდში მ. მარგველაშვილს კონფლიქტი ჰქონდა თავის ძმასთან ედიშერ მარგველაშვილთან, ამ ფაქტით ისარგებლა კახაბერ ოქრიაშვილმა და წინასწარი თაღლითური განზრახვით, მარგველაშვილს შესთავაზა აფთიაქის თავის სახელზე გადაფორმება, რომ ძმებს შორის არსებული დავა შეწყვეტილიყო და მის ბიზნესაც ჩრდილი არ მიდგომოდა, რის შემდეგაც იგი ამ ფართს მესაკუთრეს დაუბრუნებდა.

ოქრიაშვილის ნამდვილი მიზანი იყო, ის, რომ 2004 წლისთვის შპს „მარგვეთს“ სააფთიაქო ქსელი ჰქონდა, რომელიც მოიცავდა თითქმის მთელ დასავალეთ საქართველოს, აჭარა-გურიის ჩათვლით და ნაწილობრივ, სამეგრელოს ტერიტორიას. მის საკუთრებაში, აგრეთვე, იყო 980.000 დოლარის კონსიგნაცია, აგრეთვე პასივი, რომლის გააქტიურება უნდა მოეხდინა პერმანენტულად, გარკვეული დროის განმავლობაში. აღნიშნული პასივი მოგების თანხასაც მოიცავდა. თანხაც შემდგომში „პსპ“ ჯგუფის მიერ იქნა მითვისებული. ამ სააფთიაქო ქსელის მითვისებით ოქრიაშვილი ფარმაცევტული ბიზნესის მონოპოლისტი ხდებოდა, ვინაიდან „პსპ“ ფირმა დასავლეთ საქართველოში არ იყო ფეხმოკიდებული და კონკურენციას „ავერსს“ ვერ უწევდა.

მართალია, „პსპ“-ს ბათუმსა და ზუგდიდში ჰქონდა სადისტრიბუციო ფირმები, მაგრამ ვერ შეძლო წარმომადგენლობის დაფუძნება და მყარი ბიზნეს საქმიანობის წარმართვა.

ოქრიაშვილის ამ „მეგობრულმა“ რჩევამ, მალე მუქარის სახე მიიღო, თუ მარგველაშვილი სასწრაფოდ ქონებას არ დათმობდა სერიოზული პრობლემები შეექმნებოდა. მით უმეტეს, ცრუ საჩივრის საფუძველზე 2004 წლის მაისისთვის ს/ს საქმე უკვე აღძრული იყო მ. მარგველაშვილის მეუღლის, ახვლედიანის მიმართ და 31 მაისს ქუთაისის სასამართლოში ჩანიშნული იყო სასამართლო პროცესი, მას 2 წლით თავისუფლების აღკვეთა გარანტირებული ჰქონდა (ეს მუქრა რეალური იყო, ვინაიდან მარგველაშვილის მეუღლეს, დასავლეთ საქართველოს საოლქო პროკურორმა



მიხეილ ჩოგოვაძემ პირდაპირ განუცხადა, რომ ზემოდან მითითება ჰქონდა მიღებული ბიზნესის ჩამოსართმევად და ურჩია ოქრიაშვილთან მოეგვარებინა საკითხი). მართლაც, ქუთაისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლე გოჩა კვირიკაშვილმა მას გირაო შეუფარდა და საგამოცდო ვადით შეუცვალა.

2004 წლის 20 მაისს ქეთევან ძლიერიშვილის სანოტარო ბიუროში (თბილისი, მიცკევიჩის №6) გაფორმებული ხელშეკრულებით, მ. მარგველაშვილმა 380.000 ლარად თავისი ფართი ფიქტიურად ოქრიაშვილს მიჰყიდა (ეს თანხა კახა ოქრიაშვილის ძმამ, ვაჟამ 21 მაისს ანგარიშის №5300 გადარიცხა და იმავე დღეს უკანვე ანგარიშის №3191 გაიტანა). ამ ხელშეკრულების დადებამდე, 2004 წლის 8 იანვარს, მ. მარგველაშვილი 3 დღით დაკავებული იყო შსს ქუთაისის იზოლატორში, სადაც მას საგამოძიებო დეპარტამენტის უფროსმა ლელაძემ განთავისუფლების სანაცვლოდ 15.000 დოლარი მოსთხოვა, რაზეც დაკავებულმა უარი განაცხადა. ამას გარდა, პირადობის მოწმობა არ დაუბრუნეს. ამიტომ ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმება მძღოლის მოწმობით მოხდა. თანაც, ხელშეკრულების მესამე გვერდზე აღნიშნულია: „ამ ხელშეკრულების იმ ეგზემპლარს, რომელიც რჩება სანოტარო არქივში თან ერთვის დანართი 11 დოკუმენტი.“ თუმცა მ. ახვლედიანის 2005 წლის 16 დეკემბრის მიმართვისას, მან დოკუმენტების ასლების გადაცემაზე უკანონოდ უარი განაცხადა და სახალხო დამცველ ს. სუბარის მიმართვის შემდეგ, რომ ძლიერიშვილმა არასრულად და არასწორად მიუთითა კანონი „ნოტარიატის შესახებ“ (2007 წ. 12.12), 2008 წლის 7 თებერვალს, მოახერხა დოკუმენტების მიღება, რასაც კანონით დადგენილი რამდენიმე დღისა, 2 წელზე მეტი დასჭირდა.

ხუთი დღის შემდეგ, კი ამავე ბიუროში გაფორმდა მეორე ხელშეკრულება., 24 მაისს დადებული ხელშეკრულებით მარგველაშვილმა აღიარა, რომ მას ოქრიაშვილისთვის ვალის სახით გადასაცემი ჰქონდა 193.000 დოლარი. მესამე სანოტარო აქტით, ოქრიაშვილმა ივალდებულა ამ ვალის დაფარვის შემდეგ, ათ წლიან ვადაში მარგველაშვილს გადაუფორმებდა მისივე აფთიაქის ფართს, რომელიც მდებარეობდა ქუთაისში, გრიშაშვილის ქ. №2-ში. პასუხისმგებლობის თავიდან ასაცილებლად, ოქრიაშვილმა შენობა თავის ძმას ვაჟას თვეში 6000 ლარად მიაქირავა, ხოლო 2006 წლის სექტემბერში შენობა მასვე მიჰყიდა.

სარგებლობდა რა, ოქრიაშვილი დეპუტატობითა და სამართალდამცავ ორგანოთა მხარდაჭერით, უკანონოდ ავიწროვებდა მარგველაშვილის ბიზნესს. 2004 წლისთვის სპს „მარგვეთის“ ფარმაცევტული საწარმო ამზადებდა და რეალიზებას უწევდა 20-მდე დასახელების პრეპარატს. დეპუტატმა აიძულა პარტნიორი, რომ 2004 წლის 27 თებერვალს საწარმო დაეხურა, რომლის მიერ წარმოებული პრეპარატების დამზადება თავადვე დმანისში დაიწყო. ვფიქრობთ, კეთილსინდისიერებასა და კაცურ საქციელზე ლაპარაკი ზედმეტია.

2006 წლის 6 თებერვლის ხელშეკრულებასთან ერთად გაფორმდა მიღება-ჩაბარების აქტი, რომლითაც საჩივრების შეწყვეტის სანაცვლოდ, ოქრიაშვილი 120. 000 დოლარს იხდიდა, რაც მარგველაშვილს დღემდე არ მიუღია. საკითხავია, რატომ იხდიდა ოქრიაშვილი ამ თანხას, როდესაც მან არ მოითხოვა 2004 წლის 20 მაისის ხელშეკრულების ბათილად ცნობა, რითაც 380.000 დოლარად „შეძენილი“ ჰქონდა მარგველაშვილის საკუთრება. მით უმეტეს, რომ როგორც დეპუტატს ეკრძალებოდა ბიზნეს-საქმიანობა, მაგრამ ეს ქონება მაინც უჩვენა თავის ქონებრივ დეკლარაციაში. სადაო ქონების თავიდან „მოსაცილებლად“ დეპუტატმა ნოტარიუს ძლიერიშვილის მიერ გაფორმებული სანოტარო აქტით იგი „პსპ ქუთაისს“ უკანონოდ გადასცა, სადაც აღნიშნულია: „გამყიდველის განცხადებით, ნასყიდობის საგანი არ არის სადავო. მესამე პირს არ შეიძლება რაიმე პრეტენზია ჰქონდეს ნასყიდობის საგნის მიმართ...“

ამას ისიც დაემატა, რომ 2006 წლის 5 სექტემბერს, ძლიერიშვილმა გააფორმა სანოტარო აქტი, რომლითაც ოქრიაშვილმა 380. 000 ლარის სანაცვლოდ, აღნიშნული აფთიაქის ფართი საკუთრებაში გადასცა სპს „პსპ-ქუთაისს“, რაც კიდევ ერთი მკაფიო გამოვლინებაა ოქრიაშვილის კანონსაწინააღმდეგო ქმედებისა. დეპუტატმა ესეც არ იკმარა და შპს „მარგვეთის“ მოწილეებს: ნანი მაღლაფერიძეს, გულნარა მარჯანიშვილს, ცისანა ლანჩავას, რუსულან ენდელაძესა და ლილი ფხაკაძეს ცრუ, თაღლითური დაპირებებით დაათმობინა თავიანთი წილები საწესდებო კაპიტალიდან. ამით, დეპუტატმა უკანონოდ მიითვისა მათი წილები. ამ წილების გადაფორმების მოლაპარაკებებს აწარმოებდა ოქრიაშვილის რწმუნებული, რამაზ მოსეშვილი, რისი დამადასტურებელი დოკუმენტი ისევ ძლიერიშვილის გაფორმებულია.

ალსანიშნავია, რომ მარგველაშვილსა და მოსეშვილს შორის დადებული მორიგების აქტით, თითქოსდა მარგველაშვილს არანაირი პრეტენზია არ გაუჩნდება 2004 წლის 20 მაისის ნასყიდობის ხელშეკრულების მიმართ,“ კიდევ ერთხელ ცხადყოფს რაოდენ დიდი მუქარა, შანტაჟი და დაშინება ხორციელდებოდა მარგველაშვილისა და მისი ოჯახის მიმართ. მაგალითად, ამ პერიოდში შედგა დოკუმენტი შპს „პსპ ფარმა“-ს მიერ შპს „მარგვეთი“-სთვის ფასდათმობის შესახებ, რაც აისახა განსაკუთრებით დიდი ოდენობით თანხების მითვისებაში. ამ დოკუმენტს, მარგველაშვილის ნაცვლად, ხელს აწერს ბუღალტერი იუზა ვაშაყმაძე, რომელსაც ფირმის ბეჭედი ჰქონდა და მფლობელთან შეუთანხმებლად მოქმედებდა.

მერაბ მარგველაშვილის ხელმოწერის გაყალბება ამგვარი მეთოდით სხვა დოკუმენტებზეც ხდება. საპირისპირო მხრიდან კი ამ დოკუმენტებს ხელს აწერენ: კახა ოქრიაშვილის ძმა – ვაჟა ოქრიაშვილი, გოგილაშვილი, ბაკურაძე და ა.შ.

მეორე ძალადობის ფაქტი დაკავშირებულია, აღნიშნულ 980.000 დოლართან, რომლიც მარგველაშვილისგან მოძალადე დეპუტატმა დაჭერის მუქარით მიითვისა. მაგრამ მას ხელი არ მოუწერია, ვინაიდან ნათელი გახდა ოქრიაშვილის თაღლითური განზრახვა. ამიტომაც, საქმიანი ქაღალდების ხელში ჩასაგდებად, იმერეთის საოლქო პროკურორმა მიხეილ ჩოგოვაძემ, 2006 წლის 21 აპრილს მოაწყო მარგველაშვილის სახლის უკანონო ჩხრეკა. ალსანიშნავია, ქუთაისის საფინანსო პოლიციის უფროსის მოადგილე ხონელიას აქტიურობა, რომელიც პოლიციელებთან ერთად მაშინ შევარდა ოჯახში, როდესაც მაგრველაშვილი მეუღლით სახლში არ იმყოფებოდა და ფსიქოლოგიურ სტრესში ჩააგდო მოხუცი, ავადმყოფი მარგველაშვილის მამა და მცირეწლოვანი შვილი. მარგველაშვილმა და მისმა მეუღლემ, როდესაც მეზობლებისგან გაიგეს ამ დარბევის შესახებ, უმალვე შეატყობინეს ტელევიზიას და ოპერატორმა შესძლო ამ ძალადობის გადაღება, თუმცა ხონელიძემ ჟურნალისტს ფიზიკური შეურცხყოფა მიაყენა. თანაც, ოჯახიდან პოლიციელებმა მოიპარეს ფული, ვერცხლის სამკაულები, ფრანგული სუნამო და სხვა ნივთები.

ასეთი ჩხრეკები და დაწიოკებები მარგველაშვილის ოჯახისთვის ლამის წესად იქცა. ჩხრეკის შედეგად „ამოღებული“ დოკუმენტაცია შეისწავლა საგადასახადო ინსპექციამ და 2006 წლის 7 ივნისის დასკვნით ეს დოკუმენტაცია არ შეიცავდა საბუღალტრო საბუთებს, თუმცა დოკუმენტები უკან აღარ დაბრუნებულა.



ზეწოლის მიზნით, მარგველაშვილი 2003 წლის 30 დეკემბერს დააკავეს ძმის მიმართ ხულიგნობასა და ცეცხლასაროლი იარაღის უკანონო ტარებისთვის (გამომძიებელი გოგა ზამბახიძე), მაგრამ საქმე 2004 წლის 25 აპრილს შეწყდა, ვინაიდან გამოძიებამ ვერ მოიპოვა უტყუარი, ობიექტური მტკიცებულებები. მოგვიანებით, ქუთაისის პოლიციამ დააკავა ნარკოტიკების მოხმარების მიზეზით, რაც დაკანონებული ხერხი იყო არასასურველი პირის მოსაშორებლად. ქუთაისის სასამართლოს თავმჯდომარე შალვა ხაჭაპურიძის მიმართ, პროკურორ მამუკა დევიძის მიერ წარდგენილ დადგენილებაში ცალსახად იკითხება, რომ პირადი ჩხრეკისას „საქმისთვის მნიშვნელობის მქონე რაიმე ნივთიერება, ან საგანი ამოღებული ვერ იქნა“. მიუხედავად ამისა, მოსამართლე გოჩა კვირიკაშვილმა მაინც მიიღო დადგენილება ადმინისტრაციული სახდელის დადების შესახებ (საქმე №4/346. 2004.1.04), თუმცა მასში არ ჩანდა, როგორ აღმოჩნდა მარგველაშვილი 2004 წლის 31 მარტს ნარკოტიკული საშუალებების ზეგავლენის ქვეშ. ტენდენციურმა მოსამართლემ ასევე „დაადგინა“: „დადგენილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება“, თუმცა პირველი ინსატანციის სასამართლოს გადაწყვეტილება არ შეიძლება საბოლოო ყოფილიყო. იგი გასაჩივრდა და ბათილად იქნა ცნობილი.

ამ პერიოდში შპს „პსპ“-მ თბილისიდან შპს „მარგვეთში“ მიავლინა მიხეილ ბაკურაძე, თენგიზ ჯუღელი და ვინმე ვასიკო, რომლებიც მარგველაშვილისგან დამალულად საბუთებს ეძებდნენ და სამომავლო პროექტებს გეგმავდნენ. ამის შედეგად მარგველაშვილმა ერთ დღეს აღმოაჩინა, რომ თავისი შენობა ე.წ. „დაცვის სამსახურს“ ჰქონდა დაკავებული. ფირმა „კასკადი“, კგბ-ს ყოფილი მაღალჩინოსნის, დასავლეთ საქართველოს უშიშროების უფროსს ჯუღელს ეკუთვნოდა.

ასეთი რეპრესიების მიუხედავად, დაზარალებულები ბრძოლას განაგრძობდნენ. მ. ახვლედიანმა არაერთხელ ვრცელი წერილი გაუგზავნა საქართველოს პრეზიდენტ სააკაშვილს, რომელიც, კომუნისტური მეთოდით, განსახილველად უკანვე დაუბრუნდა დასავლეთ საქართველოს საოლქო პროკურატურას, რომლის უფროსის ჩოგოვაძის პასუხშიც (2007 წ. 1. 05) მოვლენების გაყალბებულად წარმოდგენა და პრეზიდენტის შეცდომაში შეყვანა იკვეთება. სამაგიეროდ, პროკურორი მალხაზ აბულაძე, რომელიც ედიშერ მარგველაშვილის ერთ-ერთ საჩივრის საფუძველზე გამოძიებას აწარმოებდა და არგველაშვილს სამსახურში „დაადგა“ და საქმის დახურვისთვის 500 დოლარი ქრთამი მოსთხოვა, რაც მარგველაშვილმა რამდენიმე მუქარის ზარის შემდეგ, მდგომარეობის განსამუხტავად გადაუხადა.

10 წლის განმავლოვაში მარგველაშვილის განცხადებებზე პასუხს არ სცემდნენ, ან საერთოდ იკარგებოდა პოლიცია-პროკურატურისა, თუ თბილისი-ქუთაისის გზის ლაბირინთებში. არსებობს სასამართლოს 140-მდე გადაწყვეტილება და განჩინება, რომლებიც კანონიერ ძალაში არ შესულა. მომჩივანმა მხოლოდ არჩევნების შემდეგ მიიღო დადებითი პასუხი ქუთაისის საქალაქო სამმართველოს პოლიციის მეხუთე განყოფილებიდან: „თქვენი 2013 წლის 11 ივნისის განცხადების პასუხად გაცნობებთ, რომ ქუთაისის საქალაქო სამმართველოს პოლიციის V განყოფილებაში 2013 წლის 10 ივნისს დაიწყო გამოძიება ს/ს საქმეზე, მერაბ მარგველაშვილის კუთვნილი ქონების თაღლითურად დაუფლების ფაქტზე.“

ამდენად, დღემდე დაუმთავრებელი ეს საქმე საკმაო მასალებს შეიცავს სააკაშვილის ხელისუფლების კორუფციულ ქმედებებზე, რომელშიც აქტიურად იყვნენ ჩაბმულნი იმერეთისა და თბილისის სამართალდამცავი ორგანოები, ისინი აშკარა ტენდენციურობით, გამოძიების არაობიექტურად და მიკერძოებულად წარმართვით გამოირჩეოდნენ, რითაც დიდ ზიანს აყენებდნენ კერძო ბიზნესს, სახელმწიფო ინტერესებსა და მოსახლეობას უქმნიდნენ ყალბ წარმოდგენებს ქვეყნის დემოკრატიისა და სამართლებრივ განვითარებაზე.

**გუგაზ მეგრელიძე**
551 11 06 21

## მკითხველის ფოსტა

**„ქრისტემ ბავშვობა აქ გაატარა,**
**და ღვთისმშობელი უგვიდა ეზოს“.**
***ნ. სამადაშვილი***

# „ათენის სიონი“



შიდა ქართლის იმ უძველეს სოფელში, სადაც ვახუშტის აღწერით 87 სალოცავი საყდარია, დედა ეკლესია — ათენის სიონის ჩათვლით, იყო ხანმოკლე პერიოდი, როდესაც გორს თავკაცობდა საზოგადო მოღვაწე, ისტორიკოსი და პატრიოტი, ე.წ. პრეფექტი — აწ გარდაცვლილი ომარ ჩუბინიძე, რომელსაც მთელი შეგნებით ესმოდა, როგორც ათენის ხეობის ბებერი ქვების სატკივარი, ისევე ის, რომ არსებობა მხოლოდ ამქვეყნიური ცხოვრებით არ შემოიფარგლება და ათენის სიონი, გარდა თანამედროვეობისა, უფრო დიდი და მარადიული სიცოცხლით სუნთქავს“. ამიტომ იყო, რომ სასწრაფოდ ჩააჩუმა მღვდელი გიორგი ჩუბინიძე და საშუალება არ მისცა მის აზრს განვითარებისა, — ათენის სიონის ეზოში რაიმე მშენებლობის დაწყების შესახებ! შემდეგ კი, ისევ განაახლა მამა გიორგიმ მშენებლობის იდეა, რის წინააღმდეგაც წავედით: მე, როგორც სოფლის ერთ-ერთი ძირძველი ოჯახის შვილი, პროფესორი გურამ აბრამიშვილი, გორის მაშინდელი გამგებელი ბატონი ზურაბ წკრიალაშვილი, კულტურის მინისტრი ბატონი დავით მაღრაძე, საპატრიარქოს მაშინდელი პრესმდივანი, კეთილშობილი მღვდელი ადამ ბეწუნაიძე, გორის ეპარქიის ეპისკოპოსი, მეუფე ვახტანგ ახვლედიანი (აქედან ყველაზე უპატრონო მე გახლდით და მამა გიორგის ახლობელი რამდენიმე ქალბატონი საშუალებას არ მაძლევდა, გორში, ქქუჩაში გამევლო: არ მაკლდა წყევლა, ტალახის სროლა სახეში, ტაძრიდან ხელის კრითაც გამომაგდეს, დიდი ბრძოპლის შემდეგ, მისი უწმიდესობის გადაწყვეტილებით, სიონის მღვდელმა ოქროპირიძემ დატოვა ტაძარი და მისგან იავარქმნილი ეზო, რომელიც შემდეგ სოფლის მოსახლეობამ აღადგინა და გაალამაზა. ორი-სამი წლის შემდეგ გორისა და სამთავისის ეპისკოპოსად დაინიშნა მეუფე ანდრია გვაზავა და ტაძრის გარშემო არა სატვირთო მანქანა და ტრაქტორი, როგორც ადრე იყო, არამედ ელექტროკომპრესორი ამუშავდა და დაიწყო ტაძართან 1,5-2 მეტრით დაშორებული კლდის რღვევა, იმ ტაძრის გვერდით, რომლის ირგვლივ 500 მ რადიუსით სატვირთო მანქანის გავლა სავალალო ვიბრაციულ დაზიანებებს იწვევს (!).

**კლდის ნგრევა, ლეწვა და ჯოჯოხეთი ქალბატონ სალომე ზურაბიშვილის უშუალო ჩარევის შემდეგ შეწყდა...**

საინტერესოა ერთი რამ: ათენის სიონიდან დაახლოებით 150 მ-ის დაშორებით არის ფრიად შეძლებული ათენის დედათა მონასტერი, გამორჩეული ღარიბ სოფელში თავისი მდიდრული ვიზუალური შეხედულებით, გარშემორტყმული ქვის მძლავრი გალავანით (!!!) დედები დაბრძანდებიან ძვირადღირებული მანქანებით. როგორც სოფელში ამბობენ, ყოველთვიურად მონასტერში დაახლოებით 800-900 ლარის მარტო ელექტროენერგიას ხარჯავენ! (თუნდაც იმ უზარმაზარი ცისტერნის წყლით ავსებისას დაიხარჯება 400 ლ, ხან წყალიც რომ გადმოდის და ამ დროს სოფელს სასმელი წყალი არა აქვს), ასევე მონასტრის ეზოში, ორბელიანების აშენებული ღვთისმშობლის X ს. ეკლესია დაიკეტა მოსახლეობისთვის, შემდეგ ათენის სიონის მიმდებარე ყველა სასოფლო-სამეურნეო ნაკვეთი — ზოგი მოსახლისგან ნებით, ზოგისგან კი იძულებით შეიძინა მონასტერმა და ცენტრალური გზიდან შემოსასვლელი სიონის ეზოში ბოქლომით ჩაკეტა! როცა დედებს ექნებათ ან აქვთ სურვილი, მაშინ გააღებენ ხოლმე. არადა, როგორც სარწმუნო წყარო ირწმუნება, ათენის სიონის ეზოში დაყრილი ლოდები სიონის გარშემო ქვის გალავანის ასაშენებლად არის მიტანილი. ამით დაიკეტება სამანქანო ცენტრალური გზიდან შესასვლელი (რაც დასაბამიდან დღემდე არსებობს) და მსურველი ფუხაანთ უბნიდან ნახევრად საცალფეხო ბილიკით შევა სიონის ეზოში, რომელსაც, დარწმუნებული ვარ, ან გაუღებენ, ან — არა!

ყველაზე ძალიან ათენის ხეობას შაჰ-თამაზის დროს უჭირდა, იმიტომაა ათენის ციხე მოპირდაპირე მხარეს და საბრძოლო კოშკი იქვე ახლოს, რათა, როგორც უძვირფასესი განძი — ათენის სიონი, ხელშეუხებელი ყოფილიყო. ასე რომ არ ყოფილიყო და შორიდან არ წარმართულიყო სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლები, ასე ეზოში რომ ქვები ესროლათ და „კომპრესორის“ მაგვარი მანქანები ემუშავებინათ, აქამდე იქნებოდა დავით აღმაშენებლის, მეფე დემეტრე თავდადებულის, ბუღა-თურქის უბედურობების ამსახველი უნიკალური წარწერები მის კედლებზე? ან რამდენი ხანი უნდა იყოს სიონი ხარაჩოებში? 10-15 წლის მანძილზე რით ვერ გადაირიცხა სარესტავრაციოდ საჭირო თანხა?

გვითხრას ვინმემ, რა გზით ვუშველოთ ამ მოუნელებელ სატკივარს. მე ისევ მივალ ქალბატონ სალომე ზურაბიშვილთან თხოვნით, კიდევ სად წავიდეთ, სოფელი თითქმის პანიკაშია ჩავარდნილი! ჩვენი სოფლის „ოცნებისტი“ გამგებელი თავის თავს „უმფროსი“ ვარო კი იძახის, მაგრამ „პოვარი ნუგოი“ დიახაც რომ დღევანდელი არსებობისთვისაა მოწოდებული და ათენის ხეობისა და ათენის სიონის სიძნელეები გაითავისოს, სულ არ ზის მის ხასიათში!!! უფალს ვთხოვ, არ შემიყვანოს არც მე და არც ჩემი მშობლიური სოფელი „განსაცდელსა“, ცდუნებულ და სატანის მიერ ძლეულთან ბრძოლაში!!! რომელთაც ვერ გაუგიათ ბასილ დიდის შეგონება: „რაც არ ყოფილა და არც იქნება, ისე ნუ იფიქრებ, თითქოს ხელთ გქონდეს. ეს სენი ხომ ჭკუის სიმსუბუქის გამო გვჭირს“, — ქადაგებს ღმერთშემოსილი მოძღვარი. ამის გამოა, რომ გაწუხებთ, ღრმად პატივცემულო ბატონო, გთხოვთ, გაგვარკვიოთ, რად უნდა ათენის სიონს ქვის დიდი გალავანი გარშემო? საერთოდ, ვისი საკუთრებაა ათენის სიონი? რით აიხსნება ათენის სიონის შესასვლელ კარზე ბოქლომი? იქ ხომ დროის ნებისმიერ მონაკვეთში ბრძანდება ის ქრისტიანულ-მართლმადიდებლური მადლი, რომელიც მე-7 საუკუნიდან მოედინება?! რატომ არქმევენ ათენის სიონს სამონასტროს და რა უფლებით აპირებენ მის დაკეტვას?

ქრისტესმიერი სიყვარულითა და გულწრფელი პატივისცემით,

**ნატო ხუციშვილი**
**გორი, ათენი**

## თავსატეხი



**შვეულად:** ადენი, ამიგო, გინეა, დუნაი, ეკიპი, ელვის, იბიცა, ოპალი, პრასა, ტორფი, ქლორი, შკოდა, ძაბრი, წვეთი, ხერხი, ჯულია, ჰეკლა.

**თარაზულად:** აბაზი, აკოფა, ანწლი, ბიძია, გრაფა, დიეტა, ვახტი, იარდი, ილიკო, კუთხე, ლეპრა, მამბა, ნაიკი, რანგი, სარფი, ფრონე, ყულფი, შვიდი, ჩიქვი, ცეისი.

## სამიდან ერთი



**შვეულად:** 1.ჩეხეთი, მაწონი, კომეტა. 2. ბეტონი.კურაგა, პასაჟი. 3. პილოტი, მენორა, სულიკო. 4. დელტა, გრაფი, შტერი. 5. ბარგი, ნესტო, ხახვი. 6. ლიბრი, პუდრი, წკირი. 11. ფერხული, ფუტზალი, ფანქარი. 12. კადრილი, სანტოსი, ნორმანი. 13. სამანტა, ალადინი, პატრონი. 14. კომუნა, დოლარი, შიფერი. 15. მასაჟი, ტუნელი, პომადა. 16. დელონი, ფორუმი, ნადიმი.

**თარაზულად:** 3. სარატოვი, პაგანელი, ჩიჩილაკი. 7. სეტერი, ჟეტონი, პოპული. 8. ლუარსაბი, პორტრეტი, ჰალსტუხი. 9. ბოჰემა, კიტონი, მელანო. 10. პრემიერა, ტრიფონია, სანოვაგე. 14. შამანი, ლოლიტა, ჰავანა. 17. ბერმუხა, ბომბორა, ბატარეა. 18. პერონი, ფასადი, ტაპირი. 19. პრინციპი, ტორპედო, პლაკატი. 20. კაზუსი, რეჟიმი, პობედა. 21. პროცესი, კრახუნა, ჩხიკინი.

## შიფრვორდი



| | |
|---|---|
| a-5 | s-2 |
| b- | t- |
| g- | u-24 |
| d- | f- |
| e-10 | q- |
| v- | R- |
| z- | y- |
| T- | S- |
| i-1 | C- |
| k- | c- |
| l - | Z- |
| m- | w- |
| n- | W- |
| o-21 | x- |
| p- | j -15 |
| J- | h- |
| r -18 | |

## საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს, ბატონ დავით უსუფაშვილს

## საქართველოს იუსტიციის მინისტრს, ქალბატონ თეა წულუკიანს

## საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა მინისტრს, ბატონ სოზარ სუბარს

## საქართველოს პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარეს, ქალბატონ ეკა ბესელიას

2005 წლის 26 თებერვალს მიხეილ სააკაშვილმა საქართველოს პარლამენტის ტრიბუნიდან „ნულოვანი ტოლერანტობა" გამოაცხადა და ძალოვან სტრუქტურებს მოსახლეობის მასობრივი რეპრესიებისკენ მოუწოდა.

იმ დღიდან მოყოლებული სააკაშვილის ავტორიტარული რეჟიმის პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლი ათასობით საქართველოს მოქალაქე გახდა. უკანონო პატიმრების რიცხვმა უპრეცედენტო რაოდენობას მიაღწია.

2012 წლის 1 ოქტომბერს დემოკრატიული არჩევნების გზით წერტილი დაესვა სააკაშვილის მიერ დამკვიდრებულ განუკითხაობას. ხელისუფლებაში არჩევნების გზით მოსულ კოალიცია „ქართული ოცნებას" საქართველოს მოსახლეობამ მხარი დაუჭირა და ამით გამოხატა დიდი სურვილი წინასაარჩევნოდ დაანონსებული სამართლიანობის აღდგენისა.

ჩვენ ქვემოთ ხელის მომწერმა უკანონო პატიმრებმა გვინდა შევახსენოთ საქართველოს პარლამენტს, რომ საქართველოს სასჯელაღსრულების დაწესებულებებში დღემდე ასობით უკანონო პატიმარი იხდის არაადექვატურ სასჯელს და ამ ცხრა თვის მანძილზე არ გამოიძებნა მექანიზმი, გადაისინჯოს ძალაში შესული განაჩენები იმ უკანონო პატიმრების მიმართ, რომლებმაც რეჟიმის პირობებში, წამებისა და არაადამიანური მოპყრობის მიუხედავად, ხშირ შემთხვევაში, საკუთარი სიცოცხლისა და ჯანმრთელობის ფასად არ აღიარეს ჩაუდენელი დანაშაულები.

საქართველოს პარლამენტის დეპუტატებს გვინდა შევახსენოთ, რომ მარტო ორასამდე პოლიტპატიმრის გათავისუფლება არ ნიშნავს დაპირებული სამართლიანობის აღდგენას. ჩვენც ისეთივე პოლიტიკური რეპრესიების მსხვერპლნი ვართ და დღემდე ვიხდით უკანონო და არაადექვატურ სასჯელებს არასათანადო მოპყრობის პირობებში.

მიუხედავად 2012 წლის 28 დეკემბრის კანონისა „ამნისტიის შესახებ", უკანონო პატიმრების დიდი ნაწილი დღემდე ვრჩებით სასჯელაღსრულების დაწესებულებებში.

აქვე გვინდა განვმარტოთ, რომ ამნისტია, რა სახის და ფორმისაც არ უნდა იყოს, მისასალმებელია, მაგრამ ის არ აღადგენს სააკაშვილის ავტორიტარული რეჟიმისგან შელახულ ღირსებას.

აქვე დავსძენთ, რომ სააკაშვილის რეჟიმის მსგავსად დღევანდელი ხელისუფლების პირობებში პირობით ვადამდე გათავისუფლების საკითხს კვლავ არაობიექტურად იხილავენ და ადგილი აქვს ვადამდე ადრე გათავისუფლების პროცესის ხელოვნურად გაჭიანურებას, რაც იწვევს პატიმრების და მათი ოჯახის წევრებისგან უსამართლობის განცდას.

ვიტოვებთ უფლებას დღემდე ჩვენს უკანონო პატიმრობაზე პასუხიმგებლობა წინა რეჟიმთან ერთად დავაკისროთ დღევანდელ ხელისუფლებას უყურადღებობისთვის და შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებების ხელოვნურად გაჭიანურებისთვის, რადგან ვთვლით, რომ სამართლიანობა, მხოლოდ პოლიტიკური განცხადებებით და დაპირებებით არ აღსდგება.

იმედს ვიტოვებთ, სააკაშვილის რეჟიმის, შერჩევითი სამართლის, რეპრესიების და ტყუილების ეპოქა ამჯერად ახალი ხელისუფლების ამაო დაპირებების და აუხდენელი ოცნებების ეპოქით არ შეიცვლება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, უკანონო პატიმრები, რომელთა უმრავლესობა აღიარებულია არასამთავრობო უფლებადამცველი ორგანიზაციების მიერ საქართველოს პარლამენტის დეპუტატებისგან და თვით წინამდებარე წერილის ადრესატებისგან, მოვითხოვთ:

დაჩქარებული წესით მოხდეს პარალამენტის მიერ საკანონმდებლო ცვლილებების განხორციელება, რათა დაკმაყოფილდეს ათასობით უკანონო პატიმრის სამართლიანი მოთხოვნა, გადაისინჯოს სააკაშვილის რეჟიმის დროს ძალაში შესული გამამტყუნებელი რეპრესიული განაჩენები, რათა აღსდგეს სამართლიანობა.

შემუშავდეს მექანიზმი, რათა კანონით დადგენილი წესით მოხდეს ვადაზე ადრე გათავისუფლების მექანიზმების ეფექტურად ამუშავება.

განცხადების ასლი შესაბამის მიმართვაზე თანდართული გადაეგზავნებათ: გაეროს ადამიანის უფლებათა უმაღლეს კომისარს **ნავანეთემ ფილაის,** ევროსაბჭოს ადამიანის უფლებათა უმაღლეს კომისარს **ნილს მიუზნიკს** და ადამიანის უფლებათა საერთაშორისო ორგანიზაცია „ჰუმან რაითს ვოტჩის" აღმასრულებელ დირექტორს **ქენეთ როტის**.

**ხელს ვაწერთ გეგუთის №14 სასჯელაღსრულების დაწესებულებაში განთავსებული უკანონო პატიმრები (სულ 53 ხელმოწერა)**



# `saerTo gazeTis` iuridiuli konsultacia



*„საერთო გაზეთის" მკითხველთა შეკითხვებს პასუხობს გაზეთის იურიდიული კონსულტანტი, ადვოკატი*

***მთვარისა კევლიშვილი.***

ტელ.: 2 79 63 91;
0 790 60 64 69;
5 93 78 64 69

* * *

**- ჩემი შვილი განქორწინებულია მეუღლესთან. ყოფილი რძალი ჩვენ, ბებიას და პაპას, არ გვანახებს შვილიშვილს. შეგვიძლია თუ არა, მოვითხოვოთ სასამართლოს წესით შვილიშვილის ნახვა?**

- შეგიძლიათ.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1203-ე მუხლის მიხედვით, პაპას და ბებიას უფლება აქვთ, ურთიერთობა იქონიონ თავიანთ არასრულწლოვან შვილიშვილთან მაშინაც, როცა ისინი უშუალოდ არ მონაწილეობდნენ შვილიშვილების აღზრდაში. თუ მშობლები ან მეურვე / მზრუნველი / უარს ეუბნებიან პაპასა და ბებიას შვილიშვილებთან ურთიერთობაზე, სასამართლოს შეუძლია, დაავალდებულოს მშობლები ან მეურვე /მზრუნველი/ საშუალება მისცენ პაპას ან ბებიას, ურთიერთობა იქონიონ შვილიშვილებთან სასამართლოს მიერ დადგენილი წესით, თუ სასამართლო დაადგენა, რომ ეს ხელს არ შეუშლის ბავშვების ნორმალურ აღზრდას და ცუდ გავლენას არ მოახდენს მათზე.

* * *

**-ჩემი შვილი და რძალი განქორწინდნენ. ამჟამად მათ შორის დავა მიმდინარეობს იმის შესახებ, თუ ვისთან უნდა იცხოვრონ მათმა არასრულწლოვანმა შვილებმა. რა შეიძლება მოხდეს სამართლებრივად?**

- საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1201-ე მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით,თუ განქორწინების გამო ან სხვა მიზეზით მშობლები ცალ-ცალკე ცხოვრობენ, მათ შეთანხმებაზეა დამოკიდებული, თუ ვის ექნება უფლება გადაწყვიტოს, ვისთან უნდა ცხოვრობდეს არასრულწლოვანი შვილი.

ამავე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით,შეუთანხმებლობის შემთხვევაში დავას იმის თაობაზე, თუ ვისთან უნდა ცხოვრობდეს არასრულწლოვანი შვილი, წყვეტს სასამართლო ბავშვის ინტერესის გათვალისწინებით. ამ შემთხვევაში მშობლის უფლება, იყოს ბავშვის წარმომადგენელი სასამართლო დავასთან მიმართბით, შეჩერებულია. მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანო ნიშნავს ბავშვის წარმომადგენელს, რომელიც საქმის სასამართლო განხილვის დროს ბავშვის ინტერესებს წარმოადგენს.

* * *

**-ვარ ფეხმძიმედ. ჩემს მეუღლეს სურს განქორწინება. მე წინააღმდეგი ვარ. შეიძლება თუ არა, მიუხედავად ჩემი წინააღმდეგობისა, მოხდეს განქორწინება?**

-არა.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1123- ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, ცოლის ორსულობის დროს და ბავშვის დაბადებიდან ერთი წლის განმავლობაში ქმარს უფლება არა აქვს, ცოლის თანხმობის გარეშე აღძრას სარჩელი განქორწინებაზე.

რჩევა: თუ თქვენი მეუღლე ასეთი სახის სარჩელს მაინც შეიტანს სასამრთლოში და ეს უკანასკნელი მიიღებს მას წარმოებაში, თქვენ შესაბამის შესაგებელს აუცილებლად დაურთეთ თქვენი ფეხმძიმობის დამადასტურებელი დოკუმენტი და, ამასთან, შესაგებელში მიუთითეთ, რომ ხართ ამ განქორწინების წინააღმდეგი.

* * *

**- ვარ 1-ლი ჯგუფის ინვალიდი. მეუღლეს სურს ჩემთან განქორწინება. ვრჩები ულუკმაპუროდ. მშობლებიც გარდაცვლილი მყავს. ჩემი ერთადერთი მარჩენალი იყო მეუღლე. რის გაკეთება შემიძლია სამართლებრივად?**

- თქვენ გაქვთ მეუღლისაგან სარჩოს მოთხოვნის უფლება.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1129-ე მუხლის მიხედვით, იმ მეუღლის თხოვნით, რომელსაც უფლება აქვს, მიიღოს სარჩო მეორე მეუღლისაგან, სასამართლო ვალდებულია, განქორწინების საქმის გადაწყვეტასთან ერთად განსაზღვროს იმ სახსრების ოდენობა, რაც უნდა გადახდეს მეორე მეუღლეს.



რჩევა: აუცილებლად დააყენეთ ეს საკითხი შესაბამის შესაგებელში.

* * *

**-ვის მიერ უნდა მოხდეს განქორწინების მოწმობის გაცემისას ბაჟის გადახდა?**

- საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1131- მუხლის მიხედვით, განქორწინების შესახებ გადაწყვეტილების გამოტანისას სასამართლო განსაზღვრავს, თუ რომელმა მეუღლემ უნდა გადაიხადოს კანონით განსაზღვრული ბაჟი, ასევე, თუ საჭიროდ მიიჩნევს, რომ ბაჟი უნდა გადახდეს ორივე მეუღლეს, იგი განსაზღვრავს თითოეული მეუღლის მიერ გადასახდელ თანხას.

# მსუნავმა მიშვა, შხამით და ერთხელ ფუყი დაადო აქციზი სიგარეტს, ახლა აქციზს აქციზი დაადეს — რა მოხდა, ეკატერინე მედიჩის შხამის?



საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურმა მიმდინარე წლის 1 სექტემბრიდან თამბაქოს აქციზის ზრდასთან დაკავშირებით განცხადება გაავრცელა.

მწეველებმაც და არამწეველებმაც იციან, მაგრამ საინტერესოა, იცის თუ არა საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ, რომ თამბაქოს კვამლი 4000-მდე ნივთიერებას შეიცავს და მათი აბსოლუტური უმრავლესობა ჯანმრთელობისთვის მავნეა, მაგრამ თამბაქოს კვამლში შემავალი ნიკოტინური ალკალოიდები (დანარჩენი ნივთიერებები ერთიანდება ტერმინში „კუპრი“), გარდა ტოქსიკური ზეგავლენისა, თამბაქოზე ძლიერ მიჯაჭვულობას (დამოკიდებულებას) იწვევს?

რომ დადგენილია — ადამიანს შეუძლია ალკოჰოლის მიტოვება, აზარტული თამაშებისაც, ნარკოტიკული პრეპარატებისაც, მაგრამ თამბაქოს მიტოვება მათ მიტოვებაზე ბევრად რთულია?

რომ, თუ ადამიანმა შინაგანად არ მიიღო გადაწყვეტილება და უარი არ თქვა თამბაქოს მოწევაზე, მას არც საკუთარი ორგანიზმის მოშხამვა აფიქრებს (სხვისი მითუმეტეს) და არც მისი ღირებულების გაზრდის გამო შეიკავებს თავს?

რომ ხშირად, ადამიანს, მიუხედავად სურვილისა, ნიკოტინზე დამოკიდებულობის გამო მაინც არ შეუძლია მისი მიტოვება?

„მოწევისთვის თავის დანებება ძალიან ადვილი საქმნეა. პირადად მე 74-ჯერ დავანებე თავი“ — წერდა მარკ ტვენი.

თუმცა, რაღა შორს წავიდეთ — სოციალურ ქსელ ფაცებოოკ-ში პრეზიდენტობის კანდიდატის, ბატონი მარგველაშვილის ფოტო გავრცელდა სადაც ის წინდას ქსოვს. აღმოჩნდა, რომ ეს მისი ჰობი კი არა სიგარეტის წევისთვის თავის დანებების წარუმატებელი მცდელობა ყოფილა: — „მითხრეს, რომ ერთ-ერთი მეთოდი ქსოვა იქნებოდა. ძალიან კომიკური იყო — როდესაც შეხვედრებზე გამანერვიულებდნენ, იმის ნაცვლად, რომ სიგარეტი ამეღო, ქსოვას ვიწყებდი. რამდენიმე ასეთი შეხვედრა წარმატებულად წარიმართა. ისე დაიბნენ (ცოტა შეეშინდათ კიდეც) როცა დაძაბულ შეხვედრაზე უცებ ქსოვა დავიწყე, რომ მაშინვე ყველა საკითხი დადებითად გადაწყდა. ქსოვა კი ვისწავლე, მაგრამ სიგარეტს თავი მაინც ვერ დავანებე... ერთი სიკეთე მაინც გამოვიდა აქედან, სიგარეტმა ქსოვა მასწავლა...“

ასე რომ, თამბაქო ერქმევა, თამაქო, თუთუნი, თუთუმი, თუთვინი თუ გლარჯა, ის პროდუქციაა, რომელსაც მილიარდები მიაქვს მისი მონოპოლისტებისთვის და მილიონები „პატარა ეშმაკებისთვის“, რომლებიც ადამიანების ხან ჯანმრთელობაზე მზრუნველთა ეგიდით ათასგვარ სახელს ამოფარებული ორგანიზაციების სახით ევლინებიან მწეველებს, რიგ შემთხვევებში სამინისტროების, უწყებებისა და ა.შ

თამბაქოს ნაწარმზე არსებული განაკვეთის ზრდა იმდენჯერ გამოვიარეთ, რეალურად რა მიზანს (მიზნებს) ემსახურება, საქართველოს ყველაზე მივარდნილი კუთხის მცხოვრებმა მწეველმა უკეთ იცის, ვიდრე დედაქალაქის ასფალტზე მოსიარულე არამწეველმა ინტელიგენტმა. ამდენად, აღნიშნული განცხადება პირველივე წინადადებიდან ბოლომდე სიცრუის საბურველში გახვეულად აღიქმება.

ვიღაცისთვის სოციალური ქსელი გასართობი კომუნიკაციაა, მაგრამ ადამიანების რეალური დამოკიდებულება ცალკეული მოვლენებისა თუ პირებისადმი, სწორედ სოციალურ ქსელებში ვლინდება დაუფარავად. მიზეზთა გამო, მცირე გამონაკლისის (ჟარგონზე „ტრუგადუმებს“ რომ უწოდებენ) გარდა, თამბაქოს ნაწარმზე ფასის ზრდამ ერთნაირად აღაშფოთა მწეველიც და არამწეველიც, ქალიც და მამაკაციც — არადა, საპრეზიდენტო არჩევნები კარსაა მომდგარი...

უცნაურია, როგორც ამბობენ, თითქოს, ქვეყანაში წამოჭრილი პრობლემებისადმი მართლაც არაორდინალური მიდგომის მრჩევლები ჰყავს ბატონ პრემიერს, ისეთი, შინაურ მტერს რომ უფრო ადვილად დაარქმევ...

„არა, ამათ აშკარად არ უნდა არჩევნებში გამარჯვება.“



„ესენი იმდენს იზამენ, თავიანთი გაძვირებული სიგარეტი მოენატრებათ.“

„მეტი მაგათი დედები ვატირე... ისე აქვთ ქვეყანაში საქმე აწყობილი, რომ ხალხმა სიგარეტი როგორ უნდა მოწიოს... წილში ჩაუხტნენ იმპორტიორებს და იბრალებენ, თურმე ჩვენს ჯანმრთელობაზე ფიქრობენ...“

„ფუ, თქვენი მეოცნებე დედა... რამდენი კაციც გაგინებთ, არც ერთი არ აგცდეთ!“

„ბრაზილიიდან, თურქეთიდან, ინდოეთიდან და ა.შ რომ მყრალი ხორცი შემოდის და იმას გვაჭმევენ, ის არ ვნებს ჯანმრთელობას? თურმე სიგარეტი ვნებს...“

„ვის აბოლებენ, თუ ხალხის ჯანმრთელობაზე ზრუნავენ, წამლებს და საკვებს დაუკლონ ფასები...“

„ველარ ძლებით, თორემ ხალხი სუ არ გკიდიათ?“

„რო აძვირებთ, მერე ადამიანს უწევს დაბალფასიანის და უხარისხოს ყიდვა და ეს არ მოქმედებს ჯანმრთელობაზე?“

„მაგარი მთავრობა გვყავს, პრეზერვატივების კანონით რომ დაიწყეს, სულ უფრო და უფრო უცნაურ კანონებს გვთავაზობენ — სიგარეტი ველარ მოგვიწევია ხალხს...“

„ერთი, სიგარეტია, ამ ტანჯულ ცხოვრებაში გავაბოლებ და გულს რომ ვაყოლებ და იმასაც აძვირებენ... ფულის კეთება დაიწყეთ, რა!... აბა, გამოტყდით, სიგარეტის ბიზნესში ვინ ჩაჯდა? ასი ათასობით ადამიანი შიმშილის ზღვარზეა მისული და ესენი სიგარეტს ეცნენ... ნერვები აღარ მყოფნის უკვე... ფუ, თქვენი... — ღორები ხართ!“

„არაფერს არ ცვლის მომატებული ფასი ხალხისთვის, მაგრამ ხელისუფლებისთვის ცვლის. ამით ხელისუფლებამ, უბრალოდ „დიშოვი“ ფულის მოპოვების ვნება გამოავლინა. მე ნამდვილად არაფერს მიცვლის 10 თეთრი იქით, 10 თეთრი — აქეთ. საბოლოოდ დავრწმუნდი, რომ ამ ხელისუფლების სახე იდიოტი ხადურია, ღირებულება კი 10 თეთრი. 10-თეთრიანი ხელისუფლება!“

„ერთ რჩევას მოგცემთ, ოეეე, მთავრობა! „კიდევ უფრო რომ იზრუნოთ ჩვენზე, არა? — ახლა საზოგადოებრივი ტრანსპორტი გააძვირეთ ისე, რომ ვერ შევძლოთ გადახდა და ფეხით მოგვიწევს სიარული — ესეც ხომ ჯანმრთელობის საწინდარია? აბა, თქვენ თუ არა, ვინ „იზრუნებს“ ჩვენს ჯანმრთელობაზე? პაპიროსს რას ერჩოდით, პაპიროსს?! ეჰ, შხამი გაგვიძვირეთ და რავა დევიჯერო ახლა, რომ თქვენ ოქროს და კაი ცხოვრებას გაგვიიაფებთ...“

„მახათის გაძვირება არ გაბედოთ, თორემ მერე ნახეთ ჯანყი!“

სასაცილოა თუ სატირალი, მართლა საკითხავია — თუ მართლაც საქართველოს მოქალაქეების ჯანმრთელობაზე ზრუნავს ახალი ხელისუფლება და ამიტომ ძვირდება სიგარეტი, რა იცვლება ამ მხრივ, რა კუთხით აჯანსაღებს ნიკოტინით დასნეულებულს, როგორ ახსნის სიგარეტის გაძვირების მოტივს არა ჯანმრთელობის, არამედ ფინანსთა მინისტრი?

გარდა ამისა, მიშა მიშად, მაგრამ რითი არ აკმაყოფილებდა ახალ ხელისუფლებას მიხეილ სააკაშვილის მიერ 2010 წლის 15 დეკემბერს ხელმოწერილი (№4059-რს) ძირისძირობამდე ჩაკირკიტებული 13-მუხლიანი (პუნქტებითა და ქვეპუნქტებით დახუნძლული) საქართველოს კანონი „თამბაქოს კონტროლის შესახებ“?

ზუსტად არ მახსოვს ვის მიერ, მაგრამ გამოკითხვა ტარდებოდა, მწეველების რაოდენობით იყო დაინტერესებული ვიღაც; ვიღაც-ვიღაცები მარიხუანას ლეგალიზებითა თუ დეკრიმინალიზაციით — როგორც 1 ოქტომბრამდე, ისე, 1 ოქტომბრის შემდეგ, ანუ ორივე ხელისუფლების დროს.

რამდენად არის კავშირში საქართველოში მარიხუანას თავისუფალ მოხმარებაში „შემოგდება“ დევიდ მარანისის ბესთსელერად ქცეულ წიგნთან, სადაც პუნაჰოუს სკოლის მოსწავლის, „ჩოომის ბანდის“ წევრ ბარაქ ობამას მეგობრების ნაამბობს წერს („ჩოომში გვქონდა ასეთი ტრადიცია, ვინც მარიხუანას ბოლომდე არ შეუშვებდა ფილტვებში და მალე ამოისუნთქავდა, ჯგუფი დასჯიდა, შემდეგ რიგზე გამოტოვებდა. ჩვენ გვიყვარდა ავტომობილში შუშების ბოლომდე აწევა და მარიხუანას ბუღის დაყენება. ბარაქ ობამას შლიაპები უყვარდა და სიგარეტისა და მარიხუანას მოწევის განსაკუთრებული სტილი ჰქონდა“), უცნობია, მაგრამ ნიკოტინი რომ შხამი ყოფილა (არის კიდეც!) და მარიხუანა ბუნებრივი ანტიდეპრესანტი, მართლაც მიგნებაა.

ასე თუ მივყევით, როგორც ჩანს, მრავალწლიანი სტრესისგან დეპრესიაში მყოფმა საქართველოს მოქალაქეებმა უარი უნდა თქვან სიგარეტზე და მარიხუანას მიეძალონ, ორმაგად სასარგებლო იქნება, დეპრესიიდანაც განიკურნებიან და მრავალგზის გაძვირებული სიგარეტის ფულიც დაეზოგებათ...

**ნოდარ ლომჯარია**

## ასტროლოგიური პროგნოზი

**ვერძი** — უცნობთან დაწყებული თანამშრომლობა თქვენი კარიერისთვის ძალიან სასარგებლო აღმოჩნდება. ფინანსური საკითხების მოგვარებისას არ აჩქარდეთ — უფრო გათვლილი და ბალანსირებული მოქმედება გმართებთ. ოჯახში მომწიფებული კონფლიქტის განმუხტვა მხოლოდ თქვენ შეგიძლიათ.

**კურო** — ყველას, განსაკუთრებით კი, საკუთარი თავის მიმართ ძალიან მომთხოვნი ხართ და უარს ვერავისგან აიტანთ. გონება კარგად გიმუშავებთ და ფინანსურ პრობლემებს შესანიშნავად აგვარებთ. ოჯახში ძალიან მშვიდი და ჰარმონიული სიტუაცია გაქვთ.

**ტყუპები** — ტყუპების ენერგეტიკული მდგომარეობა საკმაოდ არამდგრადია და კარგი იქნება, თუ სიმშვიდეს და კეთილგანწყობას შეინარჩუნებთ. თუმცა თქვენს მატერიალურ მდგომარეობაზე წუწუნი ნამდვილად არ მოგიწევთ.

**კირჩხიბი** — სიმშვიდე და გაწონასწორება გჭირდებათ. იმ უამრავი საქმიანი წინადადებიდან, რომლებსაც ამ დღეებში შემოგთავაზებენ, არცერთი ივარგებს და ამდენად, დაფიქრებაც არ ღირს.

**ლომი** — თუ ამ კვირას ახალი სამსახურებრივი რომანით დაიწყებთ, აუცილებლად გამიჯნეთ ერთმანეთისგან საქმე და პირადი საკითხები. სასიყვარულო ურთიერთობებში კი მართლაც ცხელი დღეები გაქვთ.

**ქალწული** — თქვენი კარიერის საკითხით, ბოლოს და ბოლოს, საკმაოდ კომპეტენტური პირებიც დაინტერესდებიან და დიდი ხნის ნანატრ წარმატებასაც მიაღწევთ.

**სასწორი** — ერთობლივ პროექტზე იწყებთ მუშაობას, რომელიც აუცილებლად წარმატებით დაგვირგვინდება და ამ საქმიდან სხვებზე მეტად თქვენ ისარგებლებთ. ფინანსების საქმე ნამდვილად გამოსწორების გზაზეა.

**მორიელი** — ეს კვირა საკმაოდ ნელა და მძიმედ იწყება, მაგრამ ყველასთვის და განსაკუთრებით თქვენთვის, მოულოდნელი შედეგებით დასრულდება.

**მშვილდოსანი** — მხოლოდ კარიერაზე ფიქრობთ და თქვენი პირადი ცხოვრება უკანა პლანზე გადადის. არ არის გამორიცხული, რომ ამის გამო საკმაოდ მნიშვნელოვანი მოვლენა გამოგრჩეთ და გვიან მიხვდეთ.

**თხის რქა** — სარისკო საქმეებს, ჯობია თავი აარიდოთ. განსაკუთრებით კი კანონსაწინააღმდეგო ქმედებებს ერიდეთ. ოჯახში თითქმის ერთგვარი გაუცხოება შეინიშნება, მაგრამ დროებით ერთმანეთისგან დასვენება ყველასათვის სასარგებლო აღმოჩნდება.

**მერწყული** — საკმაოდ დაძაბული მოვლენების ცენტრში აღმოჩნდებით და მაქსიმალური შემართების და მოთმინების გამოჩენა მოგიწევთ.

**თევზები** — ფინანსური საკითხები ამ კვირაში ნაკლებად გადარდებთ, ოჯახის წევრებსაც საკმაოდ სერიოზული პრობლემები აქვთ, მაგრამ კვირის ბოლოსთვის ყველაფერი მოგვარდება.

ISSN 2233-3983


## სახალხო მკურნალი (მცენარეული პანაცეა)



ბოლო წლებში ქიმიური მედიკამენტებით მკურნალობით თავმობეზრებულმა ბევრმა ადამიანმა აღიარა სახალხო მედიცინა. ქალბატონი ირმა სიხარულიძე სამედიცინო დარგის მუშაკია, მაგრამ ავადმყოფებს საუკუნეებით გამოცდილი საგვარეულო წამალ-მალამოთი მკურნალობს. იგი წარმატებით კურნავს: ოსტეოქონდროზს, პოლიართრიტს, მწვავე რადიკულიტს, კისრის, მხრის და მენჯ-ბარძაყის მუხლ-სახსრების ართრიტს; ქვედა კიდურების სისხლძარღვთა შევიწროებას, ე.წ. მარილების დაგროვებას ქუსლისა და ტერფის არეში, დისკოზს, სამწვერა ნერვის ანთებას, შიდა ქალის წნევას.

წამალი მცენარეულია და არანაირი უკუჩვენება არ აქვს. პროცედურა ტარდება მალამოს მასაჟირების და საფენებით. ავადმყოფობის სირთულის მიხედვით მკურნალობის კურსი ათიდან და ოც დღემდე გრძელდება. რაც მთავარია, ეს წამალი აუმჯობესებს სისხლის მოძრაობას და დადებითად მოქმედებს როგორც დაბალი, ისე მაღალი არტერიული წნევის მქონე ადამიანებზე.

ნანა თათარაშვილი: მე ერთ-ერთი იმათგანი ვარ ვინც საკუთარ თავზე გამოსცადა ეს წამალი. სახსრების აუტანელ ტკივილს ვგრძნობდი, მიჭირდა მოძრაობა, დამიქვეითდა შრომისუნარიანობა. ექიმის გამოწერილმა წამლებმა ტკივილი დროებით გამიყუჩა. ამიტომ გადავწყვიტე მცენარეული წამალი მეცადა.

სახალხო მკურალ ირმა სიხარულიძესთან მიმასწავლეს. მეათე სეანსის შემდეგ ტკივილი მთლიანად გამიქრა, აღმიდგა შრომისუნარიანობა, გამიუმჯობესდა სისხლის მოძრაობა.

ქალბატონ ირმასთან შევხვდი უამრავ ადამიანს, რომლებიც განიკურნენ, მათ შორის იყვნენ ცნობილი მსახიობი ლეილა აბაშიძე, მსოფლიო ჩემპიონი დიტო შანიძე, დამსახურებული პედაგოგი ნანული მელიქიშვილი, თბილისის ოპერისა და ბალეტის თეატრის რეჟისორი ლილი ჯიქიძე, მწერალი მერაბ შათირი და სხვა მრავალი.

დიტო შანიძე: ყოფილი მსოფლიო ჩემპიონი ვარ მძლეოსნობაში. რამდენიმე სერიოზული ტრავმა მივიღე, რომელიც თავის დროზე ახალგაზრდობის წყალობითა და ქირურგიული ჩარევით დავძლიე. მაგრამ ასაკის მატებასთან ერთად აუტანელი ტკივილი დამეწყო. მძლეოსან ადამიანს მსუბუქი ნივთის აწევაც არ შემეძლო. ძველი ტრავმა გამირთულდა, ამას მძიმე ოსტეოართროზის დიაგნოზი დაემატა. ათასგვარი მკურნალობით თავმობეზრებულს განკურნების დიდი იმედი არ მქონდა. მე-4 მე-5 სეანსზე შვება ვიგრძენი, მაგრამ მაინც სკეპტიკურად ვიყავი განწყობილი. 20-დღიანი მკურნალობის შემდეგ კი შედეგი აშკარა იყო და მეც ვაღიარე ამ წამლის ძალა.

მანანა ჩხიკვიშვილი: ექიმებმა დამისვეს ართროზის ანუ კოქსართროზის საწყისი ფორმის დიაგნოზი. 3 წლის განმავლობაში ვმკურნალობდი სხვადასხვა სამედიცინო დაწესებულებაში. მდგომარეობა უფრო მირთულდებოდა. მიჭირდა სიარული, ვერც ვჯდებოდი, ტკივილები ყრუ და გაუსაძლისი იყო. თხუთმეტდღიანი კურსის შემდეგ მე, ფაქტობრივად, განვიკურნე. მთელი ცხოვრება ქალბატონი ირმას მადლიერი ვიქნები.

**მიმართეთ და ენდეთ ირმა სიხარულიძეს. მას შეგიძლიათ დაუკავშირდეთ:**

**ქ. თბილისი, ფოთის ქ.№2 (მეტრო წერეთელთან) ტელ: 557 358 900, 34 21 63**